

ფარდობითი დეპრივაცია და ფერადი რევოლუციები

პოსტ - საბჭოთა ქვეყნებში

ნინო მაჩურიშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების
ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით აფრასიმე, პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების
დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული / ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო მაჩურიშვილი / 10.05.2018

აბსტრაქტი

სადოქტორო ნაშრომი პოსტ - საბჭოთა ქვეყნებში ფერადი რევოლუციების შესახებ კვლევების ნაწილია და მოწოდებულია შეაფასოს ფაქტორები, რომლებსაც გავლენა გააჩნდათ საზოგადოების გადაწყვეტილებებზე წინარევოლუციურ პერიოდში საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში. კვლევის მიზანია განიხილოს პოლიტიკური და მატერიალური დეპრივაცია როგორც სოციალური პროტესტის საფუძველი საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში რევოლუციის წინა პერიოდში, ფარდობითი დეპრივაციის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში, ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე, ჯინის ინდექსსა და მატერიალურ დეპრივაციას შორის კავშირის გათვალისწინებით. კვლევა ემყარება თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას, საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომას წარმოადგენს შემთხვევის ანალიზი (case study). ნაშრომში განხილულია ანონიმური ჩაღრმავებული ინტერვიუები, რომლებიც შეგროვებულია პროექციული ტექნიკის გამოყენებით, რესპონდენტები გაერთიანებულნი არიან ოთხ ჯგუფში, ფერადი რევოლუციებისა და საპროტესტო აქციებში მონაწილეობის მიმართ მათი დამოკიდებულების გათვალისწინებით, ასევე, განხილულია სამეცნიერო წყაროები და რაოდენობრივი მონაცემები. გარდა სამი დამოუკიდებელი შემთხვევის ანალიზისა (იგულისხმება საქართველო, უკრაინა და ყირგიზეთი), კვლევის შედეგების სანდოობის გაზრდისა და დასკვნების განზოგადების მიზნით, აღწერილია სერბეთის შემთხვევა და 90 - იან წლებში სამოქალაქო პროტესტი აღმოსავლეთ ევროპის სხვა პოსტ - კომუნისტურ ქვეყნებში. ძირითადი საკვლევი ჰიპოთეზის გადამოწმებასთან ერთად, ნაშრომი მოიცავს ალტერნატიული ჰიპოთეზების გადამოწმებასაც.

ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზი ადასტურებს სოციალურ ჯგუფებს შორის პოლიტიკური დეპრივაციის არსებობას. გასათვალისწინებელია, რომ მატერიალური დეპრივაციის ჯინის ინდექსით შეფასება მეტად გაზომვადი გზაა არსებულ მიდგომებთან შედარებით ფერადი რევოლუციების მიზეზების ასახსნელად. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ წინარევოლუციურ პერიოდში ჯინის ინდექსის

ცვალებადობის გათვალისწინებით, ფარდობითი დეპრივაციის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში, რელევანტურია, რომ საზოგადოების ჯგუფებს შორის არსებული პოლიტიკური და მატერიალური დეპრივაცია ჩაითვალოს საზოგადოების პროტესტის მიზეზად და ხელისუფლების ცვლის საფუძვლად.

სხვა ჰიპოთეზებთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ ნაშრომის ემპირიული ნაწილი ადასტურებს საქართველოს, უკრაინისა და ყირგიზეთის მოქმედი ხელისუფლების კორუმპირებულობას და ასევე არჩევნების გაყალბების ფაქტს, საქართველოსა და უკრაინის შემთხვევებში, წინარევოლუციურ პერიოდში არსებობდა საგარეო გავლენა, რამაც ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის გაძლიერებას შეუწყო ხელი. რაც შეეხება პოლიტიკური ტრანზიციის თეორიას, რომელიც ნაშრომის ფარგლებში ჩამოყალიბებული სხვა ჰიპოთეზების თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს და რომლის მიხედვითაც, ფერადი რევოლუციები წარმატებით (ხელისუფლების ცვლით) დასრულდა იმ ქვეყნებში, სადაც რევოლუციის საზღაური დაბალი იყო, ნაწილობრივ ამყარებს ფაქტი, რომ საზოგადოების პროტესტი წარმატებით დასრულდა იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედი რეჟიმის ტიპი არ იყო კონსოლიდირებული ავტორიტარიზმი.

ნაშრომის ორიგინალურობას განაპირობებს განსხვავებული მიდგომა ფერადი რევოლუციების მიმართ, არსებული კვლევები საზოგადოების პროტესტის წინაპირობად მიიჩნევენ გაყალბებულ არჩევნებს, მოქმედი რეჟიმების არადემოკრატიულობას, ან საგარეო გავლენას, მაგრამ არა პოლიტიკურ და მატერიალურ დეპრივაციას. მიმდინარე კვლევა ხელს შეუწყობს აკადემიურ დებატებს ფერადი რევოლუციების ფენომენის ირგვლივ.

დამოუკიდებელი ცვლადი - დეპრივაცია, შუალედური ცვლადი - სოციალური პროტესტი, დამოკიდებული ცვლადი - ხელისუფლების ცვლა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფერადი რევოლუცია, ფარდობითი დეპრივაცია, ჯინის ინდექსი.

Abstract

Doctoral thesis is a part of the research about Colour Revolutions in Post - Soviet countries and is designed to evaluate factors, which influenced society decisions during the pre - revolution period in Georgia, Ukraine and Kyrgyz Republic. Research aim is to review political and material deprivation as a ground of social protest during the pre - revolution period in case of Georgia, Ukraine and Kyrgyz Republic, in the frame of the Relative Deprivation theory, based on analysis of in - depth interviews, taking into consideration linkage between material deprivation and Gini Index. Research is based on qualitative research methodology, basic methodological approach is the method of the case study. Among with anonymous in - depth interviews, based on projective techniques, with respondents grouped according to their attitudes towards Colour Revolutions, quantitative data is also reviewed. In order to increase research results validity and generality, despite analysis of three independent cases (Georgia, Ukraine and Kyrgyz Republic), thesis examines Serbia case and civil protest in Eastern European Post – Communist countries in 90 - ies. Besides testing major hypothesis, thesis implies study of alternative explanations of research variables.

Analysis of in - depth interviews proves existence of political and material deprivation between social groups for the research period and shows methodological value evaluating Relative Deprivation through the Gini index, as a more measurable way to explain reasons beyond the Colour Revolutions. Research demonstrates, that taking into consideration Gini index variation during the pre – revolution period, in the frame of the Relative Deprivation theory, is relevant to admit deprivation as a reason for the social protest and basis for the government change.

Towards other hypothesis should be mentioned, that thesis empirical part confirms corruption of the Georgia, Ukraine, Kyrgyz Republic acting government and the fact of the electoral fraud, during the pre – revolution period existed external influence, which in case of Georgia and Ukraine led to the opposition and civil society strengthening. Towards theory of political

transition, which is the theoretical framework of other hypothesis tested in proposal, according to which Colour Revolutions successfully (conditioned change of government) ended in countries, where revolution price was not high, is backed up by the fact, that the protest has been successfully completed in the countries, where the regime type was not consolidated authoritarianism.

Originality of this paper is conditioned by different approach to Colour Revolutions, because previous studies considered as a precondition for the social protest against rigged elections, lack of democracy and rule of law, either foreign influence, but not political and material deprivation. Present research will contribute to the academic debates around Colour Revolutions phenomena.

Independent variable – deprivation, intermediate variable – social protest, dependent variable – government change.

Key words: Colour Revolution, Relative Deprivation, Gini Index.

მადლობა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში მივიღე დაფინანსება შვეიცარიის კავკასიის აკადემიური ქსელის, ტემპუსის, ერასმუს მუნდუსის პროგრამების ფარგლებში, რაც მნიშვნელოვნად დამეხმარა კვლევის ჩატარებაში.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ყველა (ანონიმურ და არა ანონიმურ) რესპონდენტს, მათი ინტერვიუების გარეშე ვერ დასრულდებოდა სადისერტაციო ნაშრომი, ძირითად სამეცნიერო ხელმძღვანელს - პროფესორ დავით აფრასიმეს, ჩემს ხელმძღვანელებს უკრაინაში და რუმინეთში - პროფესორებს ალექსეი ჰარანს და ნიკოლაე პაუნს, ახალგაზრდა პროფესორებს - ადრიან კორპადეანს, ალექსანდრა იონესკუს, ივან გომზას, რომელთა რჩევებიც დამეხმარა კვლევის სტრუქტურირებაში და წყაროების მოძიებაში.

სარჩევი

სარჩევი	vii-viii
ცხრილების ჩამონათვალი	ix-x
შესავალი	1-11
საკვლევი პრობლემა, კვლევის მნიშვნელობა და მიზანი	1-4
მეთოდოლოგია	4-7
ძირითადი თეორიული დაშვებები, ტერმინების განმარტება	7-9
წინასწარი თეორიული ვარაუდები	10
ნაშრომის სტრუქტურა	10-11
თეორიული ნაწილი	12-36
თავი 1. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	12-36
1.1. პოლიტიკური რეჟიმის დეფინიცია	12-15
1.2. პოლიტიკური ტრანზიციის ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები ...	16-17
1.3. ფარდობითი დეპრივაციის თეორია	17-23
1.4. ნაშრომის ფარგლებში განხილული სხვა ჰიპოთეზების თეორიული ჩარჩო ...	23-26
1.5. საკვლევ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები	26-29
1.6. ფერადი რევოლუციები პოსტ - კომუნისტურ სივრცეში. რესურსები არამალადობრივი სამოქალაქო პროტესტის შესახებ	29-34
1.7. წინასწარი თეორიული ვარაუდები / ჰიპოთეზები	34-36
ემპირიული ნაწილი	37-86
თავი 2. აკადემიური და პირველწყაროების ანალიზი	37-86
2.1. პოლიტიკური ტრანზიციის შესახებ აკადემიური წყაროების ანალიზი	38-53
2.2. პოლიტიკური სიტუაციის მიმოხილვა 1991 – 2005 წლების საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში	53-69

2.2.1. საქართველო 1991-2003 წლების პერიოდში	53-61
2.2.2. უკრაინა 1991-2004 წლების პერიოდში	61-65
2.2.3. ყირგიზეთი 1991-2005 წლების პერიოდში	65-69
2.3. ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზი	69-72
2.4. ანონიმური ინტერვიუების ანალიზი	72-80
2.5. მატერიალური დეპრივაციის ცვალებადობის დინამიკა (1996 – 2005 წლები), მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზის ანალიზი	80-83
2.6. პოლიტიკური რეჟიმები, უთანასწორობა და კორუფციის აღქმის ინდექსი პოსტ - საბჭოთა ქვეყნებში - წარმატებულად / წარუმატებლად დასრულებული რევოლუციები. Freedom House-ის Nation in Transit-ის და Transparency International-ის Corruption Perception Index-ის ანგარიშის მიმოხილვა (1991-2005 წლები)	83-86
დასკვნა: კვლევის შედეგების მიმოხილვა, დისკუსია	87-91
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)	92-96
ბიბლიოგრაფია	97-107
დანართი 1. სტრუქტურირებული ინტერვიუების კითხვარი	108-110
ცხრილი 1-19	111-121

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. ჯინის ინდექსი საქართველოში, 1991 - 2003 წლების პერიოდისთვის

ცხრილი 2. ჯინის ინდექსი უკრაინაში, 1991 - 2004 წლების პერიოდისთვის

ცხრილი 3. ჯინის ინდექსი ყირგიზეთში, 1991 - 2005 წლების პერიოდისთვის

ცხრილი 4. მთლიანი შიდა პროდუქტი (აშშ დოლარში) საქართველოში, 1991 - 2003 წლების პერიოდისთვის

ცხრილი 5. მთლიანი შიდა პროდუქტი (აშშ დოლარში) უკრაინაში, 1991 - 2004 წლების პერიოდისთვის

ცხრილი 6. მთლიანი შიდა პროდუქტი (აშშ დოლარში) ყირგიზეთში, 1991 - 2005 წლების პერიოდისთვის

ცხრილი 7. მოსახლეობა საქართველოში, 1991 - 2003 წლების პერიოდისთვის

ცხრილი 8. მოსახლეობა უკრაინაში, 1991 - 2004 წლების პერიოდისთვის

ცხრილი 9. მოსახლეობა ყირგიზეთში, 1991 - 2005 წლების პერიოდისთვის

ცხრილი 10. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ მოსახლეზე (აშშ დოლარში), საქართველოში, 1991 - 2003 წლების პერიოდისთვის

ცხრილი 11. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ მოსახლეზე (აშშ დოლარში), უკრაინაში, 1991 - 2004 წლების პერიოდისთვის

ცხრილი 12. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ მოსახლეზე (აშშ დოლარში), ყირგიზეთში, 1991 - 2005 წლების პერიოდისთვის

ცხრილი 13. მონაცემები საზოგადოების კმაყოფილების შესახებ. საქართველო. 1996 - 2003 წლების პერიოდისთვის

ცხრილი 14. მონაცემები საზოგადოების კმაყოფილების შესახებ. უკრაინა. 1996 - 2004 წლების პერიოდისთვის

ცხრილი 15. მონაცემები საზოგადოების კმაყოფილების შესახებ. ყირგიზეთი. 1996 - 2005 წლების პერიოდისთვის

ცხრილი 16. მონაცემები მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის შესახებ საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში. 1991-2003 წლების პერიოდისთვის

ცხრილი 17. უნდა იღებდნენ თუ არა მონაწილეობას ხალხი საპროტესტო აქციებში? (%)

ცხრილი 18. კორუფციის აღქმის ინდექსი. საქართველო 1995-2003 წლების პერიოდი; უკრაინა 1995-2004 წლების პერიოდი; ყირგიზეთი 1995-2005 წლების პერიოდი

ცხრილი 19. კორუფციის აღქმის ინდექსი პოსტ - საბჭოთა ქვეყნებში; 1995-2005 წლების პერიოდი

შესავალი

საკვლევი პრობლემა, კვლევის მნიშვნელობა და მიზანი

პოლიტიკური რეჟიმის ტრანსფორმაცია პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით კვლევების მნიშვნელოვანი საკითხია, რომლის შეფასებაც ხდება როგორც საგარეო, ასევე შიდა ფაქტორების გავლენის ანალიზით. კვლევების ნაწილი განიხილავს პოლიტიკური რეჟიმის ტრანსფორმაციის / ცვლის ინსტიტუციურ მიდგომას, მეორე ნაწილი ხსნის სოციალური მიდგომით. ნაშრომის მიზანია, შეაფასოს პოლიტიკური რეჟიმის ტრანსფორმაცია სოციალური მიდგომით, რომელიც გულისხმობს სოციალური საფუძვლის ტრანსფორმაციას. ქვეყნები, სადაც საზოგადოება წარმატებით ვერ ასრულებს პოლიტიკური რეჟიმის ტრანსფორმაციის / შეცვლის მცდელობას, ხდება ტრანზიციული. პოსტ – საბჭოთა ქვეყნები, სადაც ხელისუფლების ცვლა მოხდა ფერადი რევოლუციების გზით, ხვდებიან ტრანზიციული რეჟიმის მქონე ქვეყნების ჯგუფში. საქართველო, უკრაინა და ყირგიზეთი განეკუთვნება ტრანზიციული პოლიტიკური რეჟიმის მქონე ქვეყნების ჯგუფს და წარმოადგენს ნაშრომის ფარგლებში კვლევის საგანს.

ფერადი რევოლუციების შესახებ კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი ორიენტირებულია პოლიტიკური ფაქტორების ანალიზზე, როგორცაა გაყალბებული არჩევნები, კორუფცია და კანონის უზენაესობის არარსებობა, რაც გახდა მიზეზი საზოგადოების უკმაყოფილების. საქართველოსა და უკრაინასთან მიმართებაში, მკვლევარების ნაწილი მიიჩნევს, რომ ძლიერი ოპოზიცია, რომელსაც საფუძველს უმყარებდა თავისუფალი მედია, პლურალისტული სამოქალაქო საზოგადოება და ღია საზოგადოების ფონდი, საკმარისი იყო არჩევნების გაყალბებით აღმფოთებული

საზოგადოების შთამბეჭდავი მასების მობილიზებისთვის,¹ კვლევების ნაწილი კი ფერადი რევოლუციების ხელშემწყობად საგარეო ჩარევას / გავლენას მიიჩნევს.

სოციალურ მეცნიერებებში კოლექტიური ქცევის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში, არსებობს კვლევები, რომლებიც ხსნის სოციალურ პროტესტს დეპრივაციით, მაგრამ არა ფერადი რევოლუციების შემთხვევაში.

კვლევის მიზანია საზოგადოების როლის შეფასება ხელისუფლების ცვლაში ფერადი რევოლუციების დროს საქართველოს, უკრაინისა და ყირგიზეთის შემთხვევებში, ფარდობითი დეპრივაციის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში, ჩაღრმავებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, ასევე, ჯინის ინდექსის დინამიკის ანალიზის საფუძველზე.²

ნაშრომი მეტ ყურადღებას უთმობს აგენტებს, ნაცვლად სტრუქტურულ დონეზე ანალიზისა. მთავარ კითხვას წარმოადგენს პერსონალური მოტივაციის განსაზღვრა, რამაც განაპირობა ადამიანების ჩართვა მშვიდობიან, თუმცა, არალეგალურ პროტესტში.

აღწერილი მოდელი განაპირობებს კვლევის ინოვაციურობას, ვინაიდან წარმოადგენს მცდელობას საკითხის არსებული მოდელებისგან განსახვავებულად ახსნის.

კვლევის ფარგლებში განხილული იქნება რევოლუციები საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში, კვლევის ქრონოლოგიური საზღვრები განსაზღვრულია 1996 - 2005 წლებით, საკვლევ კოეფიციენტს წარმოადგენს ჯინის ინდექსი, კვლევის თეორიულ ჩარჩოს - ფარდობითი დეპრივაციის თეორია, რომელიც ხსნის საზოგადოების მოტივაციას შეცვალოს ხელისუფლება ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ არსებობს მატერიალური დეპრივაციის მაღალი მაჩვენებელი.

კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში: პოლიტიკური და მატერიალური დეპრივაციის მაღალი მაჩვენებელი გახდა მიზეზი საზოგადოების უკმაყოფილების,

¹. Abel Polese, Donnacha O Beachain. *The Color Revolution Virus and Authoritarian Antidotes: Political Protest and Regime Counterattacks in Post-Communist Spaces*. Demokratizatsiya, The Journal of Post-Soviet Democratization, vol. 19, no. 3, 2011, გვ. 118-119

². მოდელი აღწერილია სტატიაში: Shlomo Yitzhaki. *Relative Deprivation and the Gini Coefficient*. The Quarterly Journal of Economics, vol. 93, no. 2, 1979, გვ. 321 - 324.

რამაც განაპირობა ხელისუფლების ცვლა. კვლევის ფარგლებში განხილულია სხვა ჰიპოთეზებიც, ნაშრომის ძირითადი თეორიული დაშვების ინტერპრეტაციის მიზნით.

აღწერილი მიდგომის არჩევის მიზეზი არის მცდელობა, მოიძებნოს მოდელი, რომელიც ახსნის ფერად რევოლუციებს გაზომვადი პარამეტრით, ამასთანავე, ინტერდისციპლინური კვლევის ჩატარების მცდელობა - პოლიტიკის მეცნიერების პრობლემის განხილვა ეკონომიკური ინდიკატორის საფუძველზე, სოციალური მეცნიერების თეორიული ჩარჩოს ფარგლებში, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შედგენილი კითხვარის მიხედვით შეგროვებული ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზი დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს ნაშრომს.

კვლევის მიზანს არ წარმოადგენს იმის შეფასება, ფერადი რევოლუციების შედეგად მოხდა თუ არა პოლიტიკური რეჟიმის ცვლილება ან გაამართლა თუ არა ახალმა ხელისუფლებამ საზოგადოების მოლოდინი - შემცირდა თუ არა უთანასწორობა.³

აღნიშნული მინიშნება მნიშვნელოვანია, ვინაიდან ექვგარეშეა, რომ ტერმინი „რევოლუცია“ გულისხმობს რეჟიმის ცვლას, რომელსაც გააჩნია მკაცრად განსაზღვრული მახასიათებლები: პირველი, ძველი წესრიგის საჯარო დისკრედიტაცია, რომელიც საფუძველი ხდება მმართველი ძალის - კლასის ან ადამიანთა ჯგუფის, მმართველ ჯგუფში პოლიტიკურად მონაწილე პირების სწრაფი

³. Freedom House-ის Nation in Transit-ის მონაცემების მიხედვით, საქართველო ვარდების რევოლუციამდე და შემდგომაც განეკუთვნებოდა ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნების ჯგუფს; უკრაინა ნარინჯისფერ რევოლუციამდე განეკუთვნებოდა ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნების ჯგუფს, ხოლო 2006 წლიდან 2011 წლამდე წარმოადგენდა თავისუფალ ქვეყანას; ყირგიზეთი ტიტების რევოლუციამდე არ იყო თავისუფალი ქვეყანა, ხოლო 2006 - 2009 წლებში განეკუთვნებოდა ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნების ჯგუფს.

Freedom House-ის ვებ გვერდი. უკანასკნელი წვდომა: 30.04.2018

<https://freedomhouse.org/report/freedom-world/2003/georgia>

<https://freedomhouse.org/report/freedom-world/2004/georgia>

<https://freedomhouse.org/report/freedom-world/2004/ukraine>

<https://freedomhouse.org/report/freedom-world/2006/ukraine>

<https://freedomhouse.org/report/freedom-world/2004/kyrgyzstan>

<https://freedomhouse.org/report/freedom-world/2006/kyrgyzstan>

მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, ფერადი რევოლუციების შემდეგ, საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში ჯინის ინდექსი საგრძნობლად არ შეცვლილა (ცვალებაა დინამიკა 2 % - ის ფარგლებში).

მსოფლიო ბანკის ვებ გვერდი. უკანასკნელი წვდომა: 30.04.2018

<http://data.worldbank.org/indicator/SI.POV.GINI?locations=GE&page=2>

<http://data.worldbank.org/indicator/SI.POV.GINI?locations=UA&page=2>

<http://data.worldbank.org/indicator/SI.POV.GINI?locations=KG&page=2>

ცვლის; მეორე, მოიაზრება არა მხოლოდ მმართველი ჯგუფის, არამედ მართვის საშუალებების ცვლა საზოგადოების სახელით, რომელიც წარმოდგენილია უმრავლესობით; მესამე, ახალი მმართველი ჯგუფის ლეგიტიმაცია ხდება საერთო დოქტრინის ან იდეოლოგიის მქონე ერთეულის მიერ; მეოთხე, იქმნება ახალი სისტემა სახელმწიფოს სახელით: რევოლუციის ტენდენციის მახასიათებელია სახელმწიფოზე კონტროლის ხელში ჩაგდება და გამოყენება ცვლილებებისთვის; მეხუთე, ახალი მმართველები და ინსტიტუტები ხელისუფლებას იღებენ ძალადობით ან ძალადობის მუქარით.⁴

აღნიშნული განმარტების გათვალისწინებით, 2003 - 2005 წლების მოვლენები საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში ექცევა რევოლუციის დეფინიციის ფარგლებში.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია პასუხი გასცეს თეორიულად და ემპირიულად მნიშვნელოვან კითხვებს: განაპირობა თუ არა დეპრივაციამ სოციალური პროტესტი, რომელიც საფუძველი გახდა ხელისუფლების ცვლილების; საკვლევი ქვეყნების მოქმედი პოლიტიკური რეჟიმის ფორმის გათვალისწინებით, საზოგადოების პროტესტის წარმატებით დასრულება განაპირობა თუ არა რევოლუციის დაბალმა საზღაურმა; საქართველოს, უკრაინისა და ყირგიზეთის შემთხვევების განხილვა; ფარდობითი დეპრივაციის თეორიის შესაბამისობის შემოწმება საკვლევ საკითხთან მიმართებაში.

კვლევის მეთოდოლოგიურ შეზღუდვას წარმოადგენს ფერადი რევოლუციების მხოლოდ სამი შემთხვევის ანალიზი, ასევე, ჩაღრმავებული ინტერვიუები ანონიმურ რესპონდენტებთან შეგროვებულია მხოლოდ საქართველოში (სულ ცამეტი ინტერვიუ), ხოლო ექვსი არაანონიმური ინტერვიუების რესპონდენტები იყვნენ უკრაინიდან (ორი რესპონდენტი), რუმინეთიდან (სამი რესპონდენტი), საქართველოდან (ერთი რესპონდენტი), ორივე (ანონიმური და არაანონიმური

⁴. Charles H Fairbanks. *Revolution Reconsidered*. Journal of Democracy, vol. 18, no. 1, 2007, გვ. 42 - 43

ინტერვიუ) შემთხვევაში, რესპონდენტების შერჩევა მოხდა არაშემთხვევითი შერჩევის მეთოდით. თუმცა, კვლევის ფარგლებში სხვა ჰიპოთეზების შემოწმება მეთოდოლოგიური შეზღუდვის ეფექტს შეამცირებს. კვლევა ასევე ემყარება რაოდენობრივ მონაცემებს (ჯინის ინდექსის მონაცემთა ბაზის ანალიზი), მაგრამ მეთოდოლოგიურად წარმოადგენს თვისებრივ კვლევას და საბაზისო მეთოდოლოგიური მიდგომა არის შემთხვევების ანალიზი (case study) ჩაღრმავებული ინტერვიუების საფუძველზე.⁵

ნაშრომში იდენტიფიცირებული თეორიული ვარაუდების გადამოწმება ხორციელდება საქართველოს, უკრაინისა და ყირგიზეთის შემთხვევების ანალიზის გზით, ხოლო კვლევის ქრონოლოგიურ ჩარჩოს წარმოადგენს 1996 – 2005 წლების პერიოდი.⁶

კვლევის ფარგლებში შესასწავლი შემთხვევები დაყოფილია რამდენიმე ეპიზოდად საკვლევი ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, საქართველოსა და უკრაინის შემთხვევებში ემთხვევა გამსახურდიასა და შევარდნაძის, კრავჩუკისა და კუჩმას მმართველობის პერიოდს, ასევე გაყოფილია ქვეპერიოდებად შევარდნაძისა და კუჩმას პირველი და მეორე საპრეზიდენტო ვადის გათვალისწინებით, ყირგიზეთის შემთხვევაში, აკაევის მმართველობის პერიოდში არის განხილული წინარევოლუციური პერიოდი.

ემპირიულ ნაწილში აკადემიურ მასალებზე და ჩაღრმავებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, წინარევოლუციური პერიოდის თავისებურებების გათვალისწინებით, ქრონოლოგიურად შეფასდება პოლიტიკური ელიტების (მოქმედი ხელისუფლება და ოპოზიცია), სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ინსტიტუციების და საგარეო გავლენის / ჩარევის როლი, აღწერილი იქნება არა მხოლოდ სოციალური პროტესტის დინამიკა, არამედ ხელშემწყობი ფაქტორებიც.

ემპირიული ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებული იქნება შესაბამისობა თეორიულ ვარაუდებსა და შედეგებს შორის, რაც შესაძლებელს გახდის არა მხოლოდ

⁵. დეტალური რაოდენობრივი მონაცემების შესახებ, იხილეთ ცხრილი 1 - 16

⁶. მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზაში საქართველოში ჯინის ინდექსის შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომია 1996 წლიდან, უკრაინაში - 1992 წლიდან, ხოლო ყირგიზეთში - 1993 წლიდან, ამიტომ კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო განისაზღვრება 1996 – 2004 წლებით

მიზეზ - შედეგობრივი კავშირის დადგენას ცვლადებს შორის, არამედ დამოუკიდებელი ცვლადის დამოკიდებულ ცვლადზე გავლენის შეფასებას.

დამატებით, გარდა აღწერილი მეთოდოლოგიური მიდგომისა, მონაცემთა ანალიზისთვის შემდეგი ტექნიკა იქნება გამოყენებული: პირველწყაროების ანალიზი, სამეცნიერო ლიტერატურის კონტენტ - ანალიზი თეორიული ჩარჩოს, საკვლევი შემთხვევების შესახებ, ჩაღრმავებული ინტერვიუები პოლიტიკური ელიტის და საექსპერტო წრეების წარმომადგენლებთან, ანონიმურ რესპონდენტებთან.

კვლევის მეთოდოლოგიის განხილვისას, მნიშვნელოვანია ნაშრომში ასახული კულტურული და პოლიტიკური თავისებურებების სოციალური ინტერპრეტაციის მიდგომის ფარგლებში აღწერა.

დედუქციური ახსნა გულისხმობს საფუძვლად მდებარე სოციალური მექანიზმების შესახებ ჰიპოთეზაზე დაფუძნებულ თეორიულ ახსნას, სოციალურ ფაქტორებს შორის მიზეზ - შედეგობრივი კავშირის დადგენას საფუძვლად მდებარე პროცესების თეორიაზე დაყრდნობით. კვლევის შემთხვევაში, თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს ფარდობით დეპრივაციის თეორია, ინდივიდუალური პოლიტიკური მოტივაციის თეორია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს იმ განსვლაზე, რომელიც არსებობს ინდივიდის მოლოდინსა და იმას შორის, რის მიღწევაც რეალურად შეუძლია მას, ღირებულებით მოლოდინებსა და ღირებულებით შესაძლებლობებს შორის განსვლა, ნაკლები მზაობა არსებობს საბრძოლველად, როდესაც მოლოდინები თანხვედრა შემოსავალს.⁷

კონკრეტულ შემთხვევაზე დაყრდნობით მიზეზ - შედეგობრივი ჯაჭვის აგება მოითხოვს ფართო ისტორიულ პროცესში მოვლენათა თანმიმდევრობის შესახებ საკმაოდ დეტალურ ცოდნასა და სარწმუნო თეორიულ ან ინდუქციურ ჰიპოთეზებს სხვადასხვა სახის სოციალური მიზეზ - შედეგობრივობის შესახებ.⁸

⁷. დენიელ ლიტლი. *სოციალური ახსნის მრავალფეროვნება, შესავალი სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფიაში*. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2013. გვ. 10-11

⁸. ლიტლი. *სოციალური ახსნის მრავალფეროვნება*. გვ. 43

ნაშრომის ემპირიულ ნაწილში წარმოდგენილი იქნება საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში განვითარებული მოვლენების თანმიმდევრული აღწერა.

ძირითადი თეორიული დაშვებები, ტერმინების განმარტება

ნაშრომის ამ ნაწილში წარმოდგენილია ძირითადი განმარტებები და თეორიული დაშვებები ფარდობით დეპრივაციასა და ხელისუფლების ცვლას შორის კავშირის შესახებ, სოციალური პროტესტის დროს. კვლევის მიზანია შეაფასოს პოლიტიკური და მატერიალური უთანასწორობა, როგორც საფუძველი სოციალური პროტესტის წინარევოლუციურ პერიოდში. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, კვლევა ემყარება შემდეგ მთავარ თეორიულ დაშვებას: პოლიტიკური და მატერიალური დეპრივაცია გახდა საფუძველი საზოგადოებრივი პროტესტის, რამაც განაპირობა ხელისუფლების ცვლა.

ანალიზის დონეს წარმოადგენს საზოგადოება, როგორც ყველაზე რელევანტური ამ ტიპის საკითხის ანალიზისთვის. ჩალრმავებული ინტერვიუების ანალიზი და ჯინის ინდექსის ინტერპრეტაცია ფარდობითი დეპრივაციის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში, ხსნის პიროვნების დამოკიდებულებას სოციალური უთანასწორობის მიმართ.

კოლექტიური ფარდობითი დეპრივაცია იზომება შემდეგი ფორმულით: $\mu (1 - G)$, სადაც μ - არის საშუალო შემოსავალი, G - ჯინის ინდექსი.⁹

კვლევის მიზნებისთვის, შემოსავალი განიხილება, როგორც ინდივიდუალური შესაძლებლობის ინდექსი, დახარჯოს პროდუქცია, შემოსავლის თითოეული ნაწილი წარმოადგენს პროდუქციის სხვადასხვა ნაწილს, რის შედეგადაც ინდივიდს შეუძლია. შემოსავალი წარმოადგენს ფარდობითი დეპრივაციის ობიექტს.¹⁰

⁹. დეტალური რაოდენობრივი მონაცემების შესახებ, იხილეთ ცხრილი 13 - 16

¹⁰. Yitzhaki. *Relative Deprivation*. გვ. 321-322

ფარდობითი დეპრივაციის თეორია ხსნის საზოგადოების მოტივაციას წინარევოლუციურ პერიოდში, რომლის თანახმად, ფარდობითი დეპრივაცია განისაზღვრება, როგორც განსხვავების აღქმა ინდივიდის მიერ მოლოდინსა (კეთილდღეობა, რომელსაც პიროვნება მიიჩნევს, რომ იმსახურებს) და არსებულს შორის, საკუთარი თავის სხვასთან შედარების დროს.¹¹

ინდივიდი ფარდობითი დეპრივაციის მდგომარეობაში იმყოფება X - ის მიმართ, როდესაც მას არ გააჩნია X, არსებობენ სხვები, რომელთაც გააჩნიათ X, ინდივიდს აქვს სურვილი გააჩნდეს X, მას შესაძლებლად მიაჩნია გააჩნდეს X.¹²

საზოგადოების პროტესტის ახსნის ეს მოდელი საჭიროდ მიიჩნევს სამი წინაპირობის არსებობას: საზოგადოების უკმაყოფილების წინაპირობა - უთანასწორობა, საზოგადოების დარწმუნება, რომ რისკი (პოლიტიკური პროტესტი) გამართლებულია, ურთიერთდამოკიდებულება უკმაყოფილო საზოგადოების ქმედებებსა და ხელისუფლების შესაძლებლობებს შორის გაანეიტრალოს საზოგადოების პროტესტი. აღსანიშნავია, რომ ინდივიდი ინდიფერენტულია მასზე ღარიბის და / ან მასზე მდიდარის შემოსავლის მიმართ.¹³

საკვლევი ქვეყნების შემთხვევაში, ოპოზიციამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოახერხეს საზოგადოების დარწმუნება, რომ პოლიტიკური პროტესტი მოიტანდა სასურველ შედეგს - ხელისუფლების შეცვლას, მოქმედმა ხელისუფლებამ შესაძლებლობა მისცა საზოგადოების პროტესტს დასრულებულიყო სასურველი შედეგით.¹⁴

ჯინის ინდექსი ზომავს რამდენად არის ეკონომიკაში შემოსავლის განაწილება ან დანახარჯი გადახრილი სრულიად თანასწორი განაწილებისგან ინდივიდებს ან ოჯახებს შორის. ჯინის ინდექსი 0 (პროცენტულად) შეესაბამება სრულ თანასწორობას, ინდექსი 100 შეესაბამება სრულ უთანასწორობას.¹⁵

¹¹. Ted Robert Gurr. Почему люди бунтуют. "Питер". 2005. გვ. 30-31, გვ. 61

¹². Yitzhaki. *Relative Deprivation*. გვ. 321

¹³. Yitzhaki. *Relative Deprivation*. გვ. 323

¹⁴. Polese, O Beachain. *The Color Revolution Virus*. გვ. 125-129

¹⁵. მსოფლიო ბანკის ვებ გვერდი. უკანასკნელი წვდომა: 30.04.2018

<http://data.worldbank.org/indicator/SI.POV.GINI>

მოდელის გასამარტივებლად, განხილული იქნება პოლიტიკური ელიტების და სამოქალაქო საზოგადოების შეხედულებები, მესამე აქტორის - საშუალო კლასის როლის შეფასების საკითხი იქნება დროებით უგულვებელყოფილი, ვინაიდან საკვლევი ქვეყნების განვითარების პარამეტრების გათვალისწინებით (კვლევის მიზნებისთვის, ჯინის ინდექსის), ეჭვქვეშ დგება საშუალო კლასის არსებობა საკვლევ ქვეყნებში და შესაბამისად, მას გავლენა ვერ ექნებოდა პოლიტიკურ გარემოზე.

კვლევის ინტერესების გათვალისწინებით, ტერმინი „დეპრივაცია“ მიზანშეწონილია განიმარტოს ორი მნიშვნელობით: აბსოლუტური დეპრივაცია (სიღარიბე) და ფარდობითი დეპრივაცია - უთანასწორობა.

აბსოლუტური დეპრივაციის შემთხვევაში, პოპულაციის შიგნით ჯგუფები არიან ღარიბები, თუ მათი რესურსი საშუალოზე დაბალია და მოკლებულნი არიან ჩვეულებრივი ცხოვრების პირობებს.

ფარდობითი დეპრივაცია არ არის მხოლოდ ეკონომიკური დეპრივაცია, სოციალური ფსიქოლოგია განმარტავს მას როგორც გაზომვად რეაქციას, როგორცაა სოციალური პროტესტი, დისკრიმინაციისა და უსამართლობის შეგრძნება. კვლევის ინტერესების გათვალისწინებით, არ არის აუცილებელი ფარდობითი და აბსოლუტური დეპრივაციის პირობებში მყოფი სოციალური ჯგუფების განცალკევება, ვინაიდან ორივე ჯგუფს გააჩნდა საკმარისი მოტივაცია არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტის. ჯინის ინდექსის მიხედვით, რომელიც გამოხატავს ფარდობით დეპრივაციას რიცხვებში, საზოგადოების ნაწილი, რომელსაც ჰქონდა საშუალოზე მაღალი შემოსავალი, კვლევის ფარგლებში იქნება უგულვებელყოფილი, ვინაიდან მას (საშუალო ფენას) არ შეეძლო გავლენა მოეხდინა პოლიტიკურ პროცესებზე.¹⁶

¹⁶. დეტალური რაოდენობრივი მონაცემების შესახებ, იხილეთ ცხრილი 13 - 16

წინასწარი თეორიული ვარაუდები

ნაშრომის ამ ნაწილში წარმოდგენილია ფარდობითი დეპრივაციის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში შემოწმებადი ვარაუდები. ეს მიდგომა შესაძლებელს გახდის ემპირიულად შემოწმდეს როგორ ხსნის ფარდობითი დეპრივაციის თეორია სოციალურ პროტესტს გამოწვეულს პოლიტიკური და მატერიალური უთანასწორობით და მის გავლენას ხელისუფლების ცვლაზე, რომლის საფუძველზეც შეიძლება დაკვირვებადი ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, რომელიც შემოწმდება ემპირიული კვლევით, ვინაიდან თეორიის მიზანია ინტერპრეტაცია და არა დადასტურება რაიმე თეორიული მოდელის არსებობის.

კვლევის ჰიპოთეზა: უთანასწორობის მაღალი მაჩვენებელი გახდა მიზეზი საზოგადოების უკმაყოფილების, რამაც გამოიწვია ხელისუფლების ცვლა.

ნაშრომის ფარგლებში, ასევე, განხილული იქნება სხვა ჰიპოთეზები, რომელიც ფორმულირებულია ნაშრომის თეორიულ ნაწილში.

ძირითადი თეორიული ვარაუდების განსაზღვრის, არგუმენტების წინასწარი განხილვის შემდეგ, მთავარი ამოცანაა ადასტურებს თუ არა ემპირიული კვლევა ჰიპოთეზას. ნაშრომის მომდევნო ნაწილი დაეთმობა ამ ამოცანის გადაჭრას.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შემდეგი ნაწილებისგან: თეორიული, ემპირიული ნაწილი და კვლევის შედეგების შეჯამება.

თეორიულ ნაწილში განხილული იქნება აკადემიური წყაროები, აღწერილი იქნება კვლევის თეორიული ჩარჩო (ფარდობითი დეპრივაციის თეორია), გამიჯნული იქნება

სიღარიბე (მატერიალური დეპრივაცია) და უთანასწორობა (ფარდობითი დეპრივაცია),¹⁷ ფორმულირებული იქნება კვლევის ჰიპოთეზები.

ნაშრომში აღწერილი იქნება კავშირი არსებული რეჟიმის ტიპსა და უთანასწორობას შორის.¹⁸

ნაშრომის ემპირიული ნაწილი დაეთმობა ჩადრმავებული ინტერვიუების (პირველწყაროების) და აკადემიური წყაროების ანალიზს, პოლიტიკური ელიტების (მოქმედი ხელისუფლება და ოპოზიცია), სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ინსტიტუციების, საგარეო გავლენის როლის შეფასებას კვლევის თეორიული ჩარჩოს გათვალისწინებით.

ნაშრომის შემაჯამებელ ნაწილში დამუშავებული მონაცემების მიხედვით, მოხდება კვლევის ჰიპოთეზების დადასტურება ან უარყოფა, თეორიული ჩარჩოს რელევანტურობის შეფასება.

¹⁷. მოდელი აღწერილია სტატიაში: Jean-Yves Duclos, Phillippe Gregoire. *Absolute and Relative Deprivation and the Measurement of Poverty*. Review of Income and Wealth, vol. 48, no. 4, 2002. გვ. 471–492

¹⁸. მოდელი აღწერილია მონოგრაფიაში: Daron Acemoglu, James A Robinson. *Economic Origins of Democracy and Dictatorship*. Cambridge. Cambridge University Press. 2006

თეორიული ნაწილი

თავი 1. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

სამეცნიერო ლიტერატურა, რომელსაც ნაშრომი ემყარება, შეეხება პოლიტიკური რეჟიმების დეფინიციას, პოსტ - კომუნისტური პოლიტიკური სისტემის თავისებურებებს, საკვლევო ქვეყნების პოლიტიკას ქრონოლოგიური ჩარჩოს გათვალისწინებით, კვლევის თეორიულ ჩარჩოსა და მოდელს, ასევე, გამოყენებული იქნება მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა ჯინის ინდექსის შესახებ და მასალები, რომელიც აღწერს მისი კალკულაციის წესს, Freedom House-ის მონაცემთა ბაზა (Nations in Transit ანგარიში), რომელიც ქვეყნების პოლიტიკური რეჟიმის ტიპის დიფერენციაციას ახდენს,¹⁹ ასევე, პირველწყაროებს - ჩაღრმავებულ ინტერვიუებს აკადემიურ პერსონალთან, შეგროვებულს საქართველოში, უკრაინაში და რუმინეთში, კიევი - მოჰილას აკადემიაში, ბაბეშ - ბოიას და ბუქარესტის უნივერსიტეტებში ვიზიტის დროს აკადემიური პერსონალისგან, ინტერვიუებს ანონიმურ რესპონდენტებთან.²⁰

1.1. პოლიტიკური რეჟიმის დეფინიცია

სამეცნიერო კვლევებში პოლიტიკური რეჟიმი განისაზღვრება, როგორც საზოგადოებაში თამაშის წესები, ინდივიდების მიერ შექმნილი შეზღუდვები, რომელსაც გააჩნია გავლენა ურთიერთობებზე, ადგენენ წახალისებებს იქნება ეს პოლიტიკური თუ სოციალური ხასიათის.²¹

¹⁹. დამხმარე მონაცემთა ბაზად - პროექტი "Polity IV" (პოლიტიკური რეჟიმების მახასიათებლები და ტრანზიციები 1800-2013)

²⁰. ინტერვიუს კითხვარისთვის, იხილეთ დანართი 1

²¹. დუგლას ნორტ. *Институты, институциональные изменения и функционирование экономики*. Фонд экономической книги «НАЧАЛА» 1997, გვ. 3

სამუელ ჰანტინგტონის მიხედვით, რევოლუცია არის სწრაფი, ფუნდამენტური და ძალადობრივი შიდა ცვლილება საზოგადოების დომინანტი ღირებულებების და მითების პოლიტიკურ ინსტიტუტებში, სოციალურ სტრუქტურაში, მმართველობაში, საზოგადოების საქმიანობასა და პოლიტიკაში.²²

რევოლუცია არის უკიდურესი გამოხატულება მოდერნიზაციის მსოფლმხედველობის, რწმენა იმისა, რომ ინდივიდის შესაძლებლობების ფარგლებშია გააკონტროლოს და შეცვალოს გარემო და მას გააჩნია არამხოლოდ შესაძლებლობა, არამედ უფლება მსგავსი მოქცევის.²³

რევოლუციას აქვს ორი წინაპირობა: პირველი, პოლიტიკური ინსტიტუტების უუნარობა უზრუნველყოს ახალი სოციალური ძალების მონაწილეობა პოლიტიკაში და ახალი პოლიტიკური ელიტების მოსვლა ხელისუფლებაში, მეორე, სოციალური ძალების სურვილი, რომლებიც ჩამოშორებულნი არიან პოლიტიკისგან, მიიღონ მონაწილეობა. ეს სურვილი, როგორც წესი, მომდინარეობს ჯგუფებისგან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ესაჭიროებათ სიმბოლური ან მატერიალური მოგება, რომლის მიღებაც შესაძლებელია პოლიტიკაში მონაწილეობით. მზარდი ჯგუფები და ხისტი და მოუქნელი ინსტიტუტები არის ის წინაპირობები, რომლისგანაც რევოლუცია მზადდება.²⁴

არსებობს რამდენიმე ჰიპოთეზა იმასთან დაკავშირებით, თუ რა წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს დემოკრატიისკენ ტრანზიცია. სეიმურ მარტინ ლიპსეტი თავის სტატიაში ამბობს, რომ ეკონომიკური განვითარებაა მთავარი, სამუელ ჰანტინგტონი და რონალდ ინგლეჰარტი საერთო კულტურულ მახასიათებლებს მიიჩნევენ გადამწყვეტად, ფარიდ ზაქარია და რასელ ბოვა ხაზს უსვამენ ლიბერალური რეჟიმის არსებობის გამოცდილებას, თუნდაც კოლონიური არსებობის პირობებში, რობერტ პუტნამი მახვილს სოციალურ კაპიტალსა და ნდობაზე სვამს, ხოლო ადამ პრჟევორსკი შემოსავლების თანასწორობის ზრდაზე. ყველა თანხმდება, რომ დემოკრატიის წარმატებისთვის რაღაც დონეზე საჭიროა ზიარი პოლიტიკური ღირებულებები და ლოიალურობა, რაც საფუძვლად უდევს პოლიტიკურ შეთანხმებას საერთო წესებზე.

²². Samuel P Huntington. *Political Order in Changing Societies*. Yale University Press. 2006. გვ. 264

²³. Huntington. *Political Order*. გვ. 265

²⁴. Huntington. *Political Order*. გვ. 274-275

გარკვეული აღიარებული პარამეტრების ფარგლებში მიმდინარე დიალოგისა და მოლაპარაკებების გარეშე დემოკრატია დროებით „შეჩერდება“, როგორც ჰობსბაუმი აღნიშნავს. საქართველოს შემთხვევაში, პოლიტიკურმა დაყოფამ, სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი დროით უქონლობამ და ჩამოუყალიბებელმა, პიროვნული ერთგულების მიხედვით დაშლილმა სამოქალაქო საზოგადოებამ მიგვიყვანა სუსტ ნაციონალურ საზოგადოებამდე.²⁵

აკადემიური კვლევების ნაწილი, რომელსაც ნაშრომი ემყარება, ახდენენ ჰიბრიდული რეჟიმების დახასიათებას. აღნიშნული მასალები მნიშვნელოვანია, ვინაიდან ხსნიან ტრანზიციული პოლიტიკური რეჟიმის თავისებურებებს, ლათინური ამერიკის, აფრიკის, აზიის და ყოფილი კომუნისტური ქვეყნების პოსტ - ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმები მიიჩნევა როგორც დემოკრატიები ზედსართავებით.²⁶

დემოკრატიული მშვიდობის თეორიის თანახმად, კონფლიქტების რაოდენობას შეამცირებს ტრანზიციული ქვეყნების დემოკრატიული ტრანსფორმაცია, რაც 1990-ანი წლების აშშ-ს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი გახდა. ცივი ომის შემდგომ პერიოდში პოსტ - კომუნისტურ სივრცეში ჩამოყალიბდა ჰიბრიდული რეჟიმები, რომლებიც ავტორიტარულ მმართველობას და დემოკრატიულ ელემენტებს აერთიანებდა, თუმცა, მათი ტრანსფორმაცია დემოკრატიულ რეჟიმებად ყოველთვის არ სრულდებოდა წარმატებით. ჰიბრიდულ რეჟიმებში მნიშვნელოვნად მიიჩნევა დემოკრატიის ოთხი ელემენტის არსებობა, ესენია: არჩევნები, კანონმდებლობა, სასამართლო, მედია.²⁷

სამუელ ჰანტინგტონი სტატიაში „დემოკრატიზაციის მესამე ტალღა“ აყალიბებს პოსტ - საბჭოთა ქვეყნებში დემოკრატიული ტრანსფორმაციის ხელშემწყობ და შემაფერხებელ ფაქტორებს, პოლიტიკურ ელიტებს მიიჩნევს მთავარ გადაწყვეტილების მიმღებებად. მაიკლ მაკფოლი ხაზ უსვამს პოლიტიკური ელიტების როლს და ფერად რევილუციებს დემოკრატიზაციის წინაპირობად არ მიიჩნევს.

²⁵. სტივენ ჯონსი. *საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ*. თბილისი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. 2013. გვ. 20

²⁶. დეტალურად განხილულია სტატიაში: David Collier, Steven Levitsky. *Democracy with Adjectives: Conceptual Innovation in Comparative Research*. World Politics, vol. 49, no. 3, 1997, გვ. 430-451

²⁷. Steven Levitsky, Lucan Way. *The Rise of Competitive Authoritarianism*. Journal of Democracy, vol. 13, no. 2, 2002, გვ. 54

მესამე ტალღის ქვეყნების უმეტესობას არ მიუღწევია შედარებით უკეთესად ფუნქციონირებადი დემოკრატიისთვის, ან არ ჩანს, რომ ცდილობენ გააღრმავონ ან გააუმჯობესონ მიღწეული დემოკრატიული პროგრესი. ტრანზიციული ქვეყნების უმეტესობა, მიუხედავად ამისა, არ არიან დიქტატურა და არც ნათლად გამოხატული დემოკრატია. ისინი წარმოადგენენ პოლიტიკურად რუხ ზონას. მათ აქვთ დემოკრატიული პოლიტიკური ცხოვრების ატრიბუტები, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისთვის და დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოებისთვის შეზღუდული პოლიტიკური სივრცის ჩათლით, ამასთანავე, რეგულარული არჩევნები და დემოკრატიული კონსტიტუცია. ამის მიუხედავად, მათ აქვთ დემოკრატიის სერიოზული დეფიციტი, ხშირად მოქალაქეთა ინტერესების სუსტი რეპრეზენტაციით, პოლიტიკური მონაწილეობის დაბალი დონით გარდა ხმის მიცემის უფლებისა, ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ კანონმდებლობის ხშირი დარღვევით, გაურკვეველი ლეგიტიმურობის არჩევნებით, საზოგადოების ნდობის ძალიან დაბალი დონით საჯარო ინსტიტუტების მიმართ და სუსტი ფუნქციონირებით სახელმწიფო ინსტიტუტების.²⁸

პოლიტიკური რეჟიმის ფორმასთან მიმართებაში გასათვალისწინებელია, რომ დემოკრატია წარმოადგენს პოლიტიკური რეჟიმის წრფის ერთ მხარეს, რომლის მეორე მხარე არის დიქტატურა, მაქს ვებერის მიხედვით, ეს ორი ტიპი არის იდეალური, რომელიც შეიძლება არ არსებობდეს ყველა ქვეყანაში იდეალური სახით, მათ შორის, პოსტ - საბჭოთა ქვეყნების პოლიტიკურ რეჟიმს ხშირად მოიხსენიებენ როგორც ჰიბრიდულს ან მართულ დემოკრატიას.²⁹

პოსტ - კომუნისტურ ქვეყნებში საზოგადოების პროტესტი ხელისუფლების ცვლით სრულდება ჰიბრიდული (არაკონსოლიდირებული ავტორიტარიზმის) მოქმედი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში.

²⁸. Thomas Carothers. *The End of Transition Paradigm*. Journal of Democracy, vol. 13, no. 1, 2002, გვ. 9-10

²⁹. Henry E Hale. *Democracy and Revolution in the Post - Communist World. From Chasing Events to Building Theory*. Indiana University. April. 2005. გვ. 2

1.2. პოლიტიკური ტრანზიციის ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები

პოლიტიკური ტრანზიციის თეორია ემყარება დასავლეთ ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მაგალითს, რომლის მიხედვით, არადემოკრატიულ ქვეყნებში, მოსახლეობის ღარიბი ნაწილი შეიძლება შეეცადოს რევოლუციის მოწყობას მაშინ, როცა მისი საზღაური დაბალია, განსაკუთრებით რეცესიის დროს. რევოლუციის მუქარამ შეიძლება აიძულოს ელიტები გახდნენ დემოკრატიული, ვინაიდან რაც უფრო დიდია უთანასწორობა, რევოლუციის საფასური ელიტებისთვის უფრო მაღალია.³⁰

სამოქალაქო საზოგადოების არსებობა დემოკრატიული ტრანზიციის ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევა, მაგრამ შესაძლოა გააჩნდეს შერეული მნიშვნელობა კლასიკური რეფორმატორული ტრანზიციის პირობებში: მარგინალიზებული ჯგუფების ორგანიზება და ხელისუფლების მიმართ არაძალადობრივი მუქარა აიძულებს მმართველ ელიტას წავიდეს დათმობაზე. ტრანზიციის შემდეგ, ორგანიზაციების მიერ ახალი წესებით თამაში უზრუნველყოფს ახალი რეჟიმის სტაბილურობას.³¹

მოდერნიზაციის თეორიის თანახმად, შემოსავლისა და განათლების დონის ზრდას აქვს გავლენა ადამიანების აღქმებზე და საბოლოოდ პოლიტიკურ სისტემაზე, რადგან ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალი დონე აადვილებს დემოკრატias.³²

მომდევნო განხილული კვლევა ამყარებს მოსაზრებას უთანასწორობასა და დემოკრატias შორის უარყოფითი კორელაციის შესახებ, ასევე აგრძელებს სამუელ ჰანტინგტონის მოსაზრებას დემოკრატiasა და რელიგიას შორის დადებითი კორელაციის არსებობის შესახებ და თანასწორობას ან უთანასწორობას რელიგიური შეხედულებებით ხსნის, ქრისტიანობას და იუდაიზმს მიიჩნევს რელიგიებად, რომლებიც მომხრეა დემოკრატის არსებობის და ასეთი პირობები ამცირებს უთანასწორობას, ხოლო ისლამს და კონფუციანიზმს პირიქით, უთანასწორობის

³⁰. Daron Acemoglu, James A. Robinson. *A Theory of Political Transitions*. The American Economic Review, vol. 91, no. 4, 2001, გვ. 938

³¹. Philippe C. Schmitter, *Twenty-Five Years, Fifteen Findings*, Journal of Democracy, vol. 21, no. 1, 2010, გვ. 24

³². Larry Diamond, *Seymour Martin Lipset. 1959. "Some Social Requisites of Democracy: Economic Development and Political Legitimacy."* American Political Science Review, vol. 100, no. 4, 2006, გვ. 676

მხარდამჭერ რელიგიურ მიმდინარეობებად მიიჩნევს, რომლისთვისაც დემოკრატიის არსი ბუნდოვანია.³³

მეცნიერთა ერთი ნაწილი შიდა და საგარეო კონფლიქტებს მიიჩნევენ დემოკრატიზაციის შედეგად, განსაკუთრებით, გაჭიანურებული ტრანსფორმაციის პირობებში.³⁴

საგულისხმოა მიდგომა, რომლის თანახმადაც, „ევროპის“ იდეა უკავშირდება დემოკრატიულ ინსტიტუტებს, ხოლო „ევრაზია“ გარკვეული ტიპის ჰიბრიდული, მაგრამ ძირითადად ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმის ლეგიტიმაციას. „დემოკრატიის გავრცელების“ პარალელურად, განიხილება „ავტორიტარიზმის გავრცელების“ კონცეფცია, თუმცა, დემოკრატიისგან განსხვავებით, არ ხდება ავტორიტარიზმის „იმპორტი“ და არ არსებობს მისი საგარეო ხელშეწყობის საჭიროება.³⁵

უთანასწორობა ინდივიდებს შორის ნაკლებად ხდება სამოქალაქო პროტესტის საფუძველი, თუმცა, როდესაც ადგილი აქვს ჰორიზონტალურ უთანასწორობას საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებს შორის, შეიძლება გახდეს მიზეზი სოციალური პროტესტის.³⁶

1.3. ფარდობითი დეპრივაციის თეორია

კვლევის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს ფარდობითი დეპრივაციის თეორია,³⁷ რომელიც ხსნის საზოგადოების მოტივაციას წინარევოლუციურ პერიოდში. აღნიშნული თეორიის თანახმად, ფარდობითი დეპრივაცია განისაზღვრება, როგორც ინდივიდის მიერ სხვაობის აღქმა მოლოდინსა (კეთილდღეობა, რომელსაც ინდივიდი

³³. დეტალურად: Mark Gradstein, Branko Milanovic, Yvonne Ying. *Democracy and Income Inequality*. The World Bank Development Research Group. Poverty and Human Resources. March. 2001

³⁴. David S. Siroky, David Aprasidze. *Guns, roses and democratization: Huntington's secret admirer in the Caucasus*. Democratization, vol. 18, no. 6, 2011, გვ. 1229

³⁵. Ghia Nodia. External Influence and Democratization: The Revenge of Geopolitics, *Journal of Democracy*, vol. 25, no. 4, 2014, გვ. 142

³⁶. დეტალურად: Gudrun Ostby. *Horizontal Inequalities, Political Environment, and Civil Conflict Evidence from 55 Developing Countries 1986–2003*. World Bank Policy Research Working Papers. 2006

³⁷. Гарт. *Почему люди бунтуют*. გვ. 30-31, გვ. 61

მიიჩნევს, რომ იმსახურებს) და არსებულს შორის, საკუთარი თავის სხვასთან შედარების დროს.

ფარდობითი დეპრივაციის კონცეფცია განვითარდა 1940 - იან წლებში და გახდა ცენტრალური ცვლადი სოციალური მოძრაობის ასახსნელად. სოციალური მოძრაობა იწყება მაშინ, როდესაც ადამიანების ჯგუფები განიცდიან ფარდობით დეპრივაციას. კონცეფცია ხსნის რამდენიმე პარადოქსს უნივერსალური საშუალებით - ადამიანების რეაქცია ობიექტურ გარემოებებზე დამოკიდებულია მათ სუბიექტურ შეხედულებებზე.³⁸

ფარდობითი დეპრივაცია დაკავშირებულია გაზომვად სოციალურ და ფსიქოლოგიურ რეაქციებთან, როგორცაა სოციალური პროტესტი, დისკრიმინაცია, უსამართლობის შეგრძნება. შემოსავლის განაწილების უთანასწორობა ასევე გამოიყენება კონცეფციის ასახსნელად.³⁹

მატერიალური, პოლიტიკური და სოციალური დეპრივაცია დაკავშირებულია სიღარიბესთან და სოციალურ გარიყვასთან, მნიშვნელოვანია ქცევის და დამოკიდებულების ასახსნელად, რაც განაპირობებს ადამიანების ჩართულობას კოლექტიურ ქმედებებში. უთანასწორო მდგომარეობაში მყოფი ადამიანების წარმატება სხვადასხვა სფეროში შეზღუდულია, რაც განაპირობებს ამ ადამიანების გარიყვას, ხოლო მათი დამოკიდებულება არსებული სისტემის მიმართ არის უიმედო, თუმცა ეს ადამიანები არ ერთვებიან კოლექტიურ პროტესტში. საპროტესტო მოძრაობაში ჩართულ ადამიანებს აქვთ მაღალი თვითშეფასება და უკეთესი მომავლის მოლოდინი.⁴⁰

რუნციმანი გამოყოფს ფარდობითი დეპრივაციის სამ სახეს: ინდივიდუალურს, როდესაც ადამიანი მიიჩნევს, რომ განიცდის უსამართლო პერსონალურ დეპრივაციას, ჯგუფურს, როდესაც დეპრივაციას განიცდის სოციალური ჯგუფი, რომელსაც ადამიანი საკუთარ თავს მიაკუთვნებს და დეპრივაციის განცდა სხვების მაგიერ,

³⁸. Ian Walker, Heather J. Smith, eds. *Relative Deprivation, Specification, Development and Integration*. Cambridge University Press. 2002. გვ. 1

³⁹. Duclos. *Absolute and Relative Deprivation*. გვ. 2

⁴⁰. Satish K Arora. *Political Participation: Deprivation and Protest*. Economic and Political Weekly, vol. 6, no. 3/5, 1971, გვ. 347

როდესაც ადამიანი განიცდის სხვა ჯგუფის წევრების უსამართლო მდგომარეობას. თუმცა, ჯგუფური დეპრივაციის განცდასა და სხვების მაგივრად დეპრივაციის განცდას შორის ნეგატიური კორელაციაა ადამიანის ეგოისტური ბუნების გამო, ერთი ჯგუფის მოგება განიხილება როგორც მეორე ჯგუფის დანაკარგი, როდესაც ადამიანებს არ სჯერათ ორმხრივად მომგებიანი გადაწყვეტის შესაძლებლობის არსებობის, ჯგუფის გარეთ არსებულების ინტერესებს არ იცავენ. აღსანიშნავია, რომ ადამიანის მიერ დაუცველობის შეგრძნება დამოკიდებულია ამჟამინდელ კეთილდღეობაზე და მის ცვალებადობაზე წარსულში, რის საფუძველზეც ახდენს მომავლის შესაძლებლობების შეფასებას.⁴¹

ფარდობითი დეპრივაცია არ მუშაობს უღარიბეს საზოგადოებებში ან ომის და კონფლიქტის დროს. სწრაფმა ეკონომიკურმა ზრდამ შესაძლებელია გამოიწვიოს ტრადიციული ინსტიტუტების რღვევა და სოციალურ - პოლიტიკური არასტაბილურობა. საფრანგეთის რევოლუციის მიზეზების ანალიზისას, ტოკვილი აღნიშნავს, რომ დიდი უკმაყოფილება გაჩნდა იმ სექტორში, სადაც შესამჩნევი ეკონომიკური ზრდა იყო 1780-იან წლებში. ოლსუნმა განავითარა ეს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ეკონომიკური ზრდა ზრდის ღარიბი და უკმაყოფილო ადამიანების რიცხვს.⁴²

აღნიშნულს ადასტურებს მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური ზრდის დინამიკაზე დაკვირვება.⁴³

გური ამტკიცებს, რომ ფარდობითი დეპრივაცია არის აღშფოთება გამოწვეული სასურველსა და არსებულს შორის განსხვავებით. ფორმულა არის შემდეგი:

$$RD = \frac{VE - VC}{VE}$$

სადაც RD არის ფარდობითი დეპრივაცია, VE - ფასეულობა, რის სურვილიც აქვს ადამიანს და მიაჩნია, რომ იმსახურებს, ხოლო VC - ნივთები და შესაძლებლობები, რაც აქვთ ადამიანებს ან რის მოპოვებაც შესაძლებლად მიაჩნიათ. აღნიშნული ცვლადების ფარგლებში, გური გამოყოფს სამი ტიპის დეპრივაციას: “Aspirational” - როდესაც

41. Walter Bossert, Conchita D'Ambrosio. *Measuring Economic Insecurity*. International Economic Review, vol. 54. 2013, გვ. 1017

42. Mancur Olson. *The Logic of Collective Action, Public Goods and the Theory of Groups*. Harvard University Press, 2002. გვ. 64

43. დეტალური რაოდენობრივი მონაცემების შესახებ, იხილეთ ცხრილი 17

ადამიანის შესაძლებლობები რჩება უცვლელი, ხოლო სასურველი ფასეულობების მოთხოვნილება იზრდება, “Decremental“ - როდესაც ადამიანის შესაძლებლობები იკლებს, ხოლო სასურველი ფასეულობების მოთხოვნილება რჩება უცვლელი, “Progressive“ - როდესაც ადამიანების შესაძლებლობები იკლებს, ხოლო მოთხოვნილება იმატებს.⁴⁴

საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში საზოგადოების უკმაყოფილების შესახებ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ ეკონომიკური დეპრივაციის ტიპი იყო “Progressive“.⁴⁵

საზოგადოების პროტესტის ახსნის ეს მოდელი გულისხმობს სამი შემდეგი წინაპირობის არსებობას: საზოგადოების უკმაყოფილების გამომწვევი პირობების არსებობა, საზოგადოების დარწმუნება, რომ რისკი (პოლიტიკური პროტესტი) გამართლებულია, დამოკიდებულება უკმაყოფილო საზოგადოების მოქმედებებსა და მოქმედი ხელისუფლების შესაძლებლობებს შორის, ნეიტრალიზება მოახდინოს საზოგადოების პროტესტის.

საკვლევი ქვეყნების შემთხვევაში, საზოგადოების უკმაყოფილება განპირობებული იყო პოლიტიკური და მატერიალური უთანასწორობით.⁴⁶

მკვლევართა ნაწილის მოსაზრების მიხედვით, საზოგადოების უკმაყოფილების მიზეზი გახდა გაყალბებული არჩევნები.⁴⁷

უკრაინის შემთხვევაში, ბიზნეს ინტერესების არსებობა და მათი ფინანსური მხარდაჭერა საზოგადოების მობილიზებისთვის კიბერ - რესურსების გამოყენებით ასევე მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო.⁴⁸

ოპოზიციამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოახერხეს დაერწმუნებინათ საზოგადოება, რომ პოლიტიკური პროტესტი მოიტანდა სასურველ შედეგს - ხელისუფლების ცვლას, საქართველოს, უკრაინისა და ყირგიზეთის შემთხვევაში,

⁴⁴ Faye Crosby. *Relative Deprivation Revisited: A Response to Miller, Bolce, and Halligan*. The American Political Science Review, vol. 73, no. 1, 1979, გვ. 107

⁴⁵ დეტალური რაოდენობრივი მონაცემების შესახებ, იხილეთ ცხრილი 13, 14, 15

⁴⁶ შეფასება მოხდება ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზის მიხედვით

⁴⁷ ავტორის ინტერვიუ ოლექსეი ჰარანთან, კიევი - მოჰილას აკადემიის პროფესორთან, კიევი, ივნისი, 2012

⁴⁸ Andrew Wilson. *Ukraine's Orange Revolution*. New Haven and London. Yale University Press. 2005. გვ. 198, გვ. 202

მოქმედმა ხელისუფლებამ (შევარდნაძე, კუჩმა, აკაევი) საშუალება მისცეს საზოგადოების პროტესტს მოეტანა სასურველი შედეგი, რაც არ დაუშვა მაგალითად, ლუკაშენკომ ბელარუსში.⁴⁹

ჯინის ინდექსის ინტერპრეტაცია თანმიმდევრულია ფარდობითი დეპრივაციის თეორიის და ხსნის მატერიალური უთანასწორობისადმი დამოკიდებულებას. დეპრივაციის გავლენა შედეგია რაიმეს არქონის, რომელიც სხვებს აქვთ. ადამიანი თავს ადარებს არა მთლიანად საზოგადოებას, არამედ რომელიმე ჯგუფს.

დეპრივაციის სოციალური შეფასება გამოიხატება შემდეგნაირად: წარმოადგენს მზარდ ფუნქციას პერსონების რაოდენობის იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ დეპრივაციის საგანი, ან პერსონები, რომელთაც არ გააჩნიათ დეპრივაციის საგანი, წარმოადგენენ მზარდ ფუნქციას მათი, ვინც არ განიცდის დეპრივაციას.

საზოგადოებაში მატერიალური დეპრივაცია განისაზღვრება μG ფუნქციით: სადაც μ არის შემოსავალი, რომელიც პერსონას ექნებოდა ეგალიტარიანული (თანასწორი) განაწილების შემთხვევაში; G ჯინის ინდექსი. საზოგადოების დაკმაყოფილება იზომება შემდეგი ფორმულით: $\mu(1-G)$.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შემოსავალი განიხილება ფარდობითი დეპრივაციის ობიექტად. შემოსავალი წარმოადგენს ინდექსს ინდივიდის შესაძლებლობისა, მოიხმაროს ნივთები.

შემოსავლის თითოეული ნაწილი შეესაბამება შესაძენ პროდუქტს. შესაძლო დეპრივაციის რანჟირება არის $0 - Y^*$ (უმაღლესი შემოსავალი საზოგადოებაში). კონკრეტული i პერსონისთვის შემოსავალი არის Y_i , მისთვის დეპრივაცია შეიძლება რანჟირებდეს Y_i -დან Y^* -მდე, ხოლო შემოსავალი შეიძლება რანჟირებდეს 0 -დან Y_i -მდე. მთლიანი დეპრივაცია არის ჯამი იმ შემოსავლის, რის მიღების შესაძლებლობაც არ აქვს ინდივიდს. ამასთანავე, საზოგადოების ყველაზე მდიდარი პერსონა არ განიცდის დეპრივაციას. პერსონა ინდიფერენტულია იმ პირთა შემოსავლის მიმართ, რომელიც მასზე ღარიბია. უფრო მდიდარის შემოსავლის ზრდა ზრდის დეპრივაციას

⁴⁹. Polese, O Beachain. *The Color Revolution Virus*. გვ. 125-129

და არ ცვლის კმაყოფილებას. ჯინის ინდექსი არის რაოდენობრივი მაჩვენებელი ფარდობითი მატერიალური დეპრივაციის.

ფარდობითი დეპრივაცია ასოცირდება დაბალ სოციალურ კმაყოფილებასთან.⁵⁰

ჯინის ინდექსის გამოთვლის ერთ - ერთი წესი მოიცავს მის დაანგარიშებას ლორენცის მრუდის მიხედვით და გამოითვლება შემდეგნაირად:⁵¹

$$G = 1 - \frac{1}{\mu} \int_0^{y^*} (1 - F(y))^2 dy$$

სადაც ინტეგრალი წარმოადგენს მთელ სიდიდეს, რომელსაც განიხილავენ როგორც მისი უსასრულოდ მცირე ნაწილების ჯამს;

$F(y)$ წარმოადგენს კუმულაციურ ალბათობას შემოსავლის განაწილების;

μ - საშუალო შემოსავალს, სავარაუდოდ, სასრულ სიდიდეს;

y^* - შემოსავლის ზედა ზღვარს, რომელიც შესაძლოა, არ იყოს სასრული.

ჯინის ინდექსი შეიძლება ჩაითვალოს როგორც შემოსავლების განაწილების ლორენცის მრუდის შემაჯამებელი სტატისტიკა. ლორენცის მრუდი $L(u)$ არის პროპორცია ეკონომიკის მთლიანი შემოსავლის, რომელიც მიღებულია ყველაზე დაბალი 100u% შემოსავლების მიმღებების ერთობლიობით. ჯინის ინდექსი არის სხვაობა აღნიშნულ ლორენცის მრუდსა და იმ ეკონომიკის ამსახველ ლორენცის მრუდს შორის, სადაც ყველა იღებს ერთი და იგივე შემოსავალს.

$$G = 1 - 2 \int_0^1 L(u) du$$

ჯინის ინდექსი ემყარება დაკვირვების წყვილებს შორის აბსოლუტური სხვაობის საშუალოს და წარმოადგენს შეფარდებას ამ საშუალოს ნახევარის და განაწილების მნიშვნელობის.

⁵⁰. Ana I. Balsa, Michael T. French, Tracy L. Regan. *Relative Deprivation and Risky Behaviors*. Journal of Human Resources, vol. 49, no. 2, 2014, გვ. 446-471. გვ. 446

⁵¹. აღწერილია ნაშრომში: Robert Dorfman. *A Formula for the Gini Coefficient*. The Review of Economics and Statistics, vol. 61, no. 1, 1979, გვ. 146-149

ჯინის ინდექსი ზომავს სტატისტიკური ან ალბათობის განაწილების ცვალებადობას. ინდექსი ემყარება დაკვირვების წყვილებს შორის სხვაობის აბსოლუტურ საშუალოს, წარმოადგენს თანაფარდობას ამ საშუალოს ნახევარსა და განაწილების საშუალოს შორის.

$$L(u)du = \frac{1}{2} \mu \int_0^{y^*} (1 - F(y))^2 dy$$

$F(y)$ განისაზღვრება როგორც პოპულაციის პროპორცია, რომელიც იღებს შემოსავალს არაუმეტეს y -სა, რომელსაც გააჩნია სასრული შემოსავლის განაწილება, რომელიც არის μ -ს ტოლი. ლორენცის მრუდი $L(u)$ არის u -ს ფუნქცია (სადაც $0 \leq u \leq 1$) და წარმოადგენს პროპორციას აგრეგირებული შემოსავლის, რომელსაც იღებს მოსახლეობა $100u$ -ს ქვემოთ, $y(u)$ არის მაღალი შემოსავალი, რომელიც არ ცდება u -ს.

ჯინის ინდექსი ემყარება შემოსავლის განაწილებას და წარმოადგენს ნახევარს დაკვირვების ფარგლებში წყვილების საშუალო აბსოლუტური სხვაობის შეფარდების μ საშუალოსთან.

$$\text{თუ } \Delta = |x - y|, \quad \text{მაშინ } G = \frac{\Delta}{2\mu}$$

$$\Delta = 2(\mu - E \min(x, y))$$

$$\text{Prob}(\min(x, y) \leq z) = 1 - \text{Prob}(x > z)\text{Prob}(y > z) = 1 - (1 - F(z))^2$$

$$G = \frac{\Delta}{2\mu} = 1 - \frac{1}{\mu} \int_0^{y^*} (1 - F(y))^2 dy; \quad \text{სადაც } y^* = (1 - F(y^*))^2$$

1.4. ნაშრომის ფარგლებში განხილული სხვა ჰიპოთეზების თეორიული ჩარჩო

ნაშრომის ფარგლებში განხილული ჰიპოთეზებისთვის თეორიულ ჩარჩოს ასევე წარმოადგენს ინსტიტუციონალური ცვლილების თეორია, ფორმულირებული დუგლას ნორტის, კაი ვეგერიჰის კვლევებში, რომელიც ფოკუსირებულია სოციალური სტრუქტურის ღრმა და ელასტიურ ასპექტებზე, მოიცავს პროცესს სოციალური ქცევის ფორმირების სტრუქტურის, წესების, ნორმების, აქტორების მიზნებზე და

ორგანიზაციულ გარემოზე ინსტიტუტებს და ინტერესებს შორის ურთიერთობის გავლენის შესახებ.⁵²

ინსტიტუციური თეორიის მიხედვით, სისტემას ქმნის შესაძლებლობებისა და შეზღუდვების ერთობლიობის ადაპტაცია,⁵³ ინსტიტუციური ცვლილების საფუძველია ღირებულებების ცვლილება.⁵⁴ ინსტიტუციური სტრუქტურის ცვლილება ყოველთვის არ არის სოციალურად პროდუქტიული, ინსტიტუციური სისტემა ხშირად ქმნის დამახინჯებულ სტიმულებს, ვინაიდან ორგანიზაციები იქმნება მათი დამფუძნებლების ინტერესების გასატარებლად.⁵⁵

დასახელებულ ნაშრომებში განხილულია ცვლილების ორი სახე: დისკრეტული და უწყვეტი. დისკრეტული ცვლილებები მოიცავს ფორმალური წესების რადიკალურ ცვლილებას, რომელიც როგორც წესი, ხდება რევოლუციით ან დაპყრობით, რაც აქტუალურია საკვლევ საკითხთან მიმართებაში. უწყვეტი ცვლილება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის ჯერ კიდევ შესაძლებელია მოლაპარაკებები.⁵⁶

ვარდების რევოლუციასთან მიმართებაში, პოპულარულია კითხვა იყო თუ არა რეალურად „რევოლუცია“. ზოგიერთები არჩევენ მოვლენებს უწოდონ რეჟიმის ცვლილება ან პოლიტიკური ლიდერების ცვლილება. რევოლუციაზე საუბარი მართებულია შედარებით კონტექსტში: უფრო მეტად რევოლუცია, ვიდრე რეფორმა ან გადატრიალება ან ტრანზიცია. რევოლუციის მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე, რასთანაც ხდება შედარება.⁵⁷

ცვლილებას მხარს უჭერს საზოგადოების ის ნაწილი, რომლისთვისაც ცვლილება სარგებლის მომტანია და ეწინააღმდეგება ის ნაწილი, რომელმაც შეიძლება სარგებელი დაკარგოს ცვლილებით. ცვლილების ხასიათი ასევე დამოკიდებულია არსებულ ინსტიტუტებზე, რამდენად უწყობს ხელს ინსტიტუტები ადამიანების სოციალური

⁵². დეტალურად: William Richard Scott. *The Adolescence of Institutional Theory*. Administrative Science Quarterly, vol. 32, no. 4, 1987, გვ. 493-511

⁵³. Норт. *Институциональные изменения*. გვ. 108

⁵⁴. Норт. *Институциональные изменения*. გვ. 109

⁵⁵. Норт. *Институциональные изменения*. გვ. 98

⁵⁶. Норт. *Институциональные изменения*. გვ. 116

⁵⁷. Ghia Nodia. *The Dynamics and Sustainability of the Rose Revolution*. pp. 38 – 52. Edited by the Michael Emerson. *Democratization in the European Neighborhood*. Centre for European Policy Studies. Brussels. 2005. გვ. 38 – 39

პრობლემების გადაწყვეტას და რამდენად არის უზრუნველყოფილი უმრავლესობის წარმომადგენლობით ორგანოებში ჩართულობა.⁵⁸

ნაშრომთან მიმართებაში მნიშვნელოვანია პოლიტიკური ტრანზიციის თეორიის მოკლე განხილვა, რომლის მიხედვითაც, საკვლევი ქვეყნების შემთხვევაში, საზოგადოების პროტესტი განაპირობა მოქმედი ხელისუფლების კორუმპირებულობამ და გაყალბებულმა არჩევნებმა.

საქართველოში მასობრივი მობილიზაციის მიზეზი იყო არშემდგარი სახელმწიფო, მიუხედავად არჩევნების გაყალბებისა, საქართველოს მოქალაქეები აპროტესტებდნენ პირველი ტრანზიციის მარცხს, რომელმაც შექმნა კორუფციული, არაეფექტური და ნახევრად ავტორიტარული სახელმწიფო. ოპოზიციის დაპირება იყო “გაყინული ტრანზიციის” დასრულება, „ერთიანობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა“.⁵⁹

ინსტიტუციურ ცვლილებასთან მიმართებაში განიხილება აქტორებზე ან სტრუქტურებზე ორიენტირებული მიდგომა. აქტორებზე ორიენტირებული მიდგომა ემყარება აქტორების რაციონალურ ბუნებას, ხოლო სტრუქტურებზე ორიენტირებული მიდგომა არაფორმალურ და ფორმალურ ინსტიტუტებს, რომლებსაც გავლენა აქვთ ინდივიდის ქცევებზე და მათ წარმოდგენებზე.

საარჩევნო ცვლილებების „რეალურ“ მიზეზებს შორის გასათვალისწინებელია არა მხოლოდ სტრუქტურული გავლენა, არამედ არჩევნების როლი და გავრცელება ნაციონალურ დონეზე დიქტატორების დასამარცხებლად. გასათვალისწინებელია ასევე „რეალური“ აქტორები, რომელთაც მოახდინეს ავტოკრატების შესაცვლელად ინსტრუმენტის განვითარება და ადაპტაცია.⁶⁰

საკვლევი ქვეყნების შემთხვევაში, რევოლუციების წარმატებით დასრულებაში მნიშვნელოვანი იყო საგარეო გავლენა / ჩარევა, რაც გამოიხატა ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების მხარდაჭერაში.

⁵⁸. Gerard Roland. *Understanding Institutional Change: Fast – Moving and Slow – Moving Institutions*. Nanjing Business Review, vol. 2, 2005, გვ. 15

⁵⁹. Siroky, Aprasidze. *Guns, roses and democratization*, გვ. 1235

⁶⁰. Valerie Bunce, Sharon Wolchik. *Debating the Color Revolutions: Getting Real About "Real Causes"*, Journal of Democracy, vol. 20, no. 1, 2009, გვ. 72

ინსტიტუციური ცვლილება ფოკუსირებულია წესებზე და პროცესზე, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდების და ინსტიტუტების ურთიერთობებს. ინსტიტუტების ჩამოყალიბება ხდება არასრული ინფორმაციის საფუძველზე, ხოლო ახალი ინფორმაცია ცვლის ინდივიდების წარმოდგენებს ინსტიტუტებზე. გამოყოფენ ორი ტიპის ცვლილებას, ქვემოდან - საზოგადოების მიერ მოთხოვნილს და ზემოდან ან საგარეო ჩარევით.

ლუკან ვეი ფერადი რევოლუციების მიზეზების შეფასებისას გადამწყვეტად მიიჩნევს გარე ფაქტორების გავლენას. აღნიშნულ მიდგომას აკრიტიკებენ ვალერი ბუნსი და შარონ ვოლჩიკი და მიიჩნევენ, რომ ფერადი რევოლუციები საარჩევნო ცვლილებების შედეგია და მხოლოდ სტრუქტურული ფაქტორები ვერ ახსნიან საარჩევნო ცვლილებების ტალღას. 1970 – იან წლებში გარდაუვლად მიიჩნევდნენ კომუნიზმის კოლაფსს ეკონომიკური კრიზისის, გაბრაზებული მოქალაქეების, გაყოფილი პარტიების, მზარდი კორუფციის, მზარდი იმპერიალიზმის საფრთხეების გამო, 20 წლის შემდეგ სისტემა დაიშალა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური პროტესტის ნაციონალურ დონეზე გავრცელების გამო.⁶¹

1.5. საკვლევ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეფასება

საკვლევ ქვეყნების პოლიტიკის აღწერისა და შეფასებისთვის, ნაშრომი ემყარება აკადემიურ წყაროებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ქვეყნის პოლიტიკის კვლევაზე, ასეთი ავტორები არიან სტივენ ჯონსი, აბელ პოლესე, დონაჩა ბეაჩინი, ვლადიმერ პაპავა, გია ნოდია, ოლექსეი ჰარანი, სკოტ რადნიცი, დევიდ მიკოზსი.

კიევი - მოჰილას აკადემიის პროფესორი ოლექსეი ჰარანი წინარევოლუციური პერიოდის შეფასებისას, აღნიშნავს, რომ ოპოზიციის არარსებობამ გააძლიერა სამოქალაქო საზოგადოება.⁶²

⁶¹. Bunce, Wolchik, *Debating the Color Revolutions*, გვ. 70

⁶². Olexiy Haran. *From Viktor to Viktor: Democracy and Authoritarianism in Ukraine*. The Journal of Post-Soviet Democratization, vol. 19, no. 2, 2011, გვ. 99

ასევე, წარმატების ხელშემწყობ მთავარ ფაქტორებად მიიჩნევა: „ღია საზოგადოების“ ფონდების საქმიანობა, რომელმაც, საერთაშორისო მხარდაჭერასთან ერთად, ორგანიზება მოახდინა საარჩევნო პროცესზე დაკვირვების, ფართო ოპოზიციური ფრონტის შექმნა, რომელიც იყენებდა არამალადობრივ ტაქტიკას, აქცენტს აკეთებდა სოციალური სამართლიანობის საკითხზე, ხელს უწყობდა ანტივესტერნული სტერეოტიპების დაძლევას და რეჟიმის პოლარიზაციის სტრატეგიას, არჩევნების გაყალბების საერთაშორისო აღიარებას და დასავლეთის მოთხოვნას უარი ეთქვა მოქმედ ხელისუფლებას ძალის გამოყენებაზე, მოლაპარაკებებს ევროკავშირისა და ეუთო-ს წარმომადგენლებთან.⁶³

„საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“ სტივენ ჯონსის ავტორობით, პირველი წიგნია რომელიც აღწერს პოსტ - საბჭოთა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის განვითარებას.⁶⁴

ერთ-ერთი წყარო საკვლევ ქვეყნებში საზოგადოების დამოკიდებულების აღსაწერად და უთანასწორობის არსებობის დასამტკიცებლად, არის პრესის პირველადი წყაროები.⁶⁵

საზოგადოების უკმაყოფილების აღსაწერად, მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების დინამიკა და საზოგადოების დაკმაყოფილების დონე ჯინის ინდექსის შეფასების საფუძველზე იქნება განხილული.

წინარეგოლიციურ პერიოდში უკრაინაში მიმდინარე პროცესების შეფასებისას, ტარას კუზიო მნიშვნელოვნად მიიჩნევს სამოქალაქო ნაციონალიზმის როლს ნარინჯისფერ

⁶³. Olexiy Haran. *Between Russian and the EU: Lessons from the Orange Revolution in Ukraine*. Chapter 17. Part IV - Lessons Learned from Other Regions of the EU Neighbourhood. Edited by Stephen Calleya, Monika Wohlfeld. Change and Opportunities in the Emerging Mediterranean. 2012, გვ. 336

⁶⁴. ჯონსი. *საქართველო: პოლიტიკური ისტორია*

⁶⁵. ქართული პრესის პირველადი წყაროები აღებულია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სამოქალაქო განათლების პრესის არქივის თემატური კატალოგიდან.

სამოქალაქო განათლების პრესის არქივი. უკანასკნელი წვდომა: 30.04.2018

<http://www.nplg.gov.ge/civil/arCevnebi/arCevnebi.htm>

რევოლუციაში. ამასთანავე, განსაზღვრავს სამოქალაქო და ეთნიკურ ნაციონალიზმს და მათ განმასხვავებელ ნიშნებს.⁶⁶

მაიკლ მაკვოლი განიხილავს ფერადი რევოლუციების ოთხ შემთხვევას (სერბეთი, საქართველო, უკრაინა, ყირგიზეთი).⁶⁷

ავტორი ოთხივე შემთხვევაში რევოლუციის მიზეზად მიიჩნევს გაყალბებულ არჩევნებს და არა ომს, ეკონომიკურ კრიზისს, საგარეო, შიდა ფაქტორებს ან დიქტატორის გარდაცვალებას. ოთხივე შემთხვევის შედარებისას, გამოყოფს საერთო პირობებს: ნახევრად ავტორიტარული მოქმედი რეჟიმი; ორგანიზებული და გაერთიანებული ოპოზიცია; არჩევნების დასრულებიდან მცირე დროში მოსახლეობის მობილიზება; მედიის ნაწილობრივ დამოუკიდებლობა, რამაც შესაძლებელი გახადა საზოგადოების ინფორმირება; გასათვალისწინებელია, რომ წინა შემთხვევებში მიღწეულმა წარმატებამ გავლენა იქონია შემდეგ შემთხვევებზე. ოთხივე შემთხვევაში (სერბეთი, საქართველო, უკრაინა, ყირგიზეთი), მოქმედი რეჟიმი იყო კონკურენტული ავტორიტარიზმი, იმართებოდა არჩევნები, არსებობდა პლურალისტული ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორი.

ოთხივე შემთხვევაში, მოქმედი ხელისუფლების არაპოპულარობა განპირობებული იყო სხვადასხვა მიზეზებით: სერბეთში მილოშევიჩმა 1990 წელს მოიგო არჩევნები, თუმცა, ეკონომიკური კრიზისისა და კონსტიტუციური რეფორმის გამო, მისი პოპულარობა შემცირდა. საქართველოში შვერდნაძის შემთხვევაში, მისი პოპულარობა შეამცირა ეკონომიკურმა კრიზისმა, კორუფციამ და აფხაზეთის ომმა. უკრაინაში კუჩმამ მოიგო არჩევნები, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს როგორც თავისუფალი, თუმცა, კორუფციამ და ჟურნალისტ გიორგი ღონდაძის მკვლელობამ შეამცირა მისი პოპულარობა. ყირგიზეთის შემთხვევაში არ იყო მკვლელობა და ომი, თუმცა, იყო კორუფცია და ნეპოტიზმი.

⁶⁶. აღწერილია ნაშრომში: Taras Kuzio. *Kravchuk to the Orange Revolution: The Victory of Civic Nationalism in Post-Soviet Ukraine*. Lowell W. Barrington, Ed. *After Independence - Making and Protecting the Nation in Postcolonial and Postcommunist States*. 2006. გვ. 187-224

⁶⁷. აღწერილია ნაშრომში: Michael McFaul. *Second Wave of Democratic Breakthroughs in the Post-Communist World: Comparing Serbia 2000, Georgia 2003, Ukraine 2004 and Kyrgyzstan*. Working paper N 4. 2005

ოთხივე შემთხვევაში, საარჩევნო პროცესს მონიტორინგს უწევდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები.

ყირგიზეთის შემთხვევა, გარდა ძირითადი ავტორებისა, რომელთა კვლევები განხილულია ნაშრომში საქართველოსა და უკრაინის შემთხვევების ანალიზისას,⁶⁸ აღწერილია სკოტ რადნიცის, დევიდ მიკოზის კვლევებში. ყირგიზეთის შემთხვევის ანალიზისას, ძირითად განმასხვავებელ ფაქტორებად საქართველოსა და უკრაინისგან მიიჩნევენ სუსტ სამოქალაქო საზოგადოებას, არასათანადოდ განვითარებულ არასამთავრობო სექტორს და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, ასევე მიიჩნევენ, რომ 2005 წლის არჩევნები, რომელიც წინაპირობა გახდა აკაევის ხელისუფლებიდან წასვლის, იყო ყველაზე თავისუფალი არა მხოლოდ ყირგიზეთისთვის, არამედ ცენტრალურ აზიაში.⁶⁹

ყირგიზეთის შემთხვევა მიიჩნევა როგორც ხელისუფლების გადაცემა და არა რევოლუცია.⁷⁰

1.6. ფერადი რევოლუციები პოსტ - კომუნისტურ სივრცეში. რესურსები არაძალადობრივი სამოქალაქო პროტესტის შესახებ

მეოცე საუკუნეში ხელისუფლების წინააღმდეგ საზოგადოების არაძალადობრივ პროტესტს აღწერს არაძალადობრივი კონფლიქტების საერთაშორისო ცენტრისა (International Center on Nonviolent Conflict - ICNC)⁷¹ და იორკ ზიმერმანის (York Zimmerman)⁷² პროექტი „უფრო ძლიერი ძალა“ (A Force More Powerful).

არაძალადობრივი კონფლიქტების საერთაშორისო ცენტრი არამომგებიანი საგანმანათლებლო ორგანიზაციაა, რომელიც იკვლევს სამოქალაქო, არასამხედრო სტრატეგიაზე დამყარებულ პროტესტს, რომლის მიზანია ადამიანის უფლებების,

⁶⁸. მოიაზრება მაიკლ მაკფოლი, აბელ პოლესი, დონაჩა ო ბეაჩინი

⁶⁹. Scott Radnitz. *What Really Happened in Kyrgyzstan?* Journal of Democracy, vol. 17, no. 2, 2006, გვ. 134

⁷⁰. Transfer of Power

⁷¹. არაძალადობრივი კონფლიქტების საერთაშორისო ცენტრის ვებ გვერდი. უკანასკნელი წვდომა: 30.04.2018

www.nonviolent-conflict.org

⁷². იორკ ზიმერმანის ვებ გვერდი. უკანასკნელი წვდომა: 30.04.2018

www.yorkzim.com

დემოკრატიული მმართველობისა და თანასწორობის დაცვა. იორკ ზიმერმანი საპროდიუსერო კომპანიაა, რომელიც იღებს დოკუმენტურ ფილმებს თვითგამოხატვისა და სამოქალაქო პროტესტის შესახებ. „უფრო ძლიერი ძალა“ ამ ორი ორგანიზაციის ერთობლივი პროექტია, რომელიც აღწერს მეოცე საუკუნეში მილიონობით ადამიანის არაძალადობრივ ბრძოლას არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმების წინააღმდეგ. პროექტი მოიცავს წიგნს,⁷³ ფილმსა და კომპიუტერულ თამაშებს. 2007 წელს ფილმის რეჟისორმა სტივ იორკმა გადაიღო ფილმი უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუციის შესახებ.

არაძალადობრივი კონფლიქტი არის სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, რომელიც მიმართულია მოქმედი პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ, მოიცავს მისი საპოლიციო და სამხედრო ძალების გამოყენების შეზღუდვას და რეპრესიის ფასის გაზრდას. საზოგადოებრივი დაუმორჩილებლობა გამოიხატება გაფიცვით, ბოიკოტით, მასობრივი პროტესტით, რომლის განეიტრალებასაც ვერ ახერხებს სამთავრობო ძალები და მისი შედეგია ხელისუფლების ცვლილება. სამოქალაქო პროტესტის ტაქტიკა იცვლება დროისა და რესურსის გათვალისწინებით, მაგალითად, სამოქალაქო მოძრაობის წევრების ტრენინგის მიზანი შეიძლება იყოს სამოქალაქო მოძრაობის გაძლიერება, მაშინ როდესაც მასობრივმა დემონსტრაციამ ან გაფიცვამ პირდაპირ გამოიწვიოს ოპონენტი. არაძალადობრივი კონფლიქტი გულისხმობს ოპონენტის შესაძლებლობების შეზღუდვას, რაც შეიძლება გამოიხატოს საპოლიციო და სამხედრო ძალების ლოიალობის მოპოვებაში სამოქალაქო ძალების მიერ. უარი ძალადობაზე, როგორც წესი, მორალური არჩევანია.

2000 წელს, სერბეთში, როდესაც მშვიდობიანმა პროტესტმა მიაღწია სლობოდან მილოშევიჩის ხელისუფლებიდან წასვლას, ბევრს არ ეგონა, რომ ეს იქნებოდა პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში დემოკრატიზაციის თუ არა, ავტორიტარული რეჟიმის შესუსტების დასაწყისი.

1996 წელს რუმინეთში, ხოლო 1997 წელს ბულგარეთში, დემოკრატიულ ოპოზიციას არჩევნების გზით მიეცა გამარჯვების შესაძლებლობა, არასამთავრობო

⁷³. Peter Ackeman, Jack DuVall. *A Force More Powerful: A Century of Non-Violent Conflicts*. St. Martin's Press. 2000

ორგანიზაციების მობილიზაციის ფაქტი პირველად დაფიქსირდა სლოვაკეთში, 1998 წელს.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს და არჩევნების შემდგომ ხალხის მობილიზება პირველად მოხდა 1980-1981 წლებში პოლონეთში, სოლიდარობის მოძრაობის დაწყებისას, შემდეგ, 1989 წელს ჩეხოსლოვაკიაში ხავერდოვანი რევოლუციის დროს, ბალტიის ქვეყნებში 1989-1991 წლებში, უკრაინაში 1990 წელს.

კომუნიზმის კოლაფსის შემდეგ არ მოხდა აღმოსავლეთ ევროპის და პოსტ-საბჭოთა ყველა ქვეყნის დემოკრატიული ტრანსფორმაცია. ბალტიის ქვეყნებისგან განსხვავებით, სლოვაკეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ხორვატიის დემოკრატიზაციაში მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის როლი.

ფერადი რევოლუციების შემდეგ სამოქალაქო საზოგადოების როლს მეტი ყურადღება დაეთმო.

კვლევის ერთ-ერთ კითხვას წარმოადგენს შემდეგი: შემოფარგლულია ფერადი რევოლუციები მხოლოდ პოსტ-სოციალისტური სივრცით, თუ შეიძლება სხვა ქვეყნების მიმართაც ამ ტერმინის გამოყენება? შესაძლებელია თუ არა განსხვავებულ პოლიტიკურ გარემოში მსგავსი შედეგების მიღწევა.

საქართველოში ვარდების რევოლუციის ფენომენის გასაგებად, მნიშვნელოვანია საქართველოს პოლიტიკის ანალიზი და ფაქტი, თუ რატომ მოინდომა საქართველოს მოსახლეობამ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლა.

შევარდნაძე და უკრაინის შეთხვევაში კუჩმა ხელისუფლებაში მოვიდნენ 1990-ან წლებში, შეცვალეს უფრო ნაციონალისტური ხელისუფლება და მიიჩნეოდნენ სტაბილურობის გარანტად, რეპუტაციის შენარჩუნებას ცდილობდნენ ოპოზიციის კრიტიკით, თუმცა, სხვა პოსტ – საბჭოთა ლიდერებთან შედარებით, როგორცაა ბელარუსი და უზბეკეთი, იყვნენ ლიბერალები, დამოუკიდებელ მედიას მიეცა განვითარების შესაძლებლობა. რუსთავი 2 საქართველოში და მეხუთე არხი უკრაინაში წარმოადგენდნენ პლატფორმას ოპოზიციისთვის, ასევე სახელმწიფო არხებიც არ იყო სიმპათიით განწყობილი ხელისუფლების მიმართ სხვა პოსტ – საბჭოთა ქვეყნებისგან განსხვავებით. არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ორივე ქვეყანაში იყო

გადამწყვეტი, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ფინანსდებოდნენ უცხოეთიდან, მათ ხელი შეუწყეს საზოგადოებაში დემოკრატიული ხედვების განვითარებას, ამიტომ ამ ორ ქვეყანაში რევოლუცია შეიძლება იყოს განხილული როგორც დემოკრატიული პროცესების ნაწილი.

დემოკრატიულმა ძალებმა 2000 წლის ოქტომბერში სერბეთის ხელისუფლებას ჩამოაშორეს სლობოდან მილოშევიჩი, 2003 წელს საქართველოს ნახევრად ავტორიტარული ლიდერი ედუარდ შევარდნაძე, 2004 წელს იგივე განმეორდა უკრაინაში, რამდენიმე თვეში კი ყირგიზეთში, აღნიშნული შემთხვევები პოსტ - კომუნისტურ სივრცეში დემოკრატიზაციის მეორე ტალღას განეკუთვნებიან.⁷⁴

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული შემთხვევები განსხვავდებიან შემდეგ მიზეზთა გამო: პირველ რიგში, საზოგადოების პროტესტის სტიმულს წარმოადგენდა გაყალბებული არჩევნები და არა ომი, ეკონომიკური კრიზისი, საგარეო ან შიდა ფაქტორი ან დიქტატორის გარდაცვალება; მეორე, მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტის ფორმა სცილდებოდა კონსტიტუციას, თუმცა არ არღვევდა ფორმალურ წესებს. როგორც წესი, რევოლუციის მიზანია პოლიტიკური რეჟიმის ტრანსფორმაცია, თუმცა ამ ოთხ შემთხვევაში, საზოგადოების პროტესტის მიზანი არ იყო რეჟიმის შეცვლა ან ახალი წესების მიღება. მესამე, ოთხივე შემთხვევაში არსებობდა ორმაგი სუვერენიტეტი მოქმედი ხელისუფლებისა და ჯგუფის, რომელიც პოლიტიკურ პროტესტს გამოხატავდა; მეოთხე, ოთხივე შემთხვევაში რევოლუციური სიტუაცია დასრულდა ძალადობის გარეშე სახელმწიფოს და ოპოზიციის მხრიდან.

განცალკევებით განხილვისას, ოთხივე ეს შემთხვევა განსხვავებულია, ხოლო შედარებისას, გამოიყოფა შემდეგი საერთო მახასიათებლები: ნახევრად ავტორიტარული მოქმედი რეჟიმი; არსებული ხელისუფლების არაპოპულარულობა; ორგანიზებული და გაერთიანებული ოპოზიციის არსებობა; არჩევნების შემდეგ საზოგადოების სწრაფი მობილიზების შესაძლებლობა; ნაწილობრივ დამოუკიდებელი მედიის არსებობა, რომელმაც მოახერხა საზოგადოების ინფორმირება მობილიზების მიზნით; ოპოზიციის მიერ ინტელექტუალურ, სამხედრო და საპოლიციო ძალებთან

74. ვრცლად: McFaul. *The Second Wave of Democratic Breakthroughs*.

კომუნიკაცია. გასათვალისწინებელია წინა შემთხვევების გავლენა მომდევნო ფერად რევოლუციებზე.

ოთხივე ქვეყანაში არსებული რეჟიმი იყო კონკურენტუნარიანი ავტორიტარიზმი, რეგულარულად ტარდებოდა არჩევები, საზოგადოება იყო პლურალისტული და ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებს გაჩნდათ საქმიანობის შესაძლებლობა. მეორე წინაპირობას წარმოადგენს მოქმედი პოლიტიკური ლიდერების არაპოპულარულობა, თუმცა არაპოპულარობის მიზეზები ოთხივე ქვეყანაში იყო განსხვავებული. მილოშევიჩმა 1990 წელს მოიგო სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები, თუმცა ეკონომიკური კრიზისა და არჩევნებთან დაკავშირებული კონსტიტუციური ცვლილებების გამო, ასევე, ჩრდილო - ატლანტიკური ალიანსის ძალებთან მარცხის გამო დაკარგა საზოგადოების მხარდაჭერა.

შევარდნაძის შემთხვევაშიც, თავდაპირველად მას გააჩნდა საზოგადოების მხარდაჭერა, მაგრამ ეკონომიკური კრიზისის, კორუფციისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის გამო, ნაკლებ პოპულარული გახდა, ასევე, გასათვალისწინებელია, ოპოზიციური ტელეარხის ჟურნალისტის - გიორგი სანაიას მკვლელობა.

უკრაინის ლიდერმა ლეონიდ კუჩმაჩ მოიგო არჩევნები ზედიზედ ორჯერ, მაგრამ საქართველოს მსგავსად, კორუმპირებული სახელმწიფო აპარატი და „უკრაინსკაია პრავდა“-ს ინტერნეტ გამომცემლობის ჟურნალისტის, გიორგი ღონღაძის მკვლელობა გახდა მიზეზი მისი პოპულარობის შემცირების. უკრაინის შემთხვევაში მიიჩნევენ, რომ დასავლეთი ყველა შესაძლებლობას მიმართავდა გაენეიტრალებინა რუსეთის გავლენა, მაგალითად, წინასაარჩევნო პერიოდში დიპლომატების გაწვევა.⁷⁵

ყირგიზეთში არ ჰქონია ადგილი ომს და ოპოზიციური მედია საშუალების ჟურნალისტის მკვლელობას, მაგრამ მაღალი იყო კორუფციისა და ნეპოტიზმის დონე. გასათვალისწინებელია ოპოზიციის ერთიანობა ოთხივე შემთხვევაში, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დამოუკიდებელი საარჩევნო მონიტორინგის

⁷⁵. Donnacha O Beachain, Abel Polese. *American boots and Russian vodka: the importance of external factors in Colour Revolutions in Georgia, Ukraine and Kyrgyzstan*. Totalitarismus und Demokratie, vol. 5, no. 1, 2008. გვ. 100

განხორციელების შესაძლებლობა, ნაწილობრივ თავისუფალი მედიის საქმიანობისთვის ნების დართვა, რამაც ახალგაზრდულ ოპოზიციურ ორგანიზაციებთან ერთად ხელი შეუწყო მასების მობილიზებას, ასევე, სამხედრო და საპოლიციო ძალების მიერ ოპოზიციის მხარდაჭერამ. ოთხივე შემთხვევაში, ოპოზიციის ლიდერები იყვნენ იმ მმართველი პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლები, რომელიც შეიცვალა ფერადი რევოლუციით.

გასათვალისწინებელია, რომ აშშ – მა 2003 – 2004 წლებში 65 მილიონი დოლარი გამოყო დემოკრატიული ინიციატივების მხარდასაჭერად. თუმცა, მიიჩნევა, რომ დემოკრატიის ყიდვა შეუძლებელია, ეს არის ცხოვრების წესი, რომელიც ყალიბდება.⁷⁶

მნიშვნელოვანია რუსეთის ფაქტორი, პუტინმა განაცხადა, რომ რევოლუციები იყო შედეგი პოლიტიკური ტექნოლოგიის, რომლის მართვაც ხდებოდა დასავლეთის მიერ.⁷⁷

1.7. წინასწარი თეორიული ვარაუდები / ჰიპოთეზები

ნაშრომის ამ ნაწილში წარმოდგენილია ფარდობითი დეპრივაციის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში დაშვებების ვარაუდებად ფორმულირება, რაც შესაძლებელს გახდის ემპირიულ გადამოწმებას რომელი თეორია ხსნის უკეთესად ფერადი რევოლუციების წინა პერიოდში საზოგადოების მოტივაციას. აღნიშნული ჰიპოთეზების გადამოწმება მოხდება ნაშრომის ემპირიულ ნაწილში.

ფარდობითი დეპრივაციის თეორიის ფარგლებში ჩამოყალიბებულია შემდეგი ვარაუდები:

H1. პოლიტიკური და მატერიალური უთანასწორობის მაღალი მაჩვენებელი გახდა მიზეზი საზოგადოების უკმაყოფილების, რამაც განაპირობა ხელისუფლების ცვლა;

კვლევის ფარგლებში განხილული იქნება ასევე ჰიპოთეზები ინსტიტუციური თეორიული ჩარჩოს ფარგლებში, რომელიც მოქმედი ხელისუფლების, ოპოზიციის,

⁷⁶. O Beachain, Polese. *American boots and Russian vodka*. გვ. 92

⁷⁷. O Beachain, Polese. *American boots and Russian vodka*. გვ. 89

არასამთავრობო ორგანიზაციების და საგარეო ფაქტორების როლს შეაფასებს ფერად რევოლუციებთან მიმართებაში.

H2. საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში ფერადი რევოლუციების შემთხვევაში, საზოგადოების პროტესტი განაპირობა მოქმედი ხელისუფლების კორუმპირებულობამ და გაყალბებულმა არჩევნებმა;

H3. რევოლუციების წარმატებით დასრულებაში მნიშვნელოვანი იყო საგარეო გავლენა / ჩარევა, რაც გამოიხატა ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების მხარდაჭერაში, საარჩევნო პროცესში უცხოელი დამკვირვებლების მონაწილეობაში.

H4. ყირგიზეთის შემთხვევაში, არ არსებობდა ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება და ახალგაზრდული ორგანიზაციები, თუმცა საზოგადოებრივი პროტესტის მობილიზებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ადგილობრივმა ელიტებმა;

H5. საზოგადოების პროტესტი სასურველი შედეგით (ხელისუფლების შეცვლით) დასრულდა იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედი რეჟიმის ტიპი იყო ჰიბრიდული (არ იყო კონსოლიდირებული ავტორიტარიზმი), ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედი რეჟიმი იყო ნახევრად კონსოლიდირებული ავტორიტარიზმი ან ავტორიტარიზმი, დეპრივაციის დონის მიუხედავად, საზოგადოების პროტესტმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. დეპრივაციის პირობებში მყოფი საზოგადოების ნაწილი რევოლუციის მოწყობას შეეცადა მაშინ, როდესაც რევოლუციის საზღაური დაბალი იყო.

მოქმედი ხელისუფლების რეჟიმის ტიპის შეფასება მოხდება Freedom House - ის Nations in Transit ანგარიშების მიხედვით.⁷⁸

ინტერპრეტაციისთვის მნიშვნელოვანია პოსტ - კომუნისტური საზოგადოების თავისებურების გათვალისწინება, რომელიც საბჭოთა კავშირის პირობებში ფორმალურად თანასწორი იყო.

⁷⁸. დამხმარე მონაცემთა ბაზად - პროექტი "Polity IV" (პოლიტიკური რეჟიმების მახასიათებლები და ტრანზიციის 1800-2013)

ძირითადი თეორიული დაშვების განსაზღვრის და წინასწარი ვარაუდების ფორმულირების შემდეგ, ნაშრომის ემპირიულ ნაწილში განხილული იქნება არგუმენტები შემოთავაზებული ჰიპოთეზების დადასტურების ან უარყოფისთვის.

ემპირიული ნაწილი

თავი 2. აკადემიური და პირველწყაროების ანალიზი

ნაშრომის ემპირიული ნაწილი დაეთმობა ჩატარებული კვლევის აღწერას, კონკრეტულად, შეგროვებული ჩაღრმავებული ინტერვიუების, ანონიმური ინტერვიუების, აკადემიური მასალებისა და რაოდენობრივი მონაცემების ანალიზს საქართველოს, უკრაინისა და ყირგიზეთის შემთხვევების გათვალისწინებით, კვლევის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში.

პოლიტიკური სოციოლოგია ძალაუფლებას ხსნის, როგორც ინდივიდის ან სოციალური ჯგუფის შესაძლებლობას, განსაზღვროს მოქმედების კურსი. ნაშრომის ფარგლებში პოლიტიკური ქმედებების ანალიზისას, ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ყურადღება ექცევა სოციალური ჯგუფების აქტიურობას. გათვალისწინებულია ასევე პოლიტიკური ღირებულებები და ნორმები, რომელიც ცვლილებების დინამიურ პერიოდში გავლენას ახდენს ლეგიტიმაციაზე, პარტიულ სისტემაზე, ჩართულობის ხარისხზე და პოლიტიკურ კონფლიქტზე.

საზოგადოების ფოკუსი, ერთის მხრივ, არის ეკონომიკურ საკითხებზე, როგორც არის ფასების ზრდის წინააღმდეგ ბრძოლა, მეორეს მხრივ, პოსტ - მატერიალისტურ ღირებულებებზე, ფოკუსირებით თვითგამოხატვის თავისუფლებებზე, სამოქალაქო უფლებების დაცვაზე და ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობაზე.⁷⁹

⁷⁹. Tom Bottomore. *Political Sociology*. Pluto Press. Second Edition. გვ. 30

2.1. პოლიტიკური ტრანზიციის შესახებ აკადემიური წყაროების ანალიზი

აკადემიური წყაროების ნაწილი, რომელიც ახდენს პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესის ანალიზს, მნიშვნელოვანია კვლევისთვის ფერადი რევოლუციების ფენომენის ასახსნელად.

პოლიტიკური მოდერნიზაცია ბიუროკრატიული - მოდერნული, ტრადიციულისგან განსხვავებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას გულისხმობს, ერთმანეთისგან მიჯნავს სახელმწიფო - პოლიტიკურ ინსტიტუტებს და საზოგადოებრივ - სოციალურ ინსტიტუტებს, ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს.

ქვემოთ განხილულია სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების ტრანსფორმაციის გზები, გამოიყენება ინსტიტუტები და ორგანიზაციები, საერთაშორისო საზოგადოება და საერთაშორისო სისტემა, რაც შესაძლებელს ხდის რევოლუციის არსისა და თანმდევი შედეგების უკეთესად გააზრებას.

ინსტიტუტების დეფინიცია შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: საზოგადოებაში თამაშის წესები, შეზღუდვა, რომელსაც ადამიანები უწესებენ საკუთარ თავს, ადამიანების მიერ დადგენილი ზემოქმედების საშუალება, რომელიც ფორმაში აქცევს ადამიანების პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ინსტიტუტები მნიშვნელოვანია, ვინაიდან განსაზღვრავს ინდივიდების არჩევანს, ამცირებს გაუგებრობას ყოველდღიური ცხოვრების სტრუქტურის შექმნით, რომელიც უფრო სტაბილურია და არა ეფექტური, ხდება არაფორმალური შეზღუდვების ტრანსფორმაცია ფორმალურ შეზღუდვებად.

გამოიყოფა ორი ტიპის ინსტიტუტები: ექსტრაქციული და ინკლუზიური. პირველი ტიპის ინსტიტუტებს აქვთ აბსოლუტიზმის ნიშნები და ხელს უშლიან კეთილდღეობას, მეორე ტიპის ინსტიტუტები არის პლურალისტული ხასიათის და ხელს უწყობენ განვითარებას.⁸⁰

ორგანიზაცია არის ინდივიდების ჯგუფი, გაერთიანებული საერთო მიზნის მისაღწევად. მის ჩამოყალიბებაზე და განვითარებაზე გავლენა აქვს ინსტიტუტებს.

⁸⁰. Daron Acemoglu, James A. Robinson. *Why Nations Fail: The Origins of Power, Prosperity and Poverty*. Profilebooks. 2013. გვ. 79

ორგანიზაცია იქმნება შეზღუდვების (ინსტიტუტების) გათვალისწინებით შედეგის მისაღწევად და განაპირობებს ასევე ინსტიტუციურ ცვლილებებს.

ინსტიტუციური თეორიის მიხედვით, ინსტიტუტები წარმოადგენენ წესებს, ხოლო ორგანიზაციები სტრატეგიას.⁸¹

ინსტიტუტები იქმნება ინდივიდების მიერ, რადგან ინსტიტუციური შეზღუდვა არის ინდივიდის არჩევანი. ინსტიტუტების სტაბილურობას განაპირობებს წესების არსებობა, რომელიც იცვლება ინდივიდების გადაწყვეტილების საფუძველზე. ინსტიტუტი წარმოადგენს შესაძლებლობას და ორგანიზაცია იქმნება ინდივიდების მიერ ამ შესაძლებლობების გამოსაყენებლად. მომხმარებლების წარმოდგენებთან ერთად, ინსტიტუციურ ცვლილებებს განაპირობებს ორგანიზაციის განვითარება, თუმცა, ორგანიზაციები შეიძლება გადაწყვეტილებებს იღებდნენ არასრული ინფორმაციის საფუძველზე. ცვლილებას განაპირობებს ორგანიზაციების მოლაპარაკებები წესების შეცვლის სურვილის შესახებ უკეთესი შედეგის მისაღწევად. არაგანგრძობადი ცვლილება ხდება რევოლუციის დროს, რასაც განაპირობებს შეთანხმების მიუღწევლობა ინსტიტუტების გამო, რა დროსაც ხდება დაინტერესებული ჯგუფების გაერთიანება. ხოლო რევოლუციის შემდეგ ხდება მათი დაშლა, რაც ახალი რევოლუციის საფუძველია. წარმატებული რევოლუციისთვის მნიშვნელოვანია იდეოლოგიური გაერთიანება. რევოლუციის შემდეგ აღარ არსებობს საერთო იდეოლოგია, ამიტომ განგრძობადი ცვლილებები უფრო სტაბილურია.

პოლიტიკური საზოგადოების საფეხურს საზოგადოება აღწევს პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და სოციალურ ძალებს შორის ბალანსით. სოციალური ძალა არის ეთნიკური, რელიგიური, ტერიტორიული, ეკონომიკური ან სტატუს ჯგუფი.⁸²

პოლიტიკური უთანასწორობა თითქმის ყოველთვის მოიცავს პოლიტიკური არასტაბილურობის ასპექტს.⁸³

ზოგიერთი მეცნიერი მატერიალურ დეპრივაციას, რომელიც აისახება ჯინის ინდექსით და ნაკლებ დემოკრატიულობას შორის დადებით კავშირს ხედავს.

⁸¹. დეტალურად: Норт. *Институциональные изменения*.

⁸². Huntington. *Political Order*. გვ. 8

⁸³. Huntington. *Political Order*. გვ. 56

დემოკრატიას მიიჩნევენ მოქალაქეების არჩევნად და დიქტატურას ელიტების, რომელსაც საფრთხეს უქმნის რევოლუცია. დემოკრატიზაციის წინაპირობაა ელიტების შესუსტება. რევოლუციის წინაპირობად მიიჩნევენ ასევე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას; პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების სტრუქტურის თავისებურებებს; გლობალიზაციის დონეს; ინდივიდუალურ ეკონომიკურ სტიმულებს, როგორც პოლიტიკური შეხედულებების განსაზღვრის გზას; ამასთანავე, საგულისხმოა, რომ დემოკრატის საფასური არის მაღალი, როდესაც მატერიალური დეპრივაცია მაღალია.

სიღარიბის (აბსოლუტური დეპრივაციის) და უთანასწორობის (ფარდობითი დეპრივაციის) გამიჯვნა სიღარიბის ინდექსების მიხედვით ხდება. შესაძლებელია, დეპრივაციის შემცირების დინამიკით აიხსნას პროტესტის შემცირება. პოპულაციის ჯგუფები არიან ღარიბი, თუ საერთოდ არ აქვთ რესურსი ან მათი რესურსები იმდენად დაბალია საშუალოზე, რომ მოკლებულნი არიან ჩვეულებრივ საცხოვრებელ პირობებს. ფარდობითი დეპრივაცია არის არა მხოლოდ ეკონომიკური დეპრივაცია, სოციალური ფსიქოლოგია მას აფასებს გაზომვადი რეაქციებით, როგორცაა სოციალური პროტესტი, დისკრიმინაციის და უსამართლობის შეგრძნება, ასევე, განისაზღვრება შემოსავლის უთანასწორობით. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, უგულვებელყოფილია საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც საშუალოზე მაღალი შემოსავალი აქვს (დეპრივაციის ზღვარს ზემოთ), ვინაიდან ისინი დეპრივაციის მაღალი პროცენტის შემთხვევაში, არ არიან იმ რაოდენობით, რომ გავლენა მოახდინონ პროტესტის შედეგებზე.⁸⁴

რევოლუციებთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია საზოგადოების დონეზე ძალაუფლების კონცენტრაციის კვლევა. ძალაუფლებისთვის ბრძოლაში მნიშვნელოვანია სოციალური ჯგუფების როლის შეფასება და არა ინდივიდების. მნიშვნელოვანია სამოქალაქო მოძრაობისა და პოლიტიკური პარტიის გამიჯვნა, სამოქალაქო მოძრაობას შეიძლება არ გააჩნდეს რაიმე იდეოლოგია როგორც ეს იყო ფერადი რევოლუციების შემთხვევაში, ხოლო პოლიტიკურ პარტიას გააჩნია იდეოლოგია.

⁸⁴. დეტალურად: Duclos, Phillipe. *Absolute and Relative Deprivation*.

რევოლუციის წინაპირობების შეფასებისას, გასათვალისწინებელია საზოგადოების როლი. მნიშვნელოვანია საზოგადოების უკმაყოფილების მიზეზების ანალიზი, რომლის მიზეზად ხშირ შემთხვევაში მიიჩნევენ სიღარიბეს.⁸⁵

მდიდარ ქვეყნებში ადამიანები ცხოვრობენ კარგ პირობებში, მთავრობა ახორციელებს მათ სერვისს და არა დევნას, რაც არ ხდება ღარიბ ქვეყნებში.⁸⁶

ჩარლზ ფაირბენქსი რევოლუციის მთავარ მახასიათებლებს აყალიბებს, რომლის მიხედვითაც, რევოლუცია ხდება მაშინ, როდესაც არსებული წესრიგი მიუღებელია საზოგადოებისთვის და ახდენენ სწრაფ ცვლას მმართველი ელიტის - ადამიანთა ჯგუფის, რომელიც მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში და მაშასადამე, მართავს. რევოლუცია გულისხმობს მმართველი ჯგუფის სწრაფ ცვლას მთლიანი საზოგადოების სახელით, რომელიც წარმოდგენილია მისი უმრავლესობით, ახალი წესები შექმნილი და ლეგიტიმიზებულია ჯგუფის დოქტრინის ან იდეოლოგიის მიხედვით, რომელიც ამყარებს ახალ სისტემას სახელმწიფოს სახელით, რევოლუციის მახასიათებელია კონტროლის დამყარება სახელმწიფოზე და მისი გამოყენება უფრო დიდი ცვლილებებისთვის, რევოლუციის დროს ახალი წესები და ინსტიტუტები ძალაუფლებას იღებენ ძალადობით ან ძალადობის მუქარით.⁸⁷

საერთაშორისო საზოგადოების დეფინიცია შეიძლება მოხდეს ორგვარად: პირველი, ეს არის ქვეყნების ჯგუფი, რომელთაც აქვთ საერთო ინტერესები, აღნიშნული განსხვავდება მსოფლიო საზოგადოებისგან, რომელიც უფრო იდეალისტური დეფინიციაა.⁸⁸

საზოგადოების ინტეგრაციის ერთ-ერთ წინაპირობად დასახელებულია საერთო ინტერესის არსებობა, ინდივიდები, რომლებიც იზიარებენ პოზიციას რაიმე საკითხის შესახებ, უერთდებიან მათთვის საინტერესო ჯგუფს.⁸⁹

⁸⁵. Acemoglu, Robinson. *Why Nations Fail*. გვ. 1

⁸⁶. Acemoglu, Robinson. *Why Nations Fail*. გვ. 40-41

⁸⁷. Fairbanks. *Revolution Reconsidered*. გვ. 42-43

⁸⁸. Barry Buzan. *From International System to International Society: Structural Realism and Regime Theory Meet the English School*. *International Organization*, vol. 47, no. 3, 1993, გვ. 333; გვ. 336

⁸⁹. Karl Deutsch. *The Growth of Nations: Some Recurrent Patterns of Political and Social Integration*. *World Politics*, vol. 5, no. 2, 1953, გვ. 172

საერთაშორისო სისტემის ანარქიულობასთან მიმართებაში, რეალისტები მიიჩნევენ, რომ აქტორების ქმედებას განაპირობებს სტრუქტურა, ლიბერალები მიიჩნევენ, რომ აქტორების ქმედებებზე გავლენა აქვს პროცესს. ორივე მიმართულებისთვის ამოსავალია რაციონალური არჩევანის თეორია. სოციალური კონსტრუქტივიზმის მიხედვით, აქტორების ქცევას განაპირობებს ინტერაქცია.⁹⁰

არადემოკრატიულობა პერიოდულად განპირობებულია მოქალაქეების ქმედებით, რომლებიც შეიძლება ქმნიდნენ რევოლუციის საფრთხეს, რომლებსაც დროებით გააჩნიათ დეფაქტო ძალაუფლება.⁹¹

როცა მოქალაქეები არ არიან კარგად ორგანიზებულნი, ვერ მოხდება არსებული სისტემის გამოწვევა და დემოკრატიული ტრანზიციის გაურკვეველი დროით გადაიდება.⁹²

პოსტ - საბჭოთა სივრცეში დემოკრატიზაციის პროცესის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია ორი სტატია, ერთი მათგანი ეხება დემოკრატიზაციის სამ ტალღას მსოფლიო მასშტაბით და მეორე დემოკრატიზაციის მეოთხე ტალღას უშუალოდ პოსტ - კომუნისტურ ქვეყნებთან მიმართებაში.⁹³

დემოკრატიზაციის პროცესი დაყოფილია სამ ტალღად:

პირველი ტალღა მოიცავს 1820-1926 წლებს, რა პერიოდშიც მოხდა აშშ-სა და 26 სხვა ქვეყნის დემოკრატიული ტრანსფორმაცია, საარჩევნო უფლების გაფართოება. 1922 წელს იტალიაში მუსოლინის მოსვლით დაიწყო საწინააღმდეგო ტალღა და 1942 წლამდე დემოკრატიების რიცხვი 12-მდე შემცირდა.

მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეების გამარჯვების შემდეგ დაიწყო დემოკრატიზაციის მეორე ტალღა, 1962 წელს დემოკრატიული რეჟიმი დამყარდა 36

⁹⁰. Alexander Wendt. *Anarchy is what States Make of it: The Social Construction of Power Politics*. International Organization, vol. 46, no. 2, 1992, გვ. 391-392

⁹¹. Acemogly, Robinson. *Economic origins of Democracy and Dictatorship*. გვ. 27

⁹². Acemogly, Robinson. *Economic origins of Democracy and Dictatorship*. გვ. 31

⁹³. დეტალურად: Samuel P. Huntington. *Democracy's third wave*. Journal of Democracy, vol. 2, no. 2, 1991, pp. 12-34

Michael McFaul. *The Fourth Wave of Democracy and Dictatorship. Noncooperative Transitions in the Post - Communist World*. World Politics, vol. 54, no. 2, 2002, pp. 212-244

ქვეყანაში, საწინააღმდეგო ტალღამ 1960-1975 წლებში დემოკრატიების რიცხვი შეამცირა 30-მდე.

1974-1993 წლებში 30-მდე ქვეყნის დემოკრატიზაციამ გააორმაგა დემოკრატიების რიცხვი.

კითხვის ნიშნის ქვეშ იყო საკითხი, მიაღწევდა თუ არა გლობალური დემოკრატიული რევოლუცია ყველგან, თუ იყო შეზღუდული იმ ქვეყნებით, ვისაც ჰქონდა წარსულში დემოკრატიის გამოცდილება. განიხილებოდა ორი დაშვება, რა საფეხურზე იყო დემოკრატიზაციის მესამე ტალღა: გრძელი ტალღის დასაწყისში თუ მოკლე ტალღის ბოლოს, შეჩერების შემთხვევაში, მოყვებოდა თუ არა საპირისპირო ტალღა, რომელიც ჩაანაცვლებდა 1970-1980 წლების დემოკრატიებს.

დემოკრატიზაციის მესამე ტალღის ხელშემწყობ ფაქტორებად მიჩნეულია ავტორიტარული რეჟიმის ლეგიტიმურობის პრობლემა, დემოკრატიული ღირებულებების საყოველთაო მისაღებობა, მნიშვნელოვან ფაქტორად გამოყოფილია 1960 წლის ეკონომიკური ზრდის შემდეგ ცხოვრების სტანდარტების ზრდა, კათოლიკური ეკლესიის როლი;⁹⁴ საგარეო აქტორების პოლიტიკის ცვლილება (ევროპული გაერთიანება, აშშ, სსრკ), საფრანგეთის როლი ყოფილი აფრიკული

⁹⁴. 1963 - 1965 წლების ვატიკანის მეორე საბჭოს გადაწყვეტილებით, ეროვნული კათოლიკური ეკლესიის ტრანსფორმაცია მოხდა სტატუსქვოს მომხრედან ავტორიტარიზმის მოწინააღმდეგედ, დემოკრატიზაციის მესამე ტალღა აკავშირებს ქრისტიანობასა და დემოკრატიას. 1970 წლისთვის პროტესტანტური ქვეყნები უკვე იყვნენ დემოკრატიები, ამიტომ დემოკრატიზაციის მესამე ტალღა დაიწყო პორტუგალიიდან და ესპანეთიდან; მოიცვა 6 სამხრეთ და 3 ცენტრალური ამერიკის ქვეყანა, ფილიპინები, მექსიკა უკვე მეორედ, ჩილე, აღმოსავლეთ ევროპის 2 კათოლიკური ქვეყანა - პოლონეთი, უნგრეთი. 1974 წლიდან 1989 წლამდე, დემოკრატიზებული ქვეყნების დაახლოებით სამი მეოთხედი იყო კათოლიკური. 1990 წლისთვის კათოლიციზმის გავლენა დემოკრატიზაციაზე შემცირდა, ვინაიდან უმეტესობა კათოლიკური ქვეყნებისა უკვე იყო დემოკრატიული, მექსიკის შემთხვევაში - ლიბერალიზებული. შემდეგ უკვე მნიშვნელოვანია მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენა სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტ - საბჭოთა ქვეყნების დემოკრატიზაციაზე. კათოლიციზმის მიერ დემოკრატიის გაფართოება (და არა თავის გავლენის) შეიზღუდა პარაგვაიში, კუბაში და რამდენიმე ფრანკოფონულ აფრიკულ ქვეყანაში (სუბსაჰარა).

კოლონიების ლიბერალიზაციის ხელშეწყობაში),⁹⁵ წინა ტრანზიციის ეფექტი შემდგომ დემოკრატიზაციაზე.⁹⁶

90-იან წლებში დემოკრატიზაციის მესამე ტალღის ხელშემწყობი ფაქტორები შესუსტდა. აშშ, კრემლი, ევროპული გაერთიანება და ვატიკანი არ იყვნენ დაინტერესებული მოეხდინათ ლიბერალიზაცია აზიაში, აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში. მესამე საწინააღმდეგო ტალღის ხელშემწყობი ფაქტორები გახდა ელიტებში დემოკრატიული ღირებულებების სისუსტე, ეკონომიკური უკუსვლა, რამაც ინტენსიური გახადა სოციალური კონფლიქტი და ავტორიტარული ფასეულობების მისაღებლობა, ელიტების გადაწყვეტილება, ჩამოეშორებინათ დაბალი კლასი პოლიტიკისთვის, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ნგრევა, არადემოკრატიული საგარეო ძალის ჩარევა, სხვა ქვეყნების უარი დემოკრატიაზე. მიიჩნევა, რომ ტრანზიციის დემოკრატიულიდან ავტორიტარულისკენ ხდება ელიტების მიერ, გარდა საგარეო ჩარევისა.

⁹⁵. 1990 წლის აღმოსავლეთ ევროპის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ შესაძლებელი გახადა ევროგაერთიანების წევრობა უნგრეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, პოლონეთისთვის. საბჭოთა კავშირის არარსებობამ შესაძლებელი გახადა აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიზაცია, ასევე საბჭოთა გავლენის შემცირება კუბაზე. 1985 წლის შემდეგ, გასათვალისწინებელია გორბაჩოვის ხელშეწყობა აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიზაციისთვის. პოსტ - საბჭოთა ქვეყნების დემოკრატიული განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად ჰანტინგტონი ასახელებს ეთნიკურ სხვადასხვაობას და დომინანტი ერის წინააღმდეგობას თანაბარი უფლებები მიენიჭოს ეთნიკურ უმცირესობებს. აშშ-ს მთავარი პრიორიტეტი 70-80-იან წლებში იყო დემოკრატიზაცია, ამიტომ ამერიკის მოდელი მისაღები იყო სხვა ქვეყნებისთვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, უინტერესო გახდა ანტიკომუნისტურად განწყობილი დიქტატორების მხარდაჭერა, რამაც შეზღუდა მესამე სამყაროს ქვეყნებში აშშ-ს ჩარევა, რაც ასევე განაპირობა ვაჭრობის, ბიუჯეტის დეფიციტმა. ლათინური ამერიკა, კარიბის აუზის ქვეყნები, ევროპა, აღმოსავლეთ აზია, რომლებიც იყვნენ ამერიკის გავლენის ქვეშ, გახდნენ დემოკრატიულები, არადემოკრატიული რეჟიმი დარჩა მხოლოდ მექსიკაში. არადემოკრატიული ქვეყნები აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, აზიაში, არ ხვდებოდნენ აშშ-ს ინტერესის სფეროში გარდა სპარსეთის ყურისა (ქუვეითი და საუდის არაბეთი). სადამ ჰუსეინის რეჟიმის დელეგიტიმაციისთვის ამერიკელი ჯარისკაცების ერაყში ყოფნა განიხილება როგორც საგარეო გავლენა ლიბერალიზაციაზე (და არა დემოკრატიზაციაზე). 80-იან წლებში უფრო პირდაპირი გახდა აშშ-ს გავლენა ტრანსფორმაციის პროცესზე. დემოკრატიული მოძრაობები განაპირობა აშშ-ს მაგალითმა, მაგრამ 80-იან წლებში ბევრი საუბრობდა აშშ-ს როლის ვარდნაზე, რაც გაგებული იქნა დემოკრატიის მარცხად, ჩნდება კითხვა ამერიკული დემოკრატიის მოდელის მიუღებლობას რა გავლენა ექნება დემოკრატიზაციაზე.

⁹⁶. დემოკრატიულმა გარდაქმნამ აღმოსავლეთ ევროპაში გამოიწვია ცვლილებები ახლო აღმოსავლეთში. აღმოსავლეთ ევროპის მაგალითს გავლენა ჰქონდა ლიდერებზე და არა საზოგადოებაზე, ჩაუშესკუს რეჟიმის დასასრულს გავლენა ჰქონდა ზაირის პრეზიდენტის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, რომელმაც 1993 წელს სხვა პარტიებსაც დართო ნება არჩევნებში მონაწილეობის. 1989 წლის აღმოსავლეთ ევროპის მოვლენებმა შეაშინა ავტორიტარი ლიდერები, მაგრამ საეჭვოა ყველა ავტორიტარულ ქვეყანაზე მოეხდინა გავლენა აღმოსავლეთ ევროპის მაგალითს.

დემოკრატიზაციის დამაბრკოლებელ გარემოებებად მიჩნეულია პოლიტიკური ფაქტორი - დემოკრატიული გამოცდილების არარსებობა, 1974-1990 წლებში დემოკრატიზებული 33 ქვეყნიდან 30-ს ჰქონდა დემოკრატიის გამოცდილება და კულტურული - რომელსაც გავლენა აქვს საზოგადოების ფასეულობებზე, რწმენაზე.

შეზღუდული მიდგომა დემოკრატიისადმი გულისხმობს, რომ მხოლოდ დასავლური კულტურა იძლევა დემოკრატიული განვითარების შესაძლებლობას, რადგან დემოკრატიული მმართველობის ფორმა წარმოიშვა მეთვრამეტე - მეცხრამეტე საუკუნეში ჩრდილო - დასავლეთ ევროპაში, გავრცელდა ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც იგივე მოსახლეობა იყო,⁹⁷ ხოლო არადასავლური კულტურები მტრულად არიან განწყობილი დემოკრატიის მიმართ, მაგალითად, კონფუციანიზმი, ისლამი. კონფუციანიზმი (ჩინეთში, ვიეტნამში, სინგაპურში, ტაივანში დომინანტი რელიგიური მიმდინარეობა) არ აღიარებს სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოსვლის უფლებას, თანამშრომლობას და ჰარმონიას პრიორიტეტი გააჩნია უთანხმოებისა და კონკურენციის საპირისპიროდ, არსებობს იერარქია, იდეების, მხარეების კონფლიქტი მიჩნეულია სახიფათოდ და უკანონოდ. 1990 წლამდე მხოლოდ იაპონიას და ფილიპინებს (რომელიც კათოლიკურია) გააჩნდათ დემოკრატიის გამოცდილება. თუმცა ავტორიტარიზმის ახალი ფორმა ტაივანში, სინგაპურში, კორეაში ხელს უწყობდა ეკონომიკურ განვითარებას. ჩინეთში ეკონომიკის განვითარებამ გააძლიერა კულტურა დემოკრატიის საწინააღმდეგოდ.

აღმოსავლეთ აზიური მოდელი გულისხმობს ეკონომიკური პროგრესისა და კულტურის ინტეგრაციას, ხოლო ისლამი გულისხმობს რელიგიური და პოლიტიკური საზოგადოების განსხვავების უარყოფას. ფუნდამენტალისტური ისლამის მიხედვით, პოლიტიკა უნდა გაატაროს ისლამის მიმდევარმა. დემოკრატიული გამონაკლისი არის თურქეთი, ხოლო ლიბანი, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარზე მეტი მოსახლეობა ქრისტიანი იყო, ისლამისტების უმრავლესობაში მოსვლის შემდეგ აღარ არის დემოკრატიული. ისლამი და დემოკრატია იშვიათად თანაარსებობს ერთად. ავტორიტარულ ისლამურ საზოგადოებაში დემოკრატია არის სუსტი და უპირისპირდება ისლამური ფუნდამენტალიზმი. 80-იან წლებში ეკონომიკურმა

⁹⁷. იგულისხმება დემოკრატიის შეზღუდული საფუძველი დროში და სივრცეში

პრობლემებმა აიძულა მთავრობები შეესუსტებინა კონტროლი ოპოზიციაზე და ჩაეტარებინა თავისუფალი არჩევნები, რომ გამხდარიყო ლეგიტიმური, რასაც მოყვა ახლო აღმოსავლეთში ფუნდამენტალიზმის გაძლიერება.

სკეპტიკურად მიჩნეულია დამოკიდებულება, რომ კულტურული შეზღუდვა აფერხებს დემოკრატიულ ცვლილებებს, ვინაიდან კულტურა ვითარდება.

ეკონომიკური ფაქტორების ანალიზისას, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობა დამოკიდებულია ნავთობის ექსპორტზე სახელმწიფო ბიუროკრატის კონტროლით, არ ხდის დემოკრატიზაციას შეუძლებელს, დემოკრატიზაციას ექმნება დაბრკოლება, სადაც ეკონომიკურ კეთილდღეობას ხვდება კულტურული პრობლემები.

დასკვნის სახით, გლობალურმა დემოკრატიულმა რევოლუციამ ვერ მიაღწია ყველა ქვეყანაში, ვინაიდან არ იყო სათანადო განწყობა, ძირითადად დემოკრატიზაცია დაიწყო იმ ქვეყნებში, რომლებსაც წარსული გამოცდილება გააჩნდათ. დემოკრატიზაციის მეოთხე ტალღის დაწყებას ჰანტინგტონი შესაძლებლად მიიჩნევს 21-ე საუკუნეში, ასევე, აღნიშნავს, რომ ღარიბი საზოგადოებები ეკონომიკის განვითარებამდე იქნებიან არადემოკრატიული, ავტორიტარიზმის განვითარებას ასევე, შესაძლებლად მიიჩნევს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებშიც, ვინაიდან საჭიროა ელიტების რწმენა, რომ დემოკრატია მმართველობის ყველაზე ნაკლებად ცუდი ფორმაა.

დემოკრატიზაციის მეოთხე ტალღაში მაიკლ მაკფოლი მოიაზრებს 28 კომუნიზმისაგან გათავისუფლებულ ქვეყანას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მნიშვნელოვანია კითხვები, რატომ თქვა ზოგიერთმა ქვეყანამ კომუნიზმზე უარი დემოკრატიზაციისათვის, მაშინ როცა ზოგიერთები მიუბრუნდნენ ავტორიტარიზმს,⁹⁸ რატომ არის ზოგიერთი ქვეყანა დარჩენილი ტრანზიციის პერიოდში. სტატია ეყრდნობა დაშვებას, რომ პოსტ - საბჭოთა ქვეყნებში ტრანზიციის იშვიათად არის

⁹⁸. რეჟიმის ცვლა დაიწყო ერთნაირად, მაგრამ გაგრძელდა სხვადასხვა ტრაექტორიით. მხოლოდ 8 ქვეყანა (ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, სლოვენია, ხორვატია) გახდა ლიბერალური დემოკრატია. უმეტესობა არის დიქტატურა ან არაკონსოლიდირებული ტრანზიციული რეჟიმი.

დემოკრატიზაციის წინაპირობა, რაც ნაწილობრივ ხსნის ფერადი რევოლუციების ფენომენს.

მოდელი, რომლის მიხედვითაც, დემოკრატიზაცია შედეგია ტრანზიციის მაშინ, როდესაც არის ძალთა ბალანსი მომხრეებს და მოწინააღმდეგეებს შორის, არც ერთ მხარეს არ შეუძლია წარმატების მიღწევა ძალის გამოყენებით, ამიტომ ხდება მოლაპარაკება, რასაც მოაქვს ორივესთვის საუკეთესო შედეგი - არ შეესაბამება პოსტ - კომუნისტურ ქვეყნებს. რეჟიმის შეცვლას პოსტ - კომუნისტურ ქვეყნებში ახასიათებს აქტორცენტრული მიდგომა. დემოკრატია განვითარდა იქ, სადაც გადაწყვეტილების მიმღებები იყვნენ დემოკრატიულები და არა შეთანხმების გზით. სადაც გადაწყვეტილების მიმღებები იყვნენ ავტორიტარული ძალები, ჩამოყალიბდა დიქტატურა. მესამე ვარიანტი არის ძალთა თანაბარი განაწილება, რამაც განაპირობა ნაწილობრივი დემოკრატია ან ავტოკრატია. დემოკრატიზაციაზე გავლენა აქვს აქტორებს და არა ინსტიტუტებს. ეკონომიკა, კულტურა, ისტორიული ინსტიტუციური მოწყობა განაპირობებს აქტორების არჩევანს.

ტრანზიციის თანამშრომლობითი მოდელის მიხედვით, წინა და ახლანდელ მთავრობებს შორის ინტერაქციით იქმნება ახალი სისტემა. დემოკრატიული შედეგი მიიღწევა ლიბერალური პოლიტიკის მიმდევრების შეთანხმებით. რევოლუცია არ განიხილება როგორც დემოკრატიული ცვლილების წინაპირობა. დემოკრატია არის შეთანხმება პოლიტიკის მეთოდების არჩევის შეზღუდვის შესახებ, სარგებლის პროპორციული განაწილება, საგარეო ძალების მონაწილეობის შეზღუდვა გადაწყვეტილების მიღებაში. მოლაპარაკებებზე დამყარებული ტრანზიციის მოხდა მოლდოვაში, ლათინურ ამერიკაში, სამხრეთ ევროპაში, აზიაში, აფრიკაში. შეთანხმებები ზღუდავს აქტორების გაურკვეველ ქმედებას. მოლაპარაკებებზე დამყარებული ტრანზიციის ზრდის დემოკრატიულ სტაბილურობას, მოლაპარაკებების დროს მნიშვნელოვანია რადიკალების როლის შეზღუდვა.

ტრანზიციის არათანამშრომლობითი მოდელი შემდეგნაირად არის აღწერილი: იდეოლოგიურმა დაპირისპირებამ აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის განაპირობა დეკოლონიზებული ქვეყნების ნორმატივისტული არჩევანი. ამ ქვეყნებში კომუნისტებმა ვერ მოახდინეს გავლენა შემდგომ მოვლენებზე. გასათვალისწინებელია

გორბაჩოვის როლი ლიბერალიზაციაში და ზოგიერთ შემთხვევაში დიქტატურის დამყარებაში. დემოკრატიზაციისთვის საჭიროა ლიბერალიზაცია და საზღვრების გარკვევა. მხოლოდ სწრაფმა ეკონომიკურმა ცვლამ მიიყვანა დემოკრატამდე პოსტ - საბჭოთა ქვეყნები. დემოკრატიზაციისთვის ტრანზიციის სარგებელი უნდა გადანაწილებულიყო, რაც ზოგიერთი პოსტ - საბჭოთა ქვეყნის შემთხვევაში ვერ მოხდა საზღვრების გაურკვეველობის გამო. ზოგიერთი პოსტ - საბჭოთა ქვეყნის ტრანზიციის შემთხვევაში არ იყო ძალთა ბალანსი ძველ და ახალ ელიტებს შორის. რევოლუცია მოხდა ქვემოდან და არა ელიტების მიერ. ამ შემთხვევაში არ გამართლდა მიდგომა - მოლაპარაკება მიიჩნევა დემოკრატიის წინაპირობად, უთანხმოება ავტორიტარიზმის.

ქვეყნები, სადაც დემოკრატიის მომხრეებს ჰქონდათ უპირატესობა, კომუნიზმის რღვევის შემდეგ, უახლოეს 10 წელში გახდნენ დემოკრატიულები. დემოკრატიზაცია ქვემოდან გულისხმობს ჰეგემონიურ დემოკრატias - მოპოვებულს ახალი რევოლუციური ძალების მიერ, მოლაპარაკებებზე უარის თქმის გზით. ძირითადად ასე მოხდა პოსტ - კომუნისტურ ქვეყნებში, რაც გამოიხატა საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერაში და კონფრონტაციაში ძველ და ახალ ძალას შორის. პროცესი ყოველთვის არ იყო დემოკრატიული.

ჰეგემონიური ავტორიტარიზმის (ზემოდან) მაგალითია ცენტრალური აზია, ბელარუსი.

ტრანზიცია შეიძლება შევიდეს ჩიხში გაჭიანურებული დაპირისპირების შემთხვევაში ძველ და ახალ ძალას შორის, სამოქალაქო ომით, ერთნაირი ძალთა ბალანსის გამო ახალ და ძველ ძალას შორის (ტაჯიკეთი).

გამოყოფილია პოსტ - კომუნისტური რეჟიმების ტიპები: დიქტატურა (ტაჯიკეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი), ნაწილობრივი დემოკრატია (სომხეთი, ბოსნია ჰერცეგოვინა, საქართველო, მოლდოვა, რუსეთი, უკრაინა, ალბანეთი, აზერბაიჯანი, მაკედონია), დემოკრატია (ხორვატია, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ბულგარეთი, მონღოლეთი, რუმინეთი), მოლდოვაში და მონღოლეთში ჩამოყალიბდა საარჩევნო დემოკრატია, ნაწილობრივი დემოკრატია რუსეთში, უკრაინაში,

ბულგარეთში და მონღოლეთში ტრანზიცია იყო წარმატებული, ნაკლებად წარმატებული აზერბაიჯანში და ალბანეთში.

ქვეყნებს, რომლებსაც გააჩნდათ ტერიტორიული პრობლემები, გახდნენ ნაწილობრივ დემოკრატიულები. საქართველო ანტიკომუნისტურმა სენტიმენტებმა მიიყვანა გასამხედროვებულ ნაციონალიზმამდე (გამსახურდია), ხოლო შევარდნაძის მოსვლამ შეაკავა, სომხეთი ჩამოშორდა დემოკრატას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო, ბულგარეთის და რუმინეთის დემოკრატიზაციას ხელი შეუწყო დასავლეთთან სიახლოვემ. შეინიშნება დადებითი კორელაცია რეჟიმის ტიპსა და დასავლეთთან სიახლოვეს შორის. მნიშვნელოვანია გეოგრაფიული და არა სოციალური ელემენტები.

დასკვნის სახით, ქვეყნების დემოკრატიზაცია ან ავტორიტარიზმისკენ მიბრუნება, ტრანზიციის პერიოდში დარჩენა განპირობებულია ელიტების ხევით, საზღვრების პრობლემის არსებობით, დასავლეთთან სიახლოვეთ. ელიტები ცვლიან რეჟიმს. პოსტ - საბჭოთა ქვეყნებთან მიმართებაში უფრო სწორია რევოლუცია ან დეკოლონიზაცია და არა დემოკრატიზაცია. დემოკრატიის წინაპირობაა ელიტების ერთნაირი ხედვა.

უშუალოდ ფერად რევოლუციებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია განსაზღვრა, რამ განაპირობა ზოგიერთ ქვეყანაში მისი წარმატებით დასრულება და ზოგიერთში წარუმატებლად.⁹⁹

ფერად რევოლუციებთან მიმართებაში აფასებენ ხუთი აქტორის როლს: მმართველი ელიტები, ოპოზიცია, საგარეო გავლენა, არასახელმწიფო აქტორები, საზოგადოება.

წარმატებით დასრულებული რევოლუციის წინაპირობად მიიჩნევენ მმართველი პოლიტიკური ელიტების დაშვებულ შეცდომებს, ოპოზიციის ერთიანობას, საგარეო ძალების წარმატებულ ჩარევას, არასახელმწიფო აქტორების მიერ საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მიღწევას.

წარუმატებელი რევოლუციების მახასიათებლად მიიჩნევენ მმართველი პოლიტიკური ელიტების გაერთიანებას და ოპოზიციონერების დისკრედიტაცია - დაპატიმრებას, საგარეო ძალების უარს ტექნიკურ, ფინანსურ დახმარებაზე, თავის მხრივ, მმართველი ელიტების მიერ არასახელმწიფო აქტორების კონტროლს,

⁹⁹. დეტალურად: Polese, O Beachain. *The Color Revolution Virus*.

ალტერნატიული ორგანიზაციების შექმნას, საზოგადოებისთვის პროტესტის გამოხატვის ფასის გაზრდას, მედიის მანიპულაციას.

ფერად რევოლუციებთან მიმართებაში საგარეო ფაქტორების ანალიზისას, მნიშვნელოვანია, გამოიყოს არასახელმწიფო აქტორების მხარდაჭერა, პროტესტის მშვიდობიანი ფორმით გამოხატვით უცხოური სიმპათიის მოპოვება და ხელისუფლების მხრიდან ძალადობისგან თავის დაზღვევა, წინა რევოლუციების გავლენა, ხოლო შიდა ფაქტორებს წარმოადგენს არადემოკრატიული რეფორმები, სოციალური პრობლემები, უკრაინაში ასევე ბიზნეს ინტერესები.

ფერადი რევოლუციების შემთხვევაში, გამოყოფენ საპროტესტო მოძრაობის სამ კატეგორიას იმის მიხედვით, ხელისუფლებას რამდენად შეუძლია აიცილოს იგი: ქუჩის პროტესტის გარეშე ნეიტრალიზებული, მოხდა ქუჩის პროტესტის ნეიტრალიზაცია, ქუჩის პროტესტმა მიაღწია შედეგს. ასევე, გამოყოფენ ხუთ პუნქტს, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზით, დაეხმარება მოქმედ რეჟიმს შეინარჩუნოს ხელისუფლება: მმართველი ელიტის ერთიანობა, ოპოზიციის რეპრესია და გაყოფა, საგარეო გავლენის შემცირება, სამოქალაქო საზოგადოების ჩაკეტვა, საპროტესტო აქციებში მონაწილეობის ფასის გაზრდა. რევოლუცია წარმატებული იყო იმ ქვეყნებში, სადაც ანტირეჟიმულ ოპოზიციას გააჩნდა არსებობის საშუალება, სხვა პოსტ - საბჭოთა ქვეყნებში ან ოპოზიცია იყო გამოუცდელი, ან არსებულმა რეჟიმმა შეძლო ტექნიკის შესწავლა და შედეგის აცილება. ასევე, Western Democracy Promotion Organizations საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას არ დაერთო ნება.

საქართველოში მოქმედი რეჟიმის შეცდომა იყო სუსტი იძულების აპარატი, ოპოზიციის მიღწევა - ქარიზმატული ლიდერის მოძებნა, ელექტორატის მობილიზება, სამოქალაქო საზოგადოების მიღწევა - სწავლა სერბებისაგან და გამოყენება საქართველოში, უსაფრთხოების ძალებთან კოორდინაცია რეპრესიების ასაცილებლად. უკრაინაში რეჟიმის შეცდომა იყო არარეჟიმული აქტორებისთვის თავისუფლების მიცემა, დასავლეთის კეთილ ნებაზე დამოკიდებულება არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, ოპოზიციის მიღწევა იყო ერთი კანდიდატის ირგვლივ

გაერთიანება, საგარეო ყურადღების მიქცევა, სამოქალაქო საზოგადოების მიღწევა იყო მასების მობილიზაცია, ატმოსფეროს შექმნა, სადაც პროტესტი იქნებოდა სახალისო.

სხვა პოსტ - საბჭოთა ქვეყნებთან მიმართებაში, ოპოზიციას შეეზღუდა თანამშრომლობის შესაძლებლობა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მთავრობებთან, ოპოზიციის შეცდომა იყო ერთიანობის სიმცირე, საერთაშორისო კონტექსტი - იზოლირებული ეკონომიკა, ბელარუსის შემთხვევაში, მხოლოდ ენერგოდამოკიდებულება რუსეთთან, რომელთანაც იმ დროისთვის ჰქონდა კარგი ურთიერთობა, ხელისუფლება ახდენდა ოპოზიციის საერთაშორისო იზოლირებას. ბელორუსის ოპოზიცია 2000 წლიდან იღებდა საგარეო მხარდაჭერას ფერადი რევოლუციისათვის. 2006 წლის საარჩევნო კამპანიისთვის ოპოზიციას შეეზღუდა ფინანსების მიღების შესაძლებლობა, მმართველი ძალა იყენებდა სახელისუფლო რესურსებს, შეიზღუდა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა, თავისუფალი მედია, ხდებოდა დაკავებები პროტესტის გამოხატვისთანავე.

შეჯამების სახით, იქ, სადაც მოხდა რევოლუცია, მმართველი ელიტები არ იყვნენ ერთიანი, რამაც ოპოზიციას საშუალება მისცა განვითარების, როდესაც საფრთხე შეექმნა რეჟიმებს, ხელისუფლების რეაქცია იყო დაგვიანებული, საერთაშორისო აქტორებს საშუალება მიეცათ პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნიკური მხარდაჭერის, სამოქალაქო საზოგადოებას ასევე მიეცა განვითარების შესაძლებლობა, ვინაიდან საზოგადოებრივი აზრი ნაკლებად კონტროლდებოდა. სადაც დაუპირისპირდნენ ფერად რევოლუციას, მმართველი ელიტა გაერთიანდა საერთო მტრის - Western Democracy Promotion-ის წინააღმდეგ, შეზღუდეს ოპოზიციის საერთაშორისო მხარდაჭერა, დააპატიმრეს ოპოზიციონერები, გაზარდეს ოპოზიციის მხარდაჭერის ფასი, უარი გამოაცხადეს საერთაშორისო დახმარებაზე, დამკვირვებლებზე, მოახდინეს სამოქალაქო საზოგადოების კონტროლი, შექმნეს ალტერნატიული ორგანიზაციები, ახდენდნენ მედიით მანიპულირებას, ბელორუსში ოპოზიციას არ აძლევდნენ საშუალებას მიეღო ფინანსური დახმარება, ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ დასავლეთი ერიდება იმ არადემოკრატიული რეჟიმების კრიტიკას, რომელსაც რაიმე რესურსი გააჩნია, მაგალითად ენერგეტიკული, როგორც ეს არის რუსეთის, ყაზახეთის შემთხვევაში.

საგარეო მხარდაჭერა არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერების მეშვეობით ემყარებოდა სამოქალაქო აქტივობას, ხდებოდა მმართველი ელიტების წინააღმდეგ ბრძოლის ინტერნაციონალიზაცია, ამის საპირისპიროდ, რეჟიმის მხრიდან ხდებოდა თავისი მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა.

ხელისუფლების ცვლით დასრულებული რამდენიმე პროტესტის შემდეგ, დაიკარგა სიურპრიზის ეფექტი, ელიტების მიერ პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების კონტროლით ხდებოდა ხელისუფლების ცვლის თავიდან აცილება, 2005 წლის შემდეგ ფერადი რევოლუცია აღარ ყოფილა წარმატებული.

რევოლუცია ხდება იმ ქვეყნებში, სადაც რეჟიმი არ არის პოპულარული და აქვს უბრალოდ მორჩილება, ფერადი რევოლუციების სტრატეგია მუშაობს მხოლოდ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში. წინასაარჩევნო გამოკითხვების შედეგების გამოცხადების შემდეგ, ხალხი გამოდის ქუჩაში, საპროტესტო აქციებს აქვს არაძალადობრივი ხასიათი, რაც გამოწვეულია რესურსების ნაკლებობით, იმისთვის, რომ გაუძლონ შეტევას, ცდილობენ საერთაშორისო სიმპათიის მოპოვებას. გამოიყოფა ორი ასპექტი: სამოქალაქო კამპანია, რომელიც ოპოზიციას აგროვებს საერთო მიზნის ირგვლივ, საერთაშორისო აქტორების ჩარევა რეპრესიის ასაცილებლად. საქართველოს 2003 წლის რევოლუცია არის 2000 წლის სერბეთის რევოლუციის დუბლირება, ორივე შემთხვევაში ოპოზიციას გააჩნდა მომგებიანი დემოკრატიული იდეოლოგია.

ფაქტს, რომ ბელარუსში არ მოხდა რევოლუცია და 1994 წლიდან ლუკაშენკო არის ხელისუფლებაში, ავტორთა ნაწილი ხსნის ფაქტით, რომ თანამდეროვე ბელარუსის იდენტობა ჩამოყალიბდა ლუკაშენკოს პერიოდში, ბელარუსების უმრავლესობა თავს მიიჩნევდა საბჭოთა კავშირის მოქალაქეებად, არ არსებობდა რეგიონული კლანები, ორგანიზებული დისიდენტური მოძრაობა, ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ფაქტს, არის თუ არა ბელარუსი სათანადოდ სახელმწიფო.¹⁰⁰

ვაიმარის გერმანიის მსგავსად, ბელარუსის სურვილი იყო დიქტატორის მოყვანა, რომელიც გამოასწორებდა მდგომარეობას. პირველი არჩევნები ლუკაშენკომ წააგო, რა

¹⁰⁰. დეტალურად: Andrew Wilson. *Belarus the Last Dictatorship in Europe*. Yale University Press. New Haven and London. 2011

დროსაც გაეცნო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების მომგებიანობას, 1994 წლის არჩევნებში იყო შემთხვევითი კანდიდატი, შეზღუდული რესურსებით ჩაატარა კამპანია, მაგრამ ჰყავდა მხარდამჭერი ბიზნესმენები და ჰქონდა პოპულისტური კამპანია კორუფციის წინააღმდეგ.

დასავლეთის შეცდომად მიიჩნევა, რომ თავიდანვე არ დაამყარა კონტაქტი ლუკაშენკოსთან. 1995 წელს ჩატარდა რეფერენდუმი რუსული ენისთვის ბელორუსულის თანაბარი სტატუსის მინიჭების შესახებ. 1995 წლის არჩევნების შემდეგ ლუკაშენკომ თვითონვე შექმნა ოპოზიციური პარტიები, კონსტიტუციით შეასუსტა პარლამენტის როლი, მოახდინა თავის ხელში ძალაუფლების კონსოლიდაცია, სამხედრო რესურსები გაზარდა, 2001 წელს ჩაატარა მოჩვენებითი არჩევნები, ლუკაშენკოს პრეზიდენტობის მეორე ვადის დასაწყისში არ იყო ბოლომდე ავტოკრატიული სისტემა, მესამე ვადის დროს მნიშვნელოვანი იყო პოლონური არასამთავრობო ორგანიზაციის ZPB როლი ოპოზიციურ მოძრაობაში. თუმცა, 2008 წლის საქართველოს ომის შემდეგ ლუკაშენკომ თავი წარმოაჩინა არა როგორც დასავლეთის მოწინააღმდეგემ, არამედ როგორც სუვერენიტეტის დამცველმა. 2008 წლის შემდეგ მოხდა კოსმეტიკური ცვლილებები უკეთესობისკენ.

1992 - 1995 წლებში ბელორუსს გააჩნდა ნაკლები ეკონომიკური პრობლემა, ვინაიდან ჯერ კიდევ იყო საბჭოთა ინფრასტრუქტურა, ლუკაშენკოს პერიოდში არ მომხდარა პრივატიზაცია, არსებობდა ავტორიტარული ლიბერალიზმი.

2.2. პოლიტიკური სიტუაციის მიმოხილვა 1991 – 2005 წლების საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში

2.2.1. საქართველო 1991-2003 წლების პერიოდში

1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ჩატარდა 27 არჩევნები: 6 საპრეზიდენტო, 8 საპარლამენტო, 6 ადგილობრივი, 7 აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, ასევე, 2 რეფერენდუმი და 2 პლებისციტი.¹⁰¹

¹⁰¹. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ. გვერდი. უკანასკნელი წვდომა: 30.04.2018 <http://www.cesko.ge/>

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს საგარეო პოლიტიკაში რამდენიმე ძირითადი ეტაპი შეიძლება გამოიყოს. პირველი ეტაპი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლიდან და დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან იწყება და 1992 წლამდე გრძელდება. მეორე ეტაპი ედუარდ შევარდნაძის დაბრუნებას და საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას ემთხვევა და 2003 წლამდე გრძელდება. თუმცა, მკვლევართა გარკვეული ნაწილი შევარდნაძის მმართველობის პერიოდის საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ასევე ორ ქვე - პერიოდს გამოყოფს. პირველი, 1992-1995 წლები, როდესაც ქვეყანამ წააგო ომი აფხაზეთში და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას (დსთ) შეუერთდა. მეორე ქვე - პერიოდის დაწყება 1995 წელს კონსტიტუციის მიღებას ემთხვევა და 2003 წლამდე გრძელდება.¹⁰²

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო, რომელსაც ახალი გამოცხადებული ჰქონდა დამოუკიდებლობა, გახდა სამოქალაქო ომების ეპიცენტრი, რის შემდეგაც, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ეთნიკურ - ტერიტორიული კონფლიქტები დაიწყო. სამოქალაქო ომი დასრულდა ზვიად გამსახურდიას მიერ ქვეყნის დატოვებით. ედუარდ შევარდნაძეს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პოლიტიკური სიტუაცია გახდა უფრო სტაბილური, შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ფინანსური დახმარების და მხარდაჭერის მიღება, მაგრამ ქვეყანა რჩებოდა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში, კანონის უზენაესობის არარსებობა და კორუმპირებული სახელმწიფო სამსახური შესაძლებელს ხდიდა უპირატესობის მიღებას სამსახურის გამოყენების გზით. უთანასწორობა საზოგადოების ჯგუფებს შორის კეთილდღეობის განაწილებაში გაიზარდა.

ქვეყანა შეფასდა როგორც საჯარო წესრიგი შეზღუდული წვდომით, სადაც პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა შეზღუდული იყო სიღარიბით, უთანასწორობითა და სისტემური იერარქიით.¹⁰³

¹⁰². გიორგი გვალია. როგორ ირჩევენ პატარა ქვეყნები სტრატეგიულ მოკავშირეებს? დაბალანსების და მიტმასნების სტრატეგიები სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2013. გვ. 48 - 49

¹⁰³. ჯონსი. საქართველო: პოლიტიკური ისტორია. გვ. 151

საქართველო პოლიტიკური და ეკონომიკური პოლარიზაციით ხასიათდება. საქართველოს მოქალაქეები, განსაკუთრებით თბილისს გარეთ ან თბილისის ღარიბ უბნებში მცხოვრები, მოკვეთილნი არიან ეროვნული პოლიტიკისგან. საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ, რომელიც მას 1991 წლიდან ჰყავდა, ვერ შეძლო იმ უფსკრულის ამოვსება, რომელიც მმართველებსა და მართულებს შორის არსებობს. დამოუკიდებლობის შემდეგ, საქართველოს ყველა ლიდერი დემოკრატიისკენ ისწრაფვოდა. მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოახერხა ადმასრულებლის გაკონტროლება, ძალაუფლების გადაცემა ან მოქალაქეების ჩართვა პროცესებში. ხშირი სახალხო მოძრაობები გვიჩვენებს, რომ ქართველებს ძალუძთ მთავრობების შეცვლა, როცა ისინი შორდებიან ხალხს და ძალას კარგავენ. 1991–1992 წლებში მათ ეს ძალით შეძლეს, 2003 წელს – მშვიდობიანად.¹⁰⁴

ინფორმაცია საქართველოში ჯინის ინდექსის შესახებ, რომელიც მატერიალურ დეპრივაციას ასახავს რიცხვებში, ხელმისაწვდომია 1996 წლიდან, მაგრამ 1991 – 1995 წლების პერიოდის მოკლე ისტორიული მიმოხილვა მნიშვნელოვანია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ საერთო წარმოდგენის შესაქმნელად და სამომავლო პოლიტიკური არჩევანის შესახებ პროგნოზირებისთვის.

გამსახურდიას მმართველობის დროს საქართველო, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული ერთეული ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული საერთაშორისო საზოგადოების მიერ. აღნიშნული პერიოდი როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკაში, ე.წ. პოპულიზმის ფენომენით ხასიათდებოდა. პოლიტიკისადმი პოპულისტურმა დამოკიდებულებამ ორი ურთიერთსაპირისპირო და უმწიფარი დემოკრატიისათვის დამახასიათებელი ფენომენი წარმოაჩინა. პირველი, გამსახურდიას პოპულიზმით განმსჭვალულმა დამოკიდებულებამ როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკისადმი თავდაპირველ ეტაპზე მას საშუალება მისცა ხალხის დიდი მხარდაჭერა მოეპოვებინა. და მეორე, მკვლევართა გარკვეული ნაწილის შეხედულებით, მის მიერ გამოყენებულმა მართვის მეთოდებმა მალევე მიიყვანა ქვეყნის იმდროინდელი ადმინისტრაცია ავტორიტარიზმამდე. რონალდ გრიგორ სუნის შეხედულებით, გამსახურდიას მზარდმა ავტორიტარიზმმა არა მხოლოდ

¹⁰⁴. ჯონსი. საქართველო: პოლიტიკური ისტორია. გვ. 383

ეთნიკურად არაქართველების, არამედ ეროვნული მოძრაობის ბევრი ლიდერის გაუცხოებასაც შეუწყო ხელი.¹⁰⁵

მასობრივი ორგანიზებული ეროვნული მოძრაობის არარსებობამ და ძლევამოსილ მფარველებზე და პერსონალიებზე ტრადიციულმა დამოკიდებულებამ ხელი შეუწყო ინტელექტუალებისა და ახალგაზრდა აქტივისტების რევოლუციის მეოხების არამდგრადი ჯგუფების ჩამოყალიბებას, რომელიც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა საზოგადოებრივ აზრს თუ კოალიციების შექმნის აუცილებლობას. ეს იყო რისხვისა და ძალაუფლებისკენ ლტოლვის, მაგრამ მოსახლეობასა და მის პრობლემებს მოწყვეტილი პოლიტიკა.¹⁰⁶

1992 წელს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველოში ედუარდ შევარდნაძე დაბრუნდა.

ამავე პერიოდში რუსეთის ძალადობრივი დიპლომატია რამდენიმე მიმართულებით ხორციელდებოდა. პირველი, რუსეთი აფხაზეთის კონფლიქტში მხარს სეპარატისტებს უჭერდა. რუსეთის მიერ აფხაზეთის კონფლიქტში სეპარატისტების მხარეზე მონაწილეობის გამო შევარდნაძე ამ კონფლიქტს ღიად უწოდებდა საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტს. მეორე სტრატეგია იყო ეკონომიკური ბლოკადა, რომელიც საქართველოსათვის ბუნებრივი აირის მიწოდებისა და სატელეფონო კავშირების შეწყვეტით განხორციელდა. ასევე რუსეთმა უარი უთხრა საქართველოს კრედიტების გამოყოფაზე, მაშინ როცა საბჭოთა კავშირის სხვა ყოფილ რესპუბლიკებს კრედიტების აღების უფლება მისცა.¹⁰⁷

სამი წელი, 1992 წლიდან 1995 წლამდე ინტერრეგნუმი (ქაოტური შუალედური მმართველობა) იყო გამსახურდიას მეორე რესპუბლიკის გამოფიტულ რადიკალიზმსა და შევარდნაძის მეოთხე რესპუბლიკის ზომიერ პოლიტიკას შორის, რომელიც ელიტური წრეების მონაწილეობით ხორციელდებოდა. ამ უკანასკნელის ფესვები 1995 წლიდან იძებნება თავის ახალი კონსტიტუციით. მაგრამ შუალედური მმართველობა არეულობის დრო იყო, რომელიც ხასიათდებოდა ძლიერი გასამხედროვებული

¹⁰⁵. გვალაია. *როგორ ირჩევენ პატარა ქვეყნები სტრატეგიულ მოკავშირეებს*. გვ. 50

¹⁰⁶. ჯონსი. *საქართველო: პოლიტიკური ისტორია*. გვ. 36

¹⁰⁷. გვალაია. *როგორ ირჩევენ პატარა ქვეყნები სტრატეგიულ მოკავშირეებს*. გვ. 52

ძალების არსებობით, უცხოური ინტერვენციით და სამხედრო კრიზისით სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.¹⁰⁸

1993 წლის ნოემბერში შეიქმნა საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, ახალი პარტია შევარდნაძის თავმჯდომარეობით, რომელიც სამოქალაქო თანხმობის და კანონის უზენაესობის პროპაგანდას ეწეოდა. კომუნისტებისა და ახალგაზრდა პოსტ-კომუნისტების გაერთიანებისთვის გამიზნული პარტია სწრაფად გადაიქცა პოლიტიკური და ეკონომიკური სიკეთეების ახალი რეჟიმის მხარდამჭერთა შორის გადასანაწილებელ მექანიზმად.¹⁰⁹

როგორც ჯეიმს კაპორასო აღნიშნავს, პოლიტიკური პროცესი შეიძლება ემსახურებოდეს პირადი დაკმაყოფილების დონის ზრდას. ასევე, შეესაბამებოდეს ინტერესთა ჯგუფების მოთხოვნებს.¹¹⁰

ჩარლზ ტილი ასახელებს სახელმწიფოს სამ ძირითად ფუნქციას: მოპოვების, იძულების და ინტეგრაციის ფუნქციები, საქართველოს ახალ ხელისუფლებას უნდა უზრუნველყო სამივე - შემოსავლის გენერირება, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება, სასაზღვრო უსაფრთხოების ჩათლით, მოქალაქეების ლოიალურობა სახელმწიფოს მიმართ. სახელმწიფოს უნდა მოეცვა მთელი საზოგადოება. ფრაგმენტირებულმა ელიტამ ვერ შეძლო განსხვავებული საზოგადოების გაერთიანება. შევარდნაძემ ვერ შეძლო ბიუროკრატიული აპარატის შექმნა, ეკონომიკაში სახელმწიფოს მისიით. იძულებითმა ეკონომიკურმა ლიბერალიზაციამ განაპირობა რესურსების გაქრობა.¹¹¹

1995 წლიდან, საქართველოში ახალი ერის დაწყება ემთხვევა ახალი კონსტიტუციის მიღებას და ქვეყნის შიგნით სტაბილურობის დამყარებას. 1999 წლიდან ევროპის საბჭოს წევრობა უკავშირდება მეორე პერიოდს, რომელიც ფასდება როგორც სერიოზული აღიარება საქართველოს ევროპული ორიენტაციის. 2002 წლის

¹⁰⁸. ჯონსი. *საქართველო: პოლიტიკური ისტორია*. გვ. 106

¹⁰⁹. ჯონსი. *საქართველო: პოლიტიკური ისტორია*. გვ. 111

¹¹⁰. James A Caporaso. David P Levine. *Theories of Political Economy*. Cambridge University Press. 1992. გვ. 5

¹¹¹. ჯონსი. *საქართველო: პოლიტიკური ისტორია*. გვ. 107

ნოემბერში, ნატო-ს პრადის სამიტზე, შევარდნამემ განაცხადა ქვეყნის სურვილის შესახებ, გამხდარიყო ალიანსის ნაწილი.

პოლიტიკური და მატერიალური დეპრივაცია, ეკონომიკური კრიზისი და კორუფცია კვლევისთვის აქტუალური პერიოდისთვის შეიძლება დადასტურდეს ამავე პერიოდის პრესის მიმოხილვით.

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე გაზეთ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ საერთაშორისო ფინანსური დახმარება ქვეყანაში შეჩერდა არა არასტაბილური მდგომარეობის გამო, არამედ იმიტომ, რომ სავალუტო ფონდი და საერთაშორისო ორგანიზაციები დარწმუნდნენ, რომ საქართველოში არსებობს კორუფცია, დახმარება არ აღწევს მოსახლეობამდე და არ სრულდება სავალდებულო სოციალური პროგრამები. ასევე, არამიზნობრივად იხარჯება სხვა გრანტებიც, რის გამოც უცხოეთის ქვეყნები უარს აცხადებენ საქართველოს დახმარებაზე, ვინაიდან არის უწყესრიგობა და არ არსებობს ეკონომიკური პოლიტიკა.¹¹²

გაზეთ „24 საათი“-ს ჟურნალისტი ეკა კვესიტაძე თავის სტატიაში წერს, რომ გაყალბებული არჩევნები და მთავრობის მიერ მოუგვარებელი სოციალური პრობლემები მიზეზი გახდა რევოლუციის.¹¹³

შევარდნადის მმართველობის მეორე პერიოდში, დასავლეთის წამყვანმა სახელმწიფოებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გარდამავალ ეტაპზე. საქართველო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, ერთ სულ მოსახლეზე, ყველაზე დიდ დახმარებას იღებს აშშ-სგან. მიუხედავად დიდი ფულადი დახმარებისა, მოსახლეობის უმრავლესობა დღესაც სიღარიბის ზღვარზე ან ზღვარს მიღმა ცხოვრობს. დასავლეთის სახელმწიფოები დამარცხდნენ ამ ქვეყანაში, მათ ვერ მიაღწიეს დასახულ მიზნებს. კერძოდ, ვერ შექმნეს სტაბილური ეკონომიკა და კონსოლიდირებული დემოკრატიული სახელმწიფო. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისთვის შექმნილმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის გეგმამ, თითქმის

¹¹². ინტერვიუ გოცირიძე რომანთან, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელთან. უცხოეთის სახელმწიფოებმა დახმარებები შეგვიწყვიტეს, *ხელისუფლება ეკონომიკურ კრიზისს ხელოვნურად იწვევს*, „ახალი თაობა“. 2003 წ. 16 ნოემბერი. გვ. 4

¹¹³. კვესიტაძე ეკა, რა ქნას ხალხმა რომელსაც დასცინიან? „24 საათი“. 4 ნოემბერი 2003 წ. გვ. A1-A3

ბოლშევიკურმა, შეიძლება ითქვას, თავისი მოცულობითა და შეუვალი დამაჯერებლობით, დიდი წვლილი შეიტანა სწორედ იმ პოლიტიკურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ ვარდნაში, რომლის თავიდან ასაცილებლადაც ის შემუშავდა და, ამასთან, უფრო გაამწვავა დამაბულობა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ლიბერალიზაციას შორის.¹¹⁴

პოლიტიკურ ინსტიტუტებს გააჩნია როგორც მორალური, ასევე, ინსტიტუციური გამოწვევები. საზოგადოება სუსტი პოლიტიკური ინსტიტუტებით განიცდის შესაძლებლობის ნაკლებობას არჩევანის პერსონალურ და უნივერსალურ სურვილებს შორის. პოლიტიკური უთანასწორობა ხდება პოლიტიკური არასტაბილურობის განუყოფელი მიზეზი.¹¹⁵

როცა ხალხი სახელმწიფოს ასეთ დონეზე არასაიმედოდ აღიქვამს, მაშინ ყოველგვარ ძალას კარგავს კანონიერება და მორალური ნორმები. შავ ბაზარზე მუშაობა საბჭოთა ცხოვრებისთვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ 1999 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 52% ისევ არაფორმალურ სექტორში იყო დასაქმებული, თუმცა მცირე მასშტაბებით და როგორც უმეტესად, როგორც დროებითი, სეზონური მუშები.¹¹⁶

2003 წლისთვის საქართველო წარმოადგენდა არშემდგარ სახელმწიფოს. საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის მონაცემების მიხედვით, 133 სახელმწიფოს შორის ეკავა 124-ე ადგილი, რაც საქართველოს აყენებდა ისეთი კორუფციული ქვეყნების გვერდით, როგორცაა ანგოლა, აზერბაიჯანი და ტაჯიკეთი.¹¹⁷

შევარდნადის მმართველობის პერიოდის მეორე ფაზის შეფასებისას, გასათვალისწინებელია საგარეო მხარდაჭერა, რომელიც ემატებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების და პოლიტიკური აქტივისტების მზაობას ემოქმედათ არატრადიციული გზით - გამოეწვიათ ხელისუფლება და ეფიქრათ იმპორტირებული თეორიების საუკეთესო გზით იმპლემენტაციაზე არსებული სიტუაციის

¹¹⁴. ჯონსი. *საქართველო: პოლიტიკური ისტორია*. გვ. 19

¹¹⁵. Huntington. *Political Order*. გვ. 24, გვ. 25

¹¹⁶. ჯონსი. *საქართველო: პოლიტიკური ისტორია*. გვ. 29

¹¹⁷. Alexander Kupatadze, *Georgia's Break with the Past*. Journal of Democracy, vol. 27, no. 1, 2016, p. 110

გათვალისწინებით. ამ პოლიტიკურმა შესაძლებლობამ გაზარდა სამოქალაქო აქტივიზმი და გახდა საფუძველი ეროვნული და საერთაშორისო ქსელებისთვის გამოეწვიათ ხელისუფლება შიდა და საერთაშორისო არხებით და შეექმნათ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ტრენერების ქსელი, რომელიც მსოფლიოში მოღვაწეობენ შედარებით დაფარულად.¹¹⁸

როგორც დარონ აცემოგლუ აღნიშნავს, უკმაყოფილების საფუძველი არის სიღარიბე.¹¹⁹

ამასთანავე, დიდი უთანასწორობა საფუძველი ხდება უფრო დიდი პოლიტიკური არასტაბილურობის.¹²⁰

აღნიშნული თეორიული დაშვების თანახმად, მთავარი შეცდომები, რაც დაუშვა რეჟიმმა საქართველოში, იყო სუსტი იმულების აპარატის შექმნა, ოპოზიციის წარმატების წინაპირობა იყო ქარიზმატული ლიდერის მოძებნა, ელექტორატის მობილიზება, უნარი, ესწავლათ სერბებისგან და გადმოეტანათ ქართულ კონტექსტში, კოორდინაცია უშიშროების ძალებთან და რეპრესიის თავიდან არიდება.¹²¹

დამატებით, ენდრიუ ვილსონი აღნიშნავს, რომ საქართველოსა და სერბეთის შემთხვევაში, რუსეთი და დასავლეთი შეთანხმდნენ, რომ ლიდერები უნდა წასულიყვნენ, უკრაინის შემთხვევა იყო განსხვავებული.¹²²

აღსანიშნავია, რომ ქართველთა უმრავლესობა ლიდერთა პიროვნულ სიძლიერეს, გავლენას და ფინანსურ რესურსებს ეყრდნობა. როგორც დუგლას ნორტი ამბობს, სწორედ ეს აბრკოლებს პოლიტიკურად სტაბილური ველის შექმნას და ეკონომიკის განვითარებას.¹²³

შევარდნაძის მმართველობის პერიოდის შესაჯამებლად, აღსანიშნავია, რომ განისაზღვრა საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელიც საფუძვლად დაედო ქვეყნის პოლიტიკურ პრიორიტეტებს მომდევნო პერიოდისთვის, ამის მიუხედავად, ვერ იქნა

¹¹⁸. Polese, O Beachain. *The Color Revolution Virus*. გვ. 128-129

¹¹⁹. Acemoglu, Robinson. *Why Nations Fail*. გვ. I

¹²⁰. Acemoglu, Robinson. *Economic Origins*. გვ. 62

¹²¹. Polese, O Beachain. *The Color Revolution Virus*. გვ. 123

¹²². Wilson. *Ukraine's Orange Revolution*. გვ. 198

¹²³. ჯონსი. *საქართველო: პოლიტიკური ისტორია*. გვ. 30

დამღეული სოციალური უთანასწორობა, კორუფცია და კანონის უზენაესობის არარსებობა, რაც საფუძველი გახდა მომავალში საზოგადოების პროტესტის.

კითხვაზე პასუხის გასაცემად - რატომ მოხდა საზოგადოების მობილიზაცია საქართველოში წინა-რევოლუციურ პერიოდში, თანმხლები სოციალური, კულტურული და პოლიტიკური გარემოებების კვლევასთან ერთად მნიშვნელოვანია საქართველოს მოქალაქეების დამოკიდებულების გარკვევა სოციალურ მოძრაობებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

კავკასიის ბარომეტრი წარმოადგენს ყოველწლიურ გამოკითხვას სოციალურ-ეკონომიკური საკითხებისა და პოლიტიკური პრეფერენციების შესახებ, რომელსაც ატარებს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC) სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში: სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში. მონაცემები ხელმისაწვდომია 2008 წლიდან. გამოკითხვის მონაცემებზე დაყრდნობით, რესპონდენტების უმეტესობა მხარს უჭერს დემონსტრაციებში მონაწილეობის იდეას.¹²⁴

2.2.2. უკრაინა 1991-2004 წლების პერიოდში

დამოუკიდებელი უკრაინის ისტორიაში, კვლევის ქრონოლოგიური საზღვრების გათვალისწინებით, პირობითად სამი პერიოდის გამოყოფაა შესაძლებელი: პირველი პერიოდი გრძელდება 1994 წლამდე, ლეონიდ კრავჩუკის მმართველობის პერიოდში, ხოლო მეორე და მესამე პერიოდი ლეონიდ კუჩმას საპრეზიდენტო ვადებს შეესაბამება.

1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, უკრაინის პრეზიდენტი გახდა კომუნისტური პარტიის ყოფილი ლიდერი ლეონიდ კრავჩუკი, რომლის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდს ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება და ინფლაცია ახლდა. პრივატიზაციის პროცესი იყო კორუფციული. ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესში გართულდა სოციალური სიტუაცია, რამაც შექმნა პოლიტიკური პრობლემები. 1994 წელს ჩატარდა რიგგარეშე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები.

¹²⁴. დეტალური რაოდენობრივი მონაცემების შესახებ, იხილეთ ცხრილი 17

დამოუკიდებლობის პირველ პერიოდში, უკრაინამ ასევე აიღო ვალდებულება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ და მოხდა მისი გატანა უკრაინის ტერიტორიიდან, რამაც შემდგომი პერიოდის ქვეყნის უსაფრთხოების სექტორზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.

1994 წელს, ლეონიდ კუჩმას არჩევის შემდეგ, ეკონომიკური სიტუაცია ნაწილობრივ გამოსწორდა, 1996 წელს მიღებული იყო უკრაინის კონსტიტუცია და უკრაინის ეროვნული ვალუტა გრივნა, თუმცა, რუსეთის ინტერესების გატარების გზით, რასაც ადასტურებს 1997 წელს რუსეთსა და უკრაინას შორის ხელმოწერილი შეთანხმება შავ ზღვაში ყირიმის პორტებში რუსეთის ფედერაციის გემების განთავსების შესახებ.

1999 წლის საპრეზიდენტო არჩევებში კვლავ ლეონიდ კუჩმამ გაიმარჯვა, ხოლო მთავრობის მეთაური გახდა ვიქტორ იუშენკო, იმ დროისთვის უკრაინის ეროვნული ბანკის მმართველი, რომელიც მიიჩნეოდა რეფორმატორად და ხელი შეუწყო ეკონომიკური სიტუაციის გამოსწორებას. თუმცა, 2001 წელს ოპოზიციური გამომცემლობის ჟურნალისტის - გიორგი ღონდაძის მკვლელობის შემდეგ, უკრაინა კრიზისმა მოიცვა. ლეონიდ კუჩმას საწინააღმდეგო მოძრაობა ძლიერდებოდა მედიის შეზღუდვის, პოლიტიკური მანიპულაციების და ნეპოტიზმის ფონზე. 2001 წლის მარტში საზოგადოების საპროტესტო აქცია ხელისუფლების წინააღმდეგ დასრულდა ხელისუფლების მხრიდან ძალის გამოყენებით, რამაც კუჩმას ხელისუფლების ავტორიტეტი საბოლოოდ შეასუსტა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე.

2001 წლის საზოგადოებრივი პროტესტის ძალადობის გზით განეიტრალების შემდეგ, დათხოვნილი იყო იუშენკოს მინისტრთა კაბინეტი, რაც საბოლოო ნაბიჯი იყო ოპოზიციური ძალის ფორმირების „ჩვენი უკრაინის“ (Наша Україна) ბლოკის სახით, ხოლო ხელისუფლების მხარდამჭერი ბლოკი გახდა „ერთიანი უკრაინისთვის“ (Єдина Україна). 2002 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ამ ორი ბლოკის გარდა ბარიერი გადალახეს იულია ტიმოშენკოს ბლოკმა, კომუნისტურმა, სოციალისტურმა და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა.

კუჩმას ხელისუფლებაში ყოფნა დასრულდა 2004 წელს საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბების მცდელობის შემდეგ. მასობრივმა საზოგადოებრივმა პროტესტმა და

ევროკავშირის მედიაციამ, განაპირობა ახალი არჩევნების დანიშვნა. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველმა ტურმა ვერ გამოავლინა გამარჯვებული, პირველ ორ ადგილზე გავიდნენ ვიქტორ იუშენკო და ვიქტორ იანუკოვიჩი. მეორე ტური მიმდინარეობდა დარღვევებით, დიდი სხვაობა იყო ექსიტპოლის და არჩევნების წინასწარ შედეგებს შორის. ნოემბრის ბოლოს კიევის მთავარ მოედანზე შეკრებილი საზოგადოება მოითხოვდა არჩევნების შედეგების გაუქმებას, რაც 2004 წლის 4 დეკემბერს დააკმაყოფილა უკრაინის უმაღლესმა სასამართლომ და დანიშნა განმეორებითი მეორე ტური. 2004 წლის არჩევნებს თვალს ადევნებდა 12 ათასი საერთაშორისო დამკვირვებელი.

უკრაინის მოსახლეობის პოლიტიკური პრეფერენციების შეფასებისას, გასათვალისწინებელია, რომ უკრაინა იდეოლოგიურად დაყოფილია აღმოსავლეთად და დასავლეთად. დასავლეთ უკრაინაში ავსტრია - უნგრეთის იმპერიის ფარგლებში მე - 19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა მძლავრი უკრაინული ეროვნული იდენტობა, ხოლო აღმოსავლეთი გამოირჩევა რუსეთთან კულტურული სიახლოვით. უკრაინის პირველი პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი მომხრე იყო უკრაინული ეროვნული იდენტობის დაცვის, თუმცა, 90 - იან წლებში ეკონომიკური პრობლემების ფონზე, აღმოსავლეთ უკრაინის ინდუსტრიულმა ელიტამ საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი დაუჭირა ლეონიდ კუჩმას, რომელიც რუსეთთან სიახლოვის მომხრე იყო.¹²⁵

ნარინჯისფერი რევოლუციის წინა პერიოდის მიმოხილვისას, გასათვალისწინებელია 2004 წლის ნოემბერში კიევში არჩევნების წინასწარი შედეგებისა და საარჩევნო გამოკითხვების შედეგების გამოცხადების შემდეგ მობილიზება დაახლოებით ნახევარი მილიონი სამოქალაქო აქტივისტის, რის ფონზეც უზენაესი სასამართლოს მიერ არჩევნების შედეგების გაუქმების შემდეგ, ვიქტორ იუშენკომ მოიპოვა გამარჯვება 2004 წლის დეკემბრის არჩევნებში.¹²⁶

¹²⁵. Lucan A. Way. *Authoritarian State Building and the Sources of Regime Competitiveness in the Fourth Wave: The Cases of Belarus, Moldova, Russia, and Ukraine*. World Politics, vol. 57, no. 2, 2005, pp. გვ. 256

¹²⁶. განხილულია სტატიაში: Taras Kuzio. *The Opposition's Road to Success*. Journal of Democracy, vol. 16, no. 2, 2005, pp. 117-130

1999 წლის უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები იყო განმეორება რუსეთის 1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნების, ორივე შემთხვევაში, ამომრჩეველმა ხმა მისცა კომუნისტი ლიდერების წინააღმდეგ, რის შემდეგაც, ყოფილმა საბჭოთა ნომენკლატურამ საკუთარი ფინანსური ინტერესების დასაცავად, შექმნა პოლიტიკური პარტიები და მოვიდა საპარლამენტო უმრავლესობაში, მათ შორის ვიქტორ იანუკოვიჩის რეგიონების პარტია, ხოლო 2001 წელს უკრაინის უმაღლესმა საბჭომ, რომელიც შედგებოდა კომუნისტური და სოციალისტური პარტიებისგან, გადააყენა იუშენკოს მინისტრთა კაბინეტი.

იუშენკომ პრემიერ - მინისტრობის დროს გაატარა პრივატიზაციის ხელშემწყობი ეკონომიკური რეფორმები, შეამცირა სახელმწიფო ბიუროკრატია და გაატარა რეფორმები ენერგეტიკის სფეროში, რამაც მის მიმართ მხარდაჭერა გაზარდა 35%-მდე. ამას ახლდა თან ფარული ჩანაწერების გახმოვანება, სადაც კურმა მიუთითებდა შინაგან საქმეთა მინისტრს “მიეხედათ” ოპოზიციონერი ჟურნალისტის - გიორგი ღონღაძესთვის, რომელიც გაუჩინარების შემდეგ გარდაცვლილი იპოვეს.

ამასთანავე, იუშენკო მოიაზრებოდა როგორც ამერიკის სატრაპი - პროვინციის მმართველი.¹²⁷

იუშენკო გახდა კურმას მმართველობის ოპოზიციონერი, შექმნა ლიბერალური პარტიების ბლოკი კურმას ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც 2002 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მოიპოვა 112 მანდატი 450 ადგილიან საკანონმდებლო ორგანოში. ასევე, ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ მოიპოვა ადგილები სათათბირო ორგანოში, თუმცა მათ ვერ შეძლეს გაერთიანება კურმას წინააღმდეგ, ამიტომ ადრეული პროტესტი არ იყო მასობრივი. ასევე, მნიშვნელოვანი იყო აშშ-ს მიერ კურმას დადანაშაულება ერაყისთვის საზენიტო დანადგარის მიყიდვის თაობაზე, რის შემდეგაც იუშენკომ ბოიკოტი გამოაცხადა საკანონმდებლო ორგანოში მონაწილეობაზე. 2003 წლის მარტში 50 ათასამდე მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა ანტისახელისუფლო გამოსვლებში, რის შემდეგაც კურმამ შეთავაზა ოპოზიციას საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც შეასუსტებდა პრეზიდენტის უფლებამოსილებას და გაზრდიდა პარლამენტის უფლებამოსილებას, თუმცა 2004

¹²⁷. Kuzio. *The Opposition's Road to Success*. გვ. 121

წლის აპრილში სათათბირო ორგანომ ვერ მიიღო აღნიშნული ცვლილებები. წინასაპრეზიდენტო პერიოდში რუსეთი მხარს უჭერდა იანუკოვიჩის კანდიდატურას, ასევე, უკრაინის ინდუსტრიული აღმოსავლეთ ნაწილი, იანუკოვიჩი მიიჩნეოდა კრიმინალური დაჯგუფებების ლობისტად.

აღსანიშნავია, რომ მეორე საპრეზიდენტო ვადის ბოლო პერიოდში, კუჩმას მიერ გარკვეულ დათმობებზე წასვლის მზაობამ, შექმნა პირობები 2004 წლის საზოგადოების პროტესტის სასურველი შედეგით დასრულებისთვის.¹²⁸

2.2.3. ყირგიზეთი 1991-2005 წლების პერიოდში

საქართველოსა და უკრაინისგან განსხვავებით, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ყირგიზეთის პოლიტიკურ სისტემაში ეტაპების გამოყოფა რთულია, ვინაიდან დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 2005 წლის მოვლენებამდე ხელისუფლებაში ასკარ აკაევი იყო. ყაზახეთთან და უზბეკეთთან შედარებით, ქვეყანა ღარიბია, თუმცა გააჩნია ოქროს და წყლის რესურსები.

ქრონოლოგიურად, მთავარი ეტაპები დამოუკიდებელი ყირგიზეთის ისტორიაში შემდეგნაირად გამოიყოფა: ყირგიზეთმა დამოუკიდებლობა 1991 წელს გამოაცხადა, 1992 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას შეუერთდა. 1993 წელს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუცია, რომლის მიხედვით, ყირგიზეთი საპრეზიდენტო რესპუბლიკად ჩამოყალიბდა, ხოლო დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 2005 წლამდე ქვეყნის პრეზიდენტი ასკარ აკაევი იყო. 1993 წლიდან ბრუნვაში გაშვებულ იქნა ქვეყნის ვალუტა სომი.

დამოუკიდებლობის პირველივე წლებში ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ჩინგიშევის კორუფციულ გარიგებაში მონაწილეობის შემდეგ, პრემიერ-მინისტრი საბჭოთა ნომენკლატურის წარმომადგენელი ჯუმაგულოვი გახდა, შექმნილი პოლიტიკური კრიზისის გამო, ორპალატიანი პარლამენტი ჩამოყალიბდა, ქვეყანა კი ავღანური ნარკოტიკების სატრანზიტო დერეფანი გახდა, იზრდებოდა ინფლაცია, ხოლო 2000-

¹²⁸. იგულისხმება პოლიტიკური რეჟიმის ლიბერალიზაცია

იანი წლების დასაწყისში, ყირგიზეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ჩართული აღმოჩნდა ანტიტერორისტულ ოპერაციაში, მანასში განთავსდა ამერიკული ავიაბაზა. ასევე, უზბეკური ექსტრემისტული ისლამისტური ორგანიზაცია შეეცადა თურქმენეთიდან უზბეკეთში შეღწევას ყირგიზეთის ტერიტორიიდან.

2005 წლის მარტის მოვლენებმა ყირგიზეთი რამდენიმე დღით მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოაქცია. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ყირგიზეთს მართავდა ასკარ აკაევი და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, გახსნილი იყო დემოკრატიული ღირებულებებისთვის, 90-იანი წლების დასაწყისში უშვებდა მულტიპარტიულ არჩევნებს, თუმცა ქვეყანა დემოკრატიული იყო მხოლოდ მეზობელ ქვეყნებთან შედარებით. 2003 წელს აკაევმა ჩაატარა რეფერენდუმი, რომელიც ერთპალატიანი პარლამენტის შექმნას და პრეზიდენტის უფლებამოსილების გაზრდას შეეხებოდა, თუმცა, თვითონ აღარ აპირებდა პირდაპირ მონაწილეობას პოლიტიკაში და 2005 წლის არჩევნებით მისი ოჯახის წევრების ჩართვას შეეცდებოდა პოლიტიკაში.

წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიცია მოქცეული იყო უთანასწორო პირობებში, სასამართლოები აუქმებდნენ ოპოზიციური კანდიდატების საარჩევნო რეგისტრაციას, ოპოზიციური სატელევიზიო არხები ვერ ახერხებდნენ მაუწყებლობას, აკაევი ოპოზიციურ კანდიდატებს მოიხსენიებდა როგორც ისლამისტ ფუნდამენტალისტებად, ასევე უცხოეთისგან მართულებად. ეუთო-მ წინასაარჩევნო პერიოდი შეაფასა როგორც სერიოზული დარღვევებით მიმდინარე, ამის საპირისპიროდ, ხელისუფლებამ სახელმწიფო ტელევიზიით წარმოადგინა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დამკვირვებლების დადებითი შეფასებები, ამასთანავე, დსთ-ს სადამკვირვებლო მისიის უკრაინელი წარმომადგენელი აცხადებდა, რომ არ მიეცა საშუალება აღმოჩენილი დარღვევის ოქმში დაფიქსირების. თუ დსთ-ს და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიები რეგიონული სტატუსით მოქმედებდნენ, ლონდონის საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტი წარმოადგენდა აკაევის ხელისუფლების მიერ დაქირავებულ ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის ან საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ალტერნატივას.

დარღვევების მიუხედავად, მოქმედი ხელისუფლება უფრო ფართომასშტაბიან საზოგადოებრივ პროტესტს ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ვარაუდობდა, თუმცა, რამდენიმე კვირაში ამბოხებულებმა დაიკავეს მთავარი სამთავრობო შენობები ოშსა და ჯალალაბადში. აღსანიშნავია, რომ ყირგიზეთის ჩრდილოეთ და სამხრეთ რეგიონში, მოსახლეობის პოლიტიკური შეხედულებები, მსგავსად უკრაინის დასავლეთი და აღმოსავლეთი რეგიონებისა, განსხვავდება ერთმანეთისგან რადიკალურად.

მკვლევარების ნაწილი ყირგიზეთში განვითარებულ მოვლენებს სიღარიბეს უკავშირებს, ნაწილი კი დემოკრატიული ინსტიტუტების არარსებობას, ასევე, აკაევის ხელისუფლების მიერ სამოქალაქო საზოგადოების თავისი ინტერესებისთვის გამოყენების მცდელობას.¹²⁹

აკაევის რეჟიმის პირობებში იქმნებოდა ორგანიზაციები, რომლებიც თითქოს სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებს წარმოადგენდნენ და იცავდნენ ხელისუფლებას ოპოზიციის კრიტიკისგან.

თავისუფალ მედიასთან მიმართებაში, დამოუკიდებელ მედიასაშუალებებს ყიდულობდნენ აკაევის მომხრეები ან კარგავდნენ მაუწყებლობის ნებართვას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული დასაქმებულები, მაგალითად მასწავლებლები, ხელფასის მიღების სანაცვლოდ ხელისუფლების მოთხოვნით მონაწილეობას ღებულობდნენ აკაევის მხარდამჭერ გამოსვლებში, ასევე საარჩევნო პროცესში, მათთან ერთად სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები, რომელთაც უნივერსიტეტების რექტორები კარნახობდნენ პოლიტიკურ პრეფერენციებს. ამის საპირისპიროდ, სტუდენტებმა შექმნეს ახალგაზრდული ოპოზიციური ორგანიზაცია „Kel-Kel”¹³⁰, რასაც აკაევმა დაუპირისპირა ე.წ. GONGO (Government Organized Nongovernmental Organization) - მთავრობის მიერ ფორმირებული არასამთავრობო ორგანიზაცია.

მიიჩნევა, რომ ანტისამთავრობო გამოსვლების ორგანიზებისთვის საზოგადოების მობილიზებას ხელი შეუწყო ერთ-ერთ ოპოზიციურ გაზეთში გამოქვეყნებულმა

¹²⁹. Scott Radnitz. *What really happened in Kyrgyzstan?* Journal of Democracy, vol. 17, no. 2, 2006, გვ. 132-133

¹³⁰. “კმარა“ საქართველოში და “Попа” უკრაინაში

აკაევის მდიდრული სახლის ფოტოებმა და ინფორმაციამ მისი ბიზნესის შესახებ, რამაც საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია, მეორე ფაქტორი იყო ყველა სახელისუფლო რესურსის გამოყენება აკაევის ქალიშვილის მიერ საპარლამენტო არჩევნებში საპარლამენტო მანდატის მოსაპოვებლად, მესამე, ხელისუფლება ცდილობდა საპროტესტო აქციებში დაქირავებული პირების შემზავებით ქაოსის გამოწვევას, მათ შორის იყვნენ სპორტსმენები, რომელთაც „ხელმძღვანელობდა“ აკაევის ვაჟიშვილი.¹³¹

რევოლუციას უსწრებდა 2002 წელს სოფელ აქსის მოსახლეობის დარბევა (ჯალალ აბადის რაიონი), რომლებიც ჩინეთისთვის ტერიტორიის გადაცემას აპროტესტებდნენ. ამ შემთხვევის შემდეგ იმ პერიოდში პრემიერ მინისტრმა ყურმანბეკ ბაკიევმა დატოვა თანამდებობა და მოსახელობამ საბოლოოდ დაკარგა აკაევის ნდობა, რასაც მოყვა ტიტების რევოლუცია და დასრულდა აკაევის 15 წლიანი მმართველობა.

ყირგიზეთში, საქართველოსა და უკრაინისგან განსხვავებით, სამოქალაქო საზოგადოება და ეროვნული სტუდენტური მოძრაობები არ იყო ძლიერი, ასევე, საპროტესტო მოძრაობა დაიწყო პერიფერიაში - სამხრეთის პროვინცია ჯალალაბადში, ამიტომ ოპოზიციური ძალები იყვნენ ადგილობრივი ელიტები და არა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

ცენტრალური აზიის სხვა ლიდერებისგან განსხვავებით, აკაევმა არ გამოიყენა შეიარაღებული ძალები სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ, მას არ გააჩნდა ოლიგარქების მხარდაჭერა, ასევე, ვერ მოახერხა ოპოზიცია წარმოედგინა საზოგადოების თვალში ექსტრემისტ ისლამისტებად.

ყირგიზეთის შემთხვევა იყო ერთგვარი სტიმული ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის მოდერნიზაციის საზოგადოების პროტესტის თავიდან ასაცილებლად. დამოუკიდებელი ბიზნეს ინტერესები, არაფორმალური ქსელები ჩამოყალიბებული აკაევის 15 წლიანი მმართველობის პერიოდში გახდა საფუძველი ხელისუფლების ცვლის.

¹³¹. David Mikosz. *The Kyrgyz Revolution: Civil Society Only Works When it is Real*. IFES Kyrgyzstan, May 2005. გვ. 5

აღწერილი სიტუაციის გათვალისწინებით, ყირგიზეთში არ არსებობდა სტაბილური სახელმწიფო ინსტიტუტები, რომელიც თავისუფალი იქნებოდა პოლიტიკური ინტერესებისგან.

2.3. ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზი

კვლევის პროცესში რესპონდენტების არაშემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეგროვდა ექვსი ჩაღრმავებული ინტერვიუ - ორი უკრაინაში, სამი რუმინეთში, ერთი საქართველოში.¹³²

ფერად რევოლუციებთან მიმართებაში, ტერმინს „რევოლუცია“ აყენებენ ექვსეულს, და მიიჩნევენ გადატრიალებად საშინაო და საგარეო ფაქტორების ხელშეწყობის გათვალისწინებით. ასეთ მოვლენებში მაღალია ელიტების ან კონტრ - ელიტების როლი და საზოგადოების მონაწილეობა.¹³³

ლტოლვილთა და განსახლების ყოფილი მინისტრი, გიორგი ჟღენტი მიიჩნევს, რომ ეგრეთ წოდებული “ვარდების რევოლუცია” იყო ქვეყნისთვის აუცილებელი ტრანსფორმაცია, თუმცა არ გააჩნდა რევოლუციის ნიშნები. ფერადი რევოლუციების სტრატეგია მუშაობს ნახევრად ავტორიტარული რეჟიმის პირობებში, დიქტატურის ან ავტორიტარიზმის შემთხვევაში ვერ იმუშავებს. 2003 წლის ნოემბერი იყო განვითარების საფეხური, გარკვეულ ძალებს ე. წ. „პიარისტვის“ სჭირდებოდათ ამ პროტესტისთვის რევოლუციის დარქმევა. ქვეყანაში არსებობდა ისეთი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რაც 1 - 2 წელში გამოიწვევდა ნამდვილ რევოლუციას.¹³⁴

¹³². დეტალური ინფორმაცია რესპონდენტების შესახებ მოცემულია “ბიბლიოგრაფიის” „ინტერვიუების“ ნაწილში, ხოლო სტრუქტურირებული ინტერვიუს კითხვარი - ნაშრომის დანართ 1-ში

¹³³. Александр Князев. *Государственный переворот 24 марта 2005 г. в Киргизии*. Общественный фонд Александра Князева. Бишкек 2007. გვ. 9

¹³⁴. ავტორის ინტერვიუ გიორგი ჟღენტთან. ლტოლვილთა და განსახლების ყოფილი მინისტრის მოადგილე. თბილისი, 2016 წლის ნოემბერი

ფერადი რევოლუციების ხელშემწყობი ფაქტორების შეფასებისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეცნიერთა ნაწილი გადაწყვეტად მიიჩნევს შიდა ფაქტორებს.¹³⁵

უკრაინის შემთხვევაში, აშკარა იყო არჩევნების გაყალბების ფაქტი, იუშენკოს მიერ უფრო ნაკლები პროცენტით მოგების შემთხვევაში, გართულდებოდა არჩევნების გაყალბების დამტკიცება და დასავლეთი აღიარებდა შედეგებს. გაყალბების მაღალმა პროცენტულობამ ხელი შეუწყო დასავლეთის მხრიდან საზოგადოების პროტესტის მხარდაჭერას. აღსანიშნავია, რომ დასავლეთი დაეხმარა სამოქალაქო საზოგადოებას განვითარებაში, რაც საზოგადოების პროტესტის წარმატებით დასრულებისთვის იყო გადაწყვეტი. საერთაშორისო გავლენა მათ შორის, დასავლეთის მედიაცია, რომ ხელისუფლების რეაქცია უნდა ყოფილიყო მშვიდობიანი, მნიშვნელოვანია, ვინაიდან ტრანზიციამ ჩაიარა მშვიდობიანად.¹³⁶

ბიზნეს ინტერესების არსებობის საკითხის ანალიზისას, ნარინჯისფერი რევოლუცია ფასდება როგორც მილიონერების პროტესტი მილიარდერების წინააღმდეგ, ვინაიდან მხედველობაში იყო მიღებული მცირე და საშუალო ბიზნესმენების ინტერესები. 2004 წლის ეკონომიკური ზრდა საფუძველი გახდა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, სწორედ ამ ბიზნესმა დაუჭირა მხარი საზოგადოებრივ პროტესტს, ელიტების გაყოფის ანალიზისას, იყვნენ დიდი ოლიგარქებიც, რომლებმაც გადაწყვიტეს გაეწყვიტათ ურთიერთობა კუჩმასთან, მაგალითად, პეტრე პოროშენკო, მეხუთე არხის მფლობელი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ხელისუფლების შეცვლაში, ასევე ინდუსტრიული კავშირი დონბასი, რომელმაც მხარი დაუჭირა იუშენკოს. მოვლენების კურსიდან გამომდინარე, ბევრმა ბიზნესმენმა შეინარჩუნა ნეიტრალიტეტი.¹³⁷

რაც შეეხება ეკონომიკური ზრდის ტენდენციას, ფარდობითი დეპრივაციის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში ჩამოყალიბებული დაშვების თანახმად, ფარდობითი დეპრივაცია არ მუშაობს უღარიბეს და კონფლიქტებში ჩართულ საზოგადოებებში.

¹³⁵. David Lewis. *The dynamics of regime change: domestic and international factors in the "Tulip Revolution"*. Central Asian Survey, vol. 27, no. 3– 4, September – December 2008, გვ. 266

¹³⁶. ავტორის ინტერვიუ ალექსეი ჰარანთან. კიევი-მოჰილას აკადემიის პროფესორი. კიევი, 2012 წლის ივნისი

¹³⁷. ავტორის ინტერვიუ ალექსეი ჰარანთან. კიევი-მოჰილას აკადემიის პროფესორი. კიევი, 2012 წლის ივნისი

საქართველოს, უკრაინისა და ყირგიზეთის მთლიანი შიდა პროდუქტის წლიურ დინამიკაზე დაკვირვება აჩვენებს ეკონომიკური ზრდის ტენდენციას წინარევოლუციური პერიოდისთვის, თუმცა არ შემცირებულა ჯინის ინდექსი.¹³⁸

მიზეზს, თუ რატომ ვერ დარჩნენ რევოლუციური მთავრობები ხელისუფლებაში, გააჩნია სუბიექტური და ობიექტური მხარეები. სუბიექტურ მხარედ მიიჩნევა პოლიტიკური ლიდერების მიერ შექმნილი სიტუაციის არასწორი ანალიზი - მესიანური აზროვნება. ობიექტურ ფაქტორებს წარმოადგენდა ბრძოლა ძალაუფლებისთვის, წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობა. საგულისხმოა, რომ ხშირი არჩევნები აფერხებს ხელისუფლების მხრიდან არაპოპულარული რეფორმების განხორციელებას, ამიტომ პოლიტიკა გახდა პოპულისტური, ვინაიდან არაპოპულარული ცვლილებები არჩევნებებს შორის პერიოდში იქნებოდა არაპროდუქტიული.¹³⁹

ფერად რევოლუციებთან მიმართებაში, მნიშვნელოვნად მიიჩნევენ კიბერ რესურსების როლს, როგორც საზოგადოების მობილიზაციის ხელშემწყობ ფაქტორს, ვინაიდან საარჩევნო პერიოდში ყველა სატელევიზიო არხი და ბეჭდური მედია კონტროლდებოდა ხელისუფლების მიერ. უკრაინაში მხოლოდ რადიო ერა FM, სატელევიზიო რადიო პროგრამა ერა (ამ არხებს ფლობდა დერკაჩი, მცირე ოლიგარქი) ასევე მეხუთე სატელევიზიო არხი იყო ოპოზიციური, აუდიენცია იყო მრავალფეროვანი. ინტერნეტმა შეასრულა მნიშვნელოვანი როლი, განსაკუთრებით გამოცემა “Українська правда”-მ, ასევე სხვა ელექტრონულმა რესურსებმაც. 2004 წლის კამპანიის დროს პოპულარული იყო შეცდომებზე ყურადღების გამახვილება, ხუმრობა კრიმინალურ წარსულზე, ხუმრობები იგზავნებოდა მოსახლეობის მობილურ ტელეფონებზე მოკლე ტექსტურ შეტყობინებად.¹⁴⁰

საინტერესოა საკითხი პოსტ - საბჭოთა საზოგადოების მზაობის შესახებ ლიბერალური პოლიტიკის მისაღებად. ექსპერტთა ნაწილის მოსაზრების თანახმად, ხელისუფლებაში მოსული ადამიანები ფაქტიურად არაფერს აკეთებდნენ მაგალითად,

¹³⁸. დეტალური რაოდენობრივი მონაცემების შესახებ, იხილეთ ცხრილი 17

¹³⁹. ავტორის ინტერვიუ ივან გომზასთან. კიევი-მოჰილას აკადემიის პროფესორი. კიევი, 2012 წლის ივნისი

¹⁴⁰. ავტორის ინტერვიუ ალექსეი ჰარანთან. კიევი-მოჰილას აკადემიის პროფესორი. კიევი, 2012 წლის ივნისი

კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად, ვინაიდან საზოგადოება არ იყო მზად არაპოპულისტური პოლიტიკისთვის.¹⁴¹

2.4. ანონიმური ინტერვიუების ანალიზი

ჩაღრმავებული ანონიმური ინტერვიუები შეგროვებულია 2016 წლის ნოემბერი - 2017 წლის თებერვლის პერიოდში. ინტერვიუს მიზანია საქართველოში რევოლუციის წინა პერიოდში არსებული სიტუაციის აღდგენა პროექციული ტექნიკის გამოყენებით. კითხვარის პირველი ნაწილი შეეხება რესპონდენტების შესახებ ინფორმაციას, მეორე ნაწილის მიზანია გაგება, მონაწილეობდა თუ არა რესპონდენტი დემონსტრაციებში, მესამე ნაწილი კი რესპონდენტის მოგონებებისა და მოლოდინების გარკვევას ისახავს მიზნად. რესპონდენტების ასაკი არის 20-30 წელი (საკვლევი პერიოდისთვის) და გაერთიანებულნი არიან ოთხ ჯგუფში:

1-ელი ჯგუფი: რესპონდენტები, რომლებიც მონაწილეობდნენ დემონსტრაციებში დეპრივაციის განცდის გამო, როგორც არსებული სიტუაციის, ასევე მომავლის მიმართ (სამი რესპონდენტი);

მე-2 ჯგუფი: რესპონდენტები, რომლებიც მონაწილეობდნენ დემონსტრაციებში, თუმცა არ ჰქონდათ დეპრივაციის განცდა (სამი რესპონდენტი);

მე-3 ჯგუფი: რესპონდენტები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საპროტესტო აქციებში, თუმცა, განიცდიდნენ დეპრივაციას როგორც არსებული სიტუაციის, ასევე მომავლის მიმართ (ექვსი რესპონდენტი). ორი რესპონდენტი ამ ჯგუფიდან იმყოფებოდა საზღვარგარეთ რევოლუციის პერიოდში;

მე-4 ჯგუფი: რესპონდენტები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საპროტესტო აქციებში და არ განიცდიდნენ დეპრივაციას (ერთი რესპონდენტი).

პირველ ჯგუფში ორი რესპონდენტი იყო სტუდენტი და ერთი მუშაობდა ფინანსურ მენეჯერად. რესპონდენტები არ მიიჩნევდნენ თავს რეალიზებულად და სკეპტიკურად

¹⁴¹. ავტორის ინტერვიუ ნიკოლაე პაუნთან. ბაბემ-ბოიას უნივერსიტეტის პროფესორი. კლუჟი, 2015 წლის თებერვალი

იყვნენ განწყობილი კარიერული წინსვლის პერსპექტივის მიმართ, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ შეზღუდული იყვნენ ნეპოტიზმით, ყველა მუშაობდა იქ, სადაც ჰყავდა ნათესავი ან მეგობარი, ან გადაიხდიდა ქრთამს, ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა, ქვეყანას ტოვებდა.

1990-იანი წლები რესპონდენტებს ახსენდებათ პერიოდად, როდესაც ადამიანებს უწევდათ ბრძოლა გადარჩენისთვის, ამიტომ მიუხედავად სიმპათიების არარსებობისა რომელიმე პოლიტიკური გუნდის მიმართ, უბრალოდ აუცილებლად მიაჩნდათ ხელისუფლების ცვლილება. სამოქალაქო მოძრაობაში ჩართვის მიზეზად დაასახელეს მართლწესრიგის არარსებობა, უარყოფითი მუხტი მოსახლეობაში, შემზღუდველი სიტუაცია, როდესაც 2-3 პროცენტი იყო კმაყოფილი საკუთარი მდგომარეობით, არჩევნების შედეგების გაყალბება გახდა ნაპერწკალი, რამაც გამოიყვანა ადამიანების ქუჩაში. რესპონდენტები არ აყენებენ ეჭვქვეშ თავის გადაწყვეტილებას პროტესტში მონაწილეობის შესახებ.

რაც შეეხება პოსტ - რევოლუციურ მოლოდინებს, იდეალიზმი უტოპიაა, თუმცა 2008 წლამდე განვითარება შესამჩნევი იყო, სააკაშვილის ხელისუფლებამ ნაწილობრივ უპასუხა საზოგადოების მოთხოვნებს, თუმცა, ნეპოტიზმი, ადამიანის უფლებების დარღვევასთან და გამოუძიებელ მკვლელობებთან ერთად, დარჩა სააკაშვილის ხელისუფლების შავ ლაქად.

რესპონდენტები მეორე ჯგუფიდან მონაწილეობდნენ დემონსტრაციებში, თუმცა, როგორც აღნიშნავენ, არ განიცდიდნენ სოციალური სტატუსის შეუსაბამობას. ერთი რესპონდენტი იყო დოქტორი, რომელმაც დაასრულა ევროპული უნივერსიტეტი და მუშაობდა საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციაში, მეორე სწავლობდა ასპირანტურაში და ასწავლიდა კერძო უნივერსიტეტში, მესამე მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარედ.

„მაგ კუთხით რეალიზებულად ვგრძნობდი თავს, თუმცა ვხედავდი, რომ სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობის დაწყება რთული იქნებოდა, მაგრამ შემდეგ აღარ ვიცი, არ მიცდია მუშაობის დაწყება, თუმცა, როცა ჩამოვედი და მივმართე, არავინ დაინტერესდა, მითუმეტეს, რომ მაშინ იშვიათი იყო საზღვარგარეთ სადოქტორო დაცული პროფესიონალები.“

წინარეგოლუციური პერიოდის დახასიათებისას, რესპონდენტები ახსენებენ კორუფციას, შეზღუდვებს ელექტროენერჯის მიწოდებაზე და დანგრეულ ინფრასტრუქტურას, კორუმპირებულ და გაღარიბებულ სისტემას, როგორც ეკონომიკურად, ასევე, პოლიტიკურად, პოლიტიკური კურსი არ იყო განსაზღვრული, სახელმწიფო სისტემა იყო კლანურ დონეზე, ზოგიერთ ადამიანს ჰქონდა სამსახური, მაგრამ ხელფასი იმდენად მიზერული იყო, უწევდათ რამდენიმე ადგილზე მუშაობა ან ქრთამის აღება. საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყება ძალიან რთული იყო, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში განათლება მიღებული ადამიანები სულ რამდენიმე იყვნენ.

„კატასტროფული სიტუაცია იყო, კორუფციაზე დამყარებული სისტემა და სახელმწიფო, იყო დიდი გაჭირვება, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური - ღარიბი ვითარება პირდაპირი გაგებით, არ იყო მკაფიოდ გამოკვეთილი საგარეო კურსი, სახელმწიფო სისტემა იყო კლანურ დონეზე, ინსტიტუციური თვალსაზრისით, სახელმწიფო არ არსებობდა.“

„რაც მახსოვს, მთავარი მათ შორის იყო კორუფცია, ვიხსენებდი ელექტროენერჯია ასე ხშირად თუ ითიშებოდა და მგონი მაინც ითიშებოდა. რეგიონებში საერთოდ არ მიეწოდებოდა ელექტროენერჯია, მიწევდა იქ ყოფნა (კახეთში) და 10 წელი არ ჰქონდა ხალხს ნანახი დენი, ძირითადად მახსენდება მაინც ეკონომიკური სიღუბე, კორუფცია, ინფრასტრუქტურის გაუმართაობა (ორმოები ბახტრიონზე).“

რესპონდენტები შეუერთდნენ დემონსტრაციებს კოლეგებთან, მეგობრებთან ერთად, ზოგიერთი ჩართული იყო საორგანიზაციო საკითხებში, რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან აფილიაციის გარეშე, მხოლოდ აფიქსირებდნენ სამოქალაქო პოზიციას.

„როდესაც ამ გადმოსახედიდან ვაფასებ არჩევნების გაყალბების საკითხს, დღეს ყველა აღიარებს, რომ ნაციონალურ მოძრაობას მაშინ 27 % ჰქონდა, მაგრამ მაშინ იყო განცდა, რომ პირველ ადგილზე ნაციონალური მოძრაობა უნდა გასულიყო და შემდეგ მოქალაქეთა კავშირი, თუმცა, ისეთი სიტუაციაც არ იყო 90%-ით გასულიყო ნაციონალური მოძრაობა. გუშინ სააკაშვილმაც თქვა ინტერვიუში,¹⁴² რომ ხალხი

¹⁴². ინტერვიუს ჩაწერის თარიღი: 2016 წლის 15 ნოემბერი

თავისით კი არ გამოვიდოდა, მათ ბიძგი სჭირდებოდათო, მაგრამ იმდენად ყელში იყო ამოსული ყველაფერი, ხალხს მხოლოდ პატარა ნაპერწკალი უნდოდა. დამამცირებელი იყო ბლოკ-პოსტები აჭარაში, ესეც ხალხის გაღიზიანების ნაწილი იყო, მათ შორის აღორძინების აქცია რომ ჩატარდა, შევარდნაძის ფაქტორთან ერთად, დამატებით იყო აღორძინების ფაქტორი. პროტესტი ამ ორი ძალის წინააღმდეგაც იყო.“

2003 წლის ნოემბრის მოვლენებისთვის „რევოლუციის“ დარქმევა პირობითი იყო.

„ამ სახელს (რევოლუციას) არ ვეთანხმებოდი, ეს იყო ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გარდატეხა, მაგრამ არ იყო რევოლუციური მოდელი, არ იყო სახეზე რევოლუციის ნიშნები, ეს იყო განვითარების ერთერთი ეტაპი, მნიშვნელოვანი და დინამიკაში სწრაფად მიმდინარე, გარკვეული წრეებისთვის სასურველი იყო, რომ დარქმეოდა რევოლუცია, ადამიანებს მოეძებნათ საკუთარ თავში ძალები მონაწილეობის.“

„რევოლუცია ტყუილად არ უწოდეს, რევოლუცია გაძლევს კანონის უზენაესობიდან გადახვევის შესაძლებლობას, მას გააჩნია ცვლილებების შესაძლებლობა, აი მაგალითად, სასამართლოდან ყველას ვერ გაყრი ჩვეულებრივ პირობებში, მაგრამ ხელისუფლება როცა რევოლუციურ ტალღაზეა, მეტის უფლებას აძლევს თავს, დილემური კითხვაა როგორ ჯობდა, თუმცა ამან მიგვიყვანა იმ პრობლემებამდე, რაც უმჯობესია არ ყოფილიყო.“

„ორში იყო არჩევნები. მაშინ ჟვანია-ბურჯანაძეს ჰქონდათ პარტია, ნაციონალებისთვის არ მიმიცია ხმა, ჟვანიას მივეცი, გასაგებია რომ ლიდერი სააკაშვილი იქნებოდა, მაგრამ ჟვანია დააბალანსებდა, ასე ვფიქრობდი მე. მეორე მომენტი მახსოვს აღორძინების კონტრ-აქცია, ჩვენი მეგობარი აჭარიდან მუშაობდა აბაშიძესთან, აღორძინებაც იდგა პარლამენტის წინ, მაშინ რესტორანი ნიკალა იყო, იქ შევედით და ისიც შემოვიდა, შევხვდით ერთმანეთს უნივერსიტეტის მეგობრები, მაგრამ არ შევეხეთ ამ თემებს, ვჭამეთ, დავიშალეთ და ჩვენს მიტინგებზე წავედით. სამოქალაქო ომი ჩვენს თაობას ახსოვს და სიფრთხილით ვეკიდებოდით, ერთის მხრივ დაპირისპირება, მაგრამ ეს არ იყო ისეთი, როგორც ზვიადის დროს, ყველა შეგუებული იყო, რომ სისტემა დასაშლელი იყო, შეიძლება თანამდებობის ან რამის გამო არ იყო აქციებზე, თუმცა ასე ფიქრობდა.“

უკმაყოფილება უკავშირდებოდა ძირითადად ყოფით პრობლემებს, იგივე კორუფცია, ადამიანისთვის მნიშვნელოვანია პოლიცია, პასპორტის აღება, ამ დონეზე ყველაფერი მოწესრიგდა, თან მალევე, დიდი კორუფცია ყველგან არსებობს და ყოველდღიურ ცხოვრებაში არ გრძნობ და ვერც მიხვდები სადღაც შესყიდვაში ფული თუ გაკეთდა, გეტყობა პრობლემა თუ მაგალითად, პასპორტში ფული გადაიხადე, ინფრასტრუქტურა, შეიცალა სიტუაცია ცა და დედამიწასავით. ელექტროენერგია ჩაირო, იგივე კახეთში. ბიუჯეტი შეივსო, გაჩნდა მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან, რომ ესე იგი შესაძლებელი ყოფილა, გაჩნდა კმაყოფილების გრძნობა, რაღაც კუთხით გაამართლა, რაღაც კუთხით კი რევოლუცია ჭამს თავის შვილებს, რაღაც მომენტში ზედმეტი მოხდა.“

ექვსი რესპონდენტი მესამე ჯგუფიდან არ მონაწილეობდა აქციებში, თუმცა, განიცდიდნენ დეპრივირებულ მდგომარეობას. ორი რესპონდენტი აქციების პერიოდში იმყოფებოდა საზღვარგარეთ. ოთხი რესპონდენტი იყო სტუდენტი, ერთ რესპონდენტს ახალი დასრულებული ჰქონდა უნივერსიტეტი და მუშაობდა თავისი ლექტორის იურიდიულ ოფისში, ერთი რესპონდენტი იყო პარლამენტის აპარატის თანამშრომელი.

„ჩემი შთაბეჭდილება არ განსხვავდება იმ მოსაზრებისგან, რაც პოლიტიკურ დისკურსში არსებობს, კორუფცია ყველა დონეზე, ეკონომიკური სტაგნაცია, მქონდა ის განცდა, რომ ცხოვრებაში რამის მიღწევის შანსი ძალიან ცოტაა, პოლიტიკას რაც შეეხება, უფრო ცუდად იყო საქმე, მე პირადად არ მქონდა დიქტომიური ხედვა, რომ არის სიბნელის და სინათლის ძალები (შევარდნაძე და სააკაშვილი), ჩემს მეგობრებს უფრო ჰქონდათ ასეთი ხედვა, მაგრამ იყო საერთო სურვილი რომ რაღაც მაინც უნდა შეიცვალოს.“

„ყველაზე ცუდი რაც მინახავს, მართალია, 90-ან წლებში იყო უარესი, მაგრამ მაშინ ომი იყო, 21-ე საუკუნის დასაწყისი 2000-ანები იყო სრული უიმედობა და იმის შეგრძნება, რომ ეს ქვეყანა ან დაიქცა უკვე ან დაქცევის პირასაა, ჩემი შეგრძნება ეს იყო. ყველა მიმართულებით იყო გაყინული, სრული სტაგნაცია, თუ რადიკალური ცვლილება არ მოხდებოდა, ცუდად დამთავრდებოდა.“

„მეჩვენებოდა ორი უკიდურესი დამოკიდებულება. ერთნი კმაყოფილნი საკუთარი მდგომარეობით, რომლებიც კარგად მოერგნენ დროს და მეორე ნაწილი უკმაყოფილონი, დაბოღმული და აგრესიული.“

რესპონდენტები, რომლებიც რევოლუციის პერიოდში არ იმყოფებოდნენ საქართველოში, ქვეყანა დატოვეს იმედით, რომ როდესაც დაბრუნდებოდნენ, რაიმე მაინც იქნებოდა შეცვლილი და რომ ყოფილიყვნენ საქართველოში, აუცილებლად შეუერთდებოდნენ დემონსტრანტებს, მათთვის ინფორმაციის მთავარი წყარო იყო რუსთავი 2.

როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, საჯარო სამსახურში დასაქმება შეზღუდული იყო პროტექციით.

„უპერსპექტივობა იმ თვალსაზრისით არ მემუქრებოდა რომ სამსახურს ვერ ვიპოვიდი, ვიპოვიდი, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ეგრეთ წოდებული „უპატრონო“ ვიყავი და არ მყავდა ზურგი, იმ კანცელარიაშიც და სამინისტროშიც რომ წავსულიყავი, ვიქნებოდი შავი სამუშაოს შემსრულებელი როგორც ხდება, მექნებოდა მიზერული ხელფასი და მომიწევდა წლობით მეორეხარისხოვანი საქმის კეთება.“

„არ ვთვლიდი თავს რეალიზებულად, ერთი წელი ვმუშაობდი სკოლაში ისტორიის მასწავლებლად, ჩემი სპეციალობა იყო პოლიტოლოგია და ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაცია მქონდა, ასევე ვასწავლიდი პრაქტიკულ სამართალს, მეორე დიპლომი მქონდა იურისტის, ერთის მხრივ, არ ვიყავი იმ ასაკის, არ მქონდა იმის მოლოდინი, რომ რაღაცა განსაკუთრებულს მივაღწევდი, მაგრამ იმის განცდა მქონდა რომ მერე შეიძლება ვერ მიმეღწია ვერაფრისთვის. მაშინ ჯერ ის მომენტი არ იყო, როგორც რევოლუციის მერე ყველა ევროპაში ნამყოფი ახალგაზრდა რომ დასაქმდა მაღალ თანამდებობაზე, რადიკალური ეიჯიზმი, ოღონდ პირიქით, რამაც ბევრ ახალგაზრდას გაუჩინა სურვილი უცებ მიაღწიონ სიმაღლეებს, შფოთვა იყო უფრო მომავალზე, ვიდრე იმ მომენტზე.“

რესპონდენტი მეოთხე ჯგუფიდან არ მონაწილეობდა საპროტესტო აქციებში და როგორც აღნიშნავს, თავს გრძნობდა რეალიზებულად. საკვლევი პერიოდისთვის, რესპონდენტი ცხოვრობდა და სწავლობდა ზუგდიდში, ოჯახს არ შეეძლო მისი

თბილისში სწავლის უზრუნველყოფა და ამიტომ უწყვედა მუშაობა. ახალგაზრდებს არ შეეძლოთ სწავლის გადასახადის გადახდა, ამიტომ ბევრი ერთიანდებოდა „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში (მათ შორის, რესპონდენტის მეგობრებიც). ადამიანები ვერ უზრუნველყოფდნენ მინიმალურ საცხოვრებელ პირობებს.

„არ მივიღე მონაწილეობა რევოლუციაში, რადგან რევოლუციას ევოლუცია მირჩევნია, თან შევარდნაძეს ვერ ვიტანდი, მაგრამ წელიწადნახევრით მისი ატანა შემეძლო, თან არ მეგონა ყველაფერი უსისხლოდ თუ დასრულდებოდა და ახალგაზრდების შეწირვად არ მიღირდა მისი გაცილება.“

რესპონდენტი არ მონაწილეობდა დემონსტრაციებში, ვინაიდან მოელოდა ძალადობას მოქმედი ხელისუფლების მხრიდან. იმ შემთხვევაში შეუერთდებოდა დემონსტრაციებს, თუ სააკაშვილი, ბურჯანაძე ან ჟვანია არ მოვიდოდნენ ხელისუფლებაში, ან შევარდნაძე დატოვებდა ხელისუფლებას ძალადობის გარეშე.

„ჩემი ოჯახი გაგებით შეხვდა ჩემს გადაწყვეტილებას, ჩემი უახლოესი გარემოცვიდან არ მონაწილეობდნენ აქციებში, როგორც უკვე აღვნიშნე, დარბევის შიშის გამო.“

რესპონდენტის მოლოდინი იყო სწრაფი განვითარება, რაც გაუმყარა ჯორჯ ბუმის ვიზიტმა საქართველოში და პრინციპში, ასეც მოხდა.

„რევოლუციის შედეგად დიდი ტემპი განვავითარეთ, მაგრამ რადგან რევოლუციით მოვიდნენ, მუდმივად ჰქონდათ შიშები და 2007 იყო მათი შიშების დემონსტრირება. ის რაც ვნახეთ 2012 წელს კადრების სახით, იმ ხელისუფლების სრული კრახი იყო.“

2000-იანი წლების დასაწყისს რესპონდენტები აფასებენ როგორც პოლიტიკურად და სოციალურად განუსაზღვრელ პერიოდს, სიტუაცია იყო ნეგატიურად სტაბილური და გაყინული. ადამიანები ცდილობდნენ ღამით არ გასულიყვნენ ქუჩაში ყაჩაღობის და კრიმინალის შიშით. შეინიშნებოდა ორი რადიკალური განწყობა - ერთი ნაწილი ადამიანების იყო კმაყოფილი, ვინაიდან კარგად მოახდინეს ადაპტაცია, მეორე ნაწილი კი იყო იმედგაცრუებული. გარდა მძიმე სოციალური პირობებისა, რესპონდენტები იხსენებენ კორუფციას და სტაგნაციას ყველა მიმართულებით. 2000-ანი წლები იყო პერიოდი ტოტალური უიმედობის და რადიკალური ცვლილებების გარეშე, სისტემა

დაინგრეოდა. ეზოებში ყიდიდნენ ნარკოტიკებს, საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები „გავლენიანი მფარველის“ გარეშე ვერ ახერხებდნენ კარიერულ წინსვლას, უწევდათ „შავი სამუშაოს“ შესრულება წლების განმავლობაში.

მიზეზებზე საუბრისას, თუ რატომ არ მონაწილეობდნენ რესპონდენტები დემონსტრაციებში, ერთერთი მათგანი ცხოვრობდა რუსთავში, სადაც სოციალური აქტივობები არ შეინიშნებოდა, თუმცა, თვითონ მხარს უჭერდა პროტესტს, მეორე რესპონდენტს მიაჩნია, რომ ხელისუფლების ცვლა რევოლუციის გზით, მიუხედავად მშვიდობიანი გზისა, შემზღველია ქვეყნის განვითარებისთვის და ისინი, ვინც მონაწილეობდნენ დემონსტრაციებში, პერსონალური სარგებლის მიღებაზე იყვნენ ორიენტირებულნი, სხვა რესპონდენტები უიმედოდ იყვნენ განწყობილნი ან ოჯახის პოზიცია იყო, რომ არ მიეღოთ აქციებში მონაწილეობა, ზოგიერთს გააჩნდა ამბივალენტური განწყობა, ერთის მხრივ, ჭაობიდან ამოსვლის სურვილი და მეორეს მხრივ, იცნობდა რამდენიმე ლიდერს საპროტესტო მოძრაობის და გააჩნდა საკმაოდ ნეგატიური შთაბეჭდილება, სააკაშვილი მიაჩნდა ავტორიტარად.

„მოგიყვებით ერთ კონკრეტულ მომენტს, თავისუფლების ინსტიტუტის შესახებ, არ ვიცი ახლა ეს არის თუ არა საჯარო, მაგრამ თავისუფლების ინსტიტუტში გაწერილი იყო სამოქმედო გეგმა, რომ 2003-ში დაიწყებოდა აქციები, მოლოდინი არ იყო ხელისუფლების ცვლის, ეს იქნებოდა დასაწყისის დასაწყისი, გათვლა იყო შევარდნაძის ხელისუფლების დასუსტება და მომდევნო არჩევნებზე აღარ მიიღებდა მისი გუნდი მონაწილეობას ან დამარცხდებოდა და მოვიდოდა ქვანია, ნაციონალური მოძრაობა ჩაუდგებოდა ოპოზიციაში, გეგმა იყო 2008-მდე, წაკითხული მაქვს ამონარიდები, არ ვიცი რა როლს თამაშობდა ეს დოკუმენტი, მაგრამ არსებობდა, ამიტომ აქციები რომ იქნებოდა, ეს ვიცოდი, მაგრამ რაღაც მომენტიდან გასაგები გახდა უკვე შედეგი.“

შედეგებთან დაკავშირებით, არსებობდა ორი მომენტი, უკმაყოფილება ქვედა დონეზე - მაგალითად, ენერგოდეფიციტი, კორუფცია, რაც გამოსწორდა და მეორეს მხრივ, გადაწყვეტილების მიღება ვიწრო წრეში, რაც რევოლუციის შემდეგაც გაგრძელდა. მიუხედავად ინსტიტუციების გაძლიერებისა, არ არსებობდა ბალანსი მედიას, მთავრობას, პარლამენტსა და სასამართლოს შორის, რევოლუციიდან სამი წლის

განმავლობაში გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები, შემდეგ შეწყდა და რიგ შემთხვევაში მიღწეული შედეგი გაუარესდა. სხვა რესპონდენტს კი მიაჩნია, რომ პოლიტიკური ინტერესის მქონე ჯგუფებმა გამოიყენეს სიღარიბეში მყოფი სოციალური ჯგუფები პოლიტიკური სარგებლის მისაღებად.

„მე არ მქონდა გამოკვეთილი მოლოდინები, 2005-ში თავისუფლების ინსტიტუტმა თავის ჟურნალში გამოაქვეყნა ჰანტიგეტონის სტატია, რომლის მიხედვით, ანტიკორუფციული რეკომენდაციები დემოკრატიზაციის წინაპირობა არ არის (აფრიკის ქვეყნების მაგალითზე), ამბივალენტური და გაურკვეველი მდგომარეობა მოლოდინებს ვერ აჩენს, თვითონ იმ ხალხს (პოლიტიკურ ფიგურებს) არ ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ ნდობა, რაიმე საერთო გეგმები რომ დაესახათ. მაგალითს გეტყვი, სამაგისტრო დისერტაციისთვის მინდოდა ინტერვიუ, რამდენიმე ადამიანთან მივედი, რომლებიც მიცნობდნენ, მაგრამ ყველას მეორე მხარის მიგზავნილი ვეგონე, მაგალითად ლევან ბერძენიშვილთან და კობა დავითაშვილთან ინტერვიუ, ბერძენიშვილი, რომელიც ორ კვირაში ოპოზიციაში წავიდა, ხოტბას ასხამდა მიშას, რომ მიშა არ არის ავტორიტარი, ბევრი რაღაც სტიქიურად მოხდა, გადაჩოჩება თავისუფლების ინსტიტუტის, საპარლამენტო სიის შედგენის ეპიზოდი მახსოვს, სია ვანოს (მერაბიშვილი) შეადგენინა სააკაშვილმა და თავისუფლების ინსტიტუტს კვოტა მისცა ოცკაციანი. პირადად მე არ მქონდა გამოკვეთილი მოლოდინები, თუმცა ქვედა დონეზე დამყარდა წესრიგი, იყო ბევრი უარყოფითი, ნულოვანი ტოლერანტობა და ამდენი ხალხი ციხეში. ორი მომენტია, ერთი არის ქვედა დონეზე უკმაყოფილებები, მაგალითად სოფელში შუქის ჩართვა, მეორეს მხრივ, სახელმწიფო ინსტიტუტები, ე.წ. არაფორმალური მმართველობა, გადაწყვეტილებების მიღება ვიწრო წრეში, რაღაც მომენტში შეიძლება წარმატებული იყო, ისიც 2008-მდე, გრძელვადიანად იყო წარუმატებელი პოლიტიკა.“

2.5. მატერიალური დეპრივაციის ცვალებადობის დინამიკა (1996 – 2005 წლები), მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზის ანალიზი

მატერიალური დეპრივაციის გასაზომად მსოფლიო ბანკის მიერ აღიარებულ ინდიკატორს წარმოადგენს ჯინის ინდექსი. ჯინის ინდექსი ზომავს სივრცეს

ლორენცის მრუდსა და აბსოლუტური თანასწორობის ჰიპოთეტურ ხაზს შორის. ლორენცის მრუდი წარმოადგენს მიმართებას მთლიან შემოსავალსა და შემოსავლის მიმღებებს შორის ყველაზე ღარიბი ინდივიდის გათვალისწინებით.

ჯინის ინდექსის შეზღუდვას წარმოადგენს ფაქტი, რომ განვითარებად ქვეყნებში ჯინის ინდექსის მნიშვნელობა იზრდება უთანასწორობის ზრდის გამო, მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურ სიღარიბეში მყოფი პირების რიცხვი შეიძლება შემცირდეს. ამიტომ ჯინის ინდექსი ზომავს ფარდობით და არა აბსოლუტურ კეთილდღეობას.

საქართველოს შემთხვევაში, ჯინის ინდექსის შესახებ ინფორმაცია მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზაში მოიპოვება 1996 წლიდან. მონაცემთა ანალიზისას, დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:¹⁴³

უთანასწორობის ყველაზე მაღალი ინდექსი დაფიქსირდა 1997 წელს - დაახლოებით 42 %, 1996 – 2003 წლების პერიოდში ჯინის ინდექსის ცვალებადობა იყო 37 – 42 % -ის ფარგლებში.

უკრაინის შემთხვევაში, ჯინის ინდექსის შესახებ ინფორმაცია მოიპოვება 1991 წლიდან, თუმცა, 1993 – 1994; 1997 – 1998; 2000 – 2001 წლების მონაცემები არ არის წარმოდგენილი. საინტერესოა 1992 – 1995 წლების მონაკვეთი, როცა უთანასწორობა იზრდება 10 % - ით, 1996 წლიდან შეიმჩნევა კლების დინამიკა და 1999 წლისთვის შემცირებულია 7 % - ით, 1999 – 2004 წლებში თითქმის ერთნაირი მონაცემებია 1 % - იანი სხვაობით (დაახლოებით 29 %). საკვლევ პერიოდში ჯინის ინდექსის ცვალებადობა არის 28 – 39 % - ის ფარგლებში.¹⁴⁴

ყირგიზეთის შემთხვევაში, მონაცემები მოიპოვება 1993 წლიდან და სოციალური უთანასწორობის დონე დაახლოებით 53 % - ია, 1998 წლისთვის ჯინის ინდექსი შემცირებულია 46 % - მდე, ხოლო 2000 წლისთვის 31 % - მდე, თუმცა, 2005 წლისთვის 38 % - ს აღწევს. საკვლევ პერიოდში ჯინის ინდექსის ცვალებადობა არის 28 – 53 % -ის ფარგლებში.¹⁴⁵

¹⁴³. დეტალური რაოდენობრივი მონაცემების შესახებ, იხილეთ ცხრილი 1

¹⁴⁴. დეტალური რაოდენობრივი მონაცემების შესახებ, იხილეთ ცხრილი 2

¹⁴⁵. დეტალური რაოდენობრივი მონაცემების შესახებ, იხილეთ ცხრილი 3

რევოლუციის პერიოდში საქართველოში ჯინის ინდექსი დაახლოებით 39 % - ს აღწევს, უკრაინაში 29 % - ს, ხოლო ყირგიზეთში - 38 % - ს. იმ პოსტ - საბჭოთა ქვეყნებში, სადაც ფერადი რევოლუციის გზით მოხდა ხელისუფლების ცვლა, ჯინის ინდექსი აღემატება 28 % - ს. საზოგადოების წინარევოლუციური საპროტესტო გამოსვლების პერიოდში, საქართველოში და ყირგიზეთში ჯინის ინდექსი აღწევს 39 % - ს, ხოლო უკრაინაში - 29 % - ს.

სხვა პოსტ - საბჭოთა ქვეყნების მატერიალური დეპრივაციის ამსახველი მონაცემების ანალიზისას, განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება: აზერბაიჯანი - 18%, ბელარუსი - 30%, ტაჯიკეთი - 33%, ყაზახეთი - 33%, უზბეკეთი - 36%, სომხეთი - 36%, მოლდოვა - 36%, თურქმენეთი - 38%, რუსეთი - 40%.¹⁴⁶

მონაცემთა ინტერპრეტაციისთვის მნიშვნელოვანია ცალკეულ ქვეყანაში არსებული თანმდევი პოლიტიკური და სოციალური ფაქტორების ანალიზი. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმია, საზოგადოების პროტესტს სასურველი შედეგით დასრულების ნაკლები შესაძლებლობა აქვს.

საქართველოსა და უკრაინის შემთხვევაში, მოქმედი ხელისუფლება მიეკუთვნებოდა ჰიბრიდული (ტრანზიციული) რეჟიმის ტიპს, აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი ხელისუფლების პირობებში შესაძლებელი გახდა საზოგადოების პროტესტის სასურველი შედეგით დასრულება.¹⁴⁷

რაც შეეხება აზერბაიჯანს, დეპრივაციის დონე სხვა პოსტ - საბჭოთა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე დაბალია (მედიანა 18 %), ასევე რეჟიმის ტიპი არის კონსოლიდირებული ავტორიტარიზმი. სომხეთის შემთხვევაში, მიუხედავად ჯინის ინდექსის მაღალი მნიშვნელობისა (მედიანა 36 %), პოლიტიკური რეჟიმის ტიპს წარმოადგენს ნახევრად კონსოლიდირებული ავტორიტარიზმი.

ტაჯიკეთი (33 %), ყაზახეთი (33 %), უზბეკეთი (36 %) და თურქმენეთი (38 %) ასევე განეკუთვნებიან კონსოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმის მქონე ქვეყნებს,

¹⁴⁶. დაანგარიშებულია მედიანა და არა საშუალო

¹⁴⁷. Freedom House-ის Nations in Transit მონაცემები. უკანასკნელი წვდომა: 30.04.2018
https://freedomhouse.org/report/nations-transit/nations-transit-2015#.VmtGG_nRKko

გასათვალისწინებელია, რომ ოთხივე ქვეყანა არის ისლამური და მიუხედავად დეპრივაციის მაღალი დონისა, სამუელ ჰანტინგტონის „დემოკრატიზაციის მესამე ტალღის“ მიხედვით, ისლამი და დემოკრატიული ღირებულებები ერთად ვერ თანაარსებობენ.

ბელორუსის შემთხვევაში დეპრივაციის მნიშვნელობა არის 30 %, ხოლო რუსეთის შემთხვევაში - 40%. ორივე ქვეყნის პოლიტიკური რეჟიმი წარმოადგენს კონსოლიდირებულ ავტორიტარიზმს.

2.6. პოლიტიკური რეჟიმები, უთანასწორობა და კორუფციის აღქმის ინდექსი პოსტ - საბჭოთა ქვეყნებში - წარმატებულად / წარუმატებლად დასრულებული რევოლუციები. Freedom House-ის Nation in Transit-ის და Transparency International-ის Corruption Perception Index-ის ანგარიშის მიმოხილვა (1991-2005 წლები)

პოსტ - საბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური რეჟიმის ტიპის განსაზღვრა კვლევის ფარგლებში ხდება Freedom House - ის Nation in Transit - ის ანგარიშის მიმოხილვის საფუძველზე, ვინაიდან მოქმედი რეჟიმის ტიპი, თავის მხრივ, ერთგვარი წინაპირობაა საზოგადოების პროტესტის წარმატებით / წარუმატებლად დასრულებისთვის.

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმის შეფასებისას, მხედველობაში მიიღება მოქმედი ეროვნული ხელისუფლების დემოკრატიულობა, საარჩევნო პროცესი, სამოქალაქო საზოგადოების, დამოუკიდებელი მედიის, დემოკრატიული ადგილობრივი მმართველობის, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არსებობა, კორუფციის დონე.¹⁴⁸

¹⁴⁸. Freedom House - ის ტრანზიციული ქვეყნების პოლიტიკური რეჟიმების შესახებ ანგარიში გარდამავალი პოლიტიკური სისტემის მქონე ქვეყნებში მოქმედი რეჟიმის შემდეგ ტიპებს გამოყოფს: კონსოლიდირებული დემოკრატია - 1 – 2.99 ქულა; ნახევრად კონსოლიდირებული დემოკრატია - 3 – 3.99 ქულა; ტრანზიციული (ჰიბრიდული) რეჟიმი - 4 – 4.99 ქულა; ნახევრად კონსოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმი - 5 – 5.99 ქულა; კონსოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმი - 6 – 7 ქულა

საქართველოსა და უკრაინის შემთხვევაში, საკვლევ პერიოდში, მოქმედი პოლიტიკური რეჟიმის ტიპი იყო ტრანზიციული (ჰიბრიდული), ხოლო ყირგიზეთის შემთხვევაში, ნახევრად კონსოლიდირებული ავტორიტარიზმი.¹⁴⁹

მოლდოვაში, სადაც 2010 წელს არჩევნების გზით ჩამოშორდა კომუნისტური პარტია ხელისუფლებას, მოქმედი პოლიტიკური რეჟიმის ტიპი იყო შუალედური ტრანზიციულ (ჰიბრიდულ) რეჟიმსა და ნახევრად კონსოლიდირებულ ავტორიტარიზმს შორის.¹⁵⁰

სომხეთში პოლიტიკური რეჟიმის ტიპი განეკუთვნებოდა ნახევრად კონსოლიდირებულ ავტორიტარიზმს, ხოლო აზერბაიჯანში, ტაჯიკეთში, ყაზახეთში, უზბეკეთში, თურქმენეთსა და ბელარუსში - კონსოლიდირებულ ავტორიტარიზმს.¹⁵¹

საგულისხმოა, რომ საკვლევ პერიოდში რუსეთში პოლიტიკური რეჟიმის ტიპს წარმოადგენდა ნახევრად კონსოლიდირებული ავტორიტარიზმი, მხოლოდ შემდეგ პერიოდში მოხდა რეჟიმის ტრანსფორმაცია კონსოლიდირებულ ავტორიტარიზმად.¹⁵²

საგულისხმოა მატერიალური უთანასწორობის დინამიკასა და პოლიტიკური რეჟიმის ტიპს შორის ურთიერთმიმართების შეფასება: 2003 წელს საქართველოში ჰიბრიდული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ჯინის ინდექსი იყო 39.8 %, უკრაინაში და ყირგიზეთში - 28.7 %, უკრაინაში რეჟიმი იყო ჰიბრიდული, ხოლო ყირგიზეთში - ნახევრად კონსოლიდირებული ავტორიტარიზმი, 2004 წელს უკრაინაში ჯინის ინდექსი უტოლდებოდა 28.9 %-ს, ყირგიზეთში - 34.8 %-ს, რეჟიმის ტიპი ისევ ჰიბრიდული (უკრაინა) და ნახევრად კონსოლიდირებული ავტორიტარიზმი (ყირგიზეთი) იყო. 2004 წელს ყირგიზეთში ნახევრად კონსოლიდირებული ავტორიტარიზმის პირობებში ჯინის ინდექსი იყო 38.3 %.

¹⁴⁹. საქართველო: 2003 – 4.83; უკრაინა: 2003 წელი - 4.71, 2004 წელი - 4.88; ყირგიზეთი: 2003 – 5.67, 2004 – 5.67, 2005 – 5.64

¹⁵⁰. მოლდოვა: 2003 - 4.71, 2004 - 4.88, 2005 - 5.07. პერიოდი საპარლამენტო არჩევნებამდე: 2006 - 4.96, 2007 - 4.95, 2008 - 5, 2009 - 5.07, 2010 - 5.14

¹⁵¹. სომხეთი: 2003 – 4.92, 2004 – 5, 2005 – 5.18; აზერბაიჯანი: 2003 - 5.46, 2004 - 5, 2005 - 5.86; ტაჯიკეთი: 2003 - 5.63, 2004 - 5.71, 2005 - 5.79; ყაზახეთი: 2003 - 6.17, 2004 - 6.25, 2005 - 6.29; უზბეკეთი: 2003 - 6.46, 2004 - 6.46, 2005 - 6.43; თურქმენეთი: 2003 – 6.83, 2004 – 6.88, 2005 – 6.93; ბელარუსი: 2003 - 6.46, 2004 - 6.54, 2005 - 6.64

¹⁵². რუსეთი: 2003 – 4.96, 2004 – 5.25, 2005 – 5.61

ვინაიდან Freedom House - ის ტრანზიციული ქვეყნების პოლიტიკური რეჟიმების შესახებ ანგარიში ქვეყნდება 2003 წლიდან, საკვლევი ქვეყნების (განსაკუთრებით საქართველოს) შემთხვევაში, რთული იქნება რევოლუციის წინა წლების დინამიკაზე დაკვირვება, ამიტომ პოლიტიკური რეჟიმის ტიპის შესაფასებლად, ნაშრომის ამ ნაწილში ასევე განხილულია პროექტ "Polity IV"-ის მონაცემები.¹⁵³

"Polity IV"-ის დემოკრატიის ინდექსი ემყარება ღია არჩევნების და პოლიტიკური მონაწილეობის შეფასებას.¹⁵⁴ აღნიშნული Freedom House - ის Nations in Transit-ისგან განსხვავებით, "Polity IV"-ის დემოკრატიის ინდექსის შეზღუდვას წარმოადგენს ინდექსის დიაპაზონია -10 / 10-ის ფარგლებში, სადაც -10 / - 6 არის ავტოკრატია, -5 / 5 ანოკრატია, 6 / 10 დემოკრატია. ანოკრატია წარმოადგენს რეჟიმს დემოკრატიასა და ავტოკრატიას შორის, რომელიც ამ ორი რეჟიმის ცალკეულ კომპონენტებს იზიარებს, ხასიათდება ინსტიტუტებით და პოლიტიკური ელიტებით, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების ხანგრძლივად შენარჩუნებას ცდილობენ.¹⁵⁵

საქართველო და ყირგიზეთი საკვლევ პერიოდში განეკუთვნებოდნენ ანოკრატიას, საქართველოს ინდექსის დიაპაზონი 4 / 6 (ზრდის ტენდენციით), ყირგიზეთის -3. უკრაინა წარმოადგენს უმთავრესად დემოკრატიას ინდექსის დიაპაზონით 6 / 7.¹⁵⁶

კორუფციის აღქმის ინდექსს, რომელიც აფასებს რამდენად კორუმპირებულად აღიქმება ქვეყნის საჯარო სექტორი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ აქვეყნებს 1995 წლიდან.¹⁵⁷ ინდექსი წარმოადგენს მონაცემების კომბინაციას, რომელიც მიღებულია მაღალი რეპუტაციის მქონე ინსტიტუტების მიერ ჩატარებული გამოკითხვებისა და შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე.

¹⁵³. პროექტ "Polity IV"-ის (პოლიტიკური რეჟიმების მახასიათებლები და ტრანზიცია 1800-2013) ვებგვერდი: უკანასკნელი წვდომა: 30.04.2018
<http://www.systemicpeace.org/polity/polity4.htm>

¹⁵⁴. Gerardo L. Munck, Jay Verkuilen. *Conceptualizing and Measuring Democracy: Evaluating Alternative Indices*. Comparative Political Studies, February 2002, გვ. 10

¹⁵⁵. Aleksandr Grigoryan. *A Model for Anocracy*. Journal of Income Distribution. vol. 22, no. 1, March 2013, გვ. 4

¹⁵⁶. საქართველო - <http://www.systemicpeace.org/polity/grg2.htm>

უკრაინა - <http://www.systemicpeace.org/polity/ukr2.htm>

ყირგიზეთი - <http://www.systemicpeace.org/polity/kyr2.htm>

უკანასკნელი წვდომა: 30.04.2018

¹⁵⁷. "საერთაშორისო გამჭვირვალობის" ვებგვერდი. უკანასკნელი წვდომა: 30.04.2018

<https://www.transparency.org/research/cpi>

ინდექსის რანჟირება არის 10 (არაკორუმპირებული) - 0 (კორუმპირებული) დიაპაზონის ფარგლებში.¹⁵⁸ რეიტინგი იწყება არაკორუმპირებული ქვეყნებით და პოზიცია რეიტინგში არის ფარდობითი სხვა ქვეყნებთან შედარებით.

კორუფციის აღქმის ყოველწლიური ანგარიშების მიხედვით, 2003 წელს 133 ქვეყანას შორის საქართველო (1.8 ქულა) იმყოფებოდა 124 - ე ადგილზე, უკრაინა (2.3 ქულა) - 106 - ე ადგილზე, ყირგიზეთი (2.1 ქულა) - 118-ე ადგილზე, 2004 წელს 145 ქვეყანას შორის უკრაინა და ყირგიზეთი (2.2) ქულა იმყოფებოდნენ 122 - ე ადგილზე, ხოლო 2005 წელს ყირგიზეთი 158 ქვეყანას შორის იმყოფებოდა 130 - ე ადგილზე (2.3 ქულა).¹⁵⁹

სხვა პოსტ - საბჭოთა ქვეყნებთან მიმართებაში, ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულად აღიქმება ბელორუსის საჯარო სექტორი.¹⁶⁰

¹⁵⁸. 1995 – 2011 წლების პერიოდში ინდექსის რანჟირება იყო 10 – 0 დიაპაზონის ფარგლებში, ხოლო 2012 წლიდან 100 – 0 დიაპაზონის ფარგლებში

¹⁵⁹. დეტალური რაოდენობრივი მონაცემების შესახებ, იხილეთ ცხრილი 18

¹⁶⁰. დეტალური რაოდენობრივი მონაცემების შესახებ, იხილეთ ცხრილი 19

დასკვნა

კვლევის შედეგების მიმოხილვა და დისკუსია

ნაშრომის მიზანი იყო საზოგადოების როლის შეფასება ხელისუფლების ცვლაში საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში ფერადი რევოლუციების დროს ფარდობითი დეპრივაციის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში, ჯინის ინდექსზე და ინტერვიუებზე დაყრდნობით, რომელიც მართებულია საზოგადოებაში არსებული მატერიალური და პოლიტიკური დეპრივაციის გასაზომად. ნაშრომის დასკვნითი ნაწილი დაეთმობა კვლევის შედეგების განხილვას და შეჯამებას.

შეჯამების დავალება სტრუქტურულად ორ ნაწილად გაიყოფა: პირველ ნაწილში მოხდება თეორიული დაშვებების შეჯამება, მეორე ნაწილი შეაჯამებს პოლიტიკურ პროცესებს და კვლევის შედეგებს.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა შემდეგი ჰიპოთეზების გადამოწმება:

H1. პოლიტიკური და მატერიალური დეპრივაციის მაღალი მაჩვენებელი გახდა მიზეზი საზოგადოების უკმაყოფილების, რამაც გამოიწვია ხელისუფლების ცვლილება.

H2. ფერადი რევოლუციების შემთხვევაში, საზოგადოების პროტესტი განაპირობა მოქმედი ხელისუფლების კორუმპირებულობამ და გაყალბებულმა არჩევნებმა;

H3. რევოლუციების წარმატებით დასრულებაში მნიშვნელოვანი იყო საგარეო გავლენა / ჩარევა, რაც გამოიხატა ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების მხარდაჭერაში;

H4. ყირგიზეთის შემთხვევაში, არ არსებობდა ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება და ახალგაზრდული ორგანიზაციები, თუმცა საზოგადოებრივი პროტესტის მობილიზებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ადგილობრივმა ელიტებმა;

ჩ. საზოგადოების პროტესტი სასურველი შედეგით (ხელისუფლების შეცვლით) დასრულდა იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედი პოლიტიკური რეჟიმის ტიპი არ იყო კონსოლიდირებული ავტორიტარიზმი, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედი რეჟიმი იყო კონსოლიდირებული ავტორიტარიზმი, დეპრივაციის დონის მიუხედავად, საზოგადოების პროტესტმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. პოლიტიკური და მატერიალური დეპრივაციის პირობებში მყოფი საზოგადოების ნაწილი რევოლუციის მოწყობას შეეცადა მაშინ, როდესაც რევოლუციის საზღაური დაბალი იყო.

კვლევის თეორიული ნაწილის შეჯამებისთვის, კვლევის შედეგების გათვალისწინებით, გამოყენებულ თეორიულ ჩარჩოსთან დაკავშირებით, შესაძლებელია რამდენიმე დასკვნის გაკეთება.

ნაშრომის ემპირიულ ნაწილში ნათელი გახდა, რომ ფარდობითი დეპრივაციის თეორია ადექვატურად ხსნის საკვლევ ჰიპოთეზას.

ფარდობითი დეპრივაციის თეორია გულისხმობს განსხვავების აღქმას ინდივიდის მიერ მოლოდინსა (კეთილდღეობა, რომელსაც პიროვნება მიიჩნევს, რომ იმსახურებს) და არსებულს შორის, საკუთარი თავის სხვასთან შედარების დროს. ფარდობითი დეპრივაცია არ არის მხოლოდ ეკონომიკური დეპრივაცია, სოციალური ფსიქოლოგია განმარტავს მას როგორც გაზომვად რეაქციას, როგორცაა სოციალური პროტესტი, დისკრიმინაციისა და უსამართლობის შეგრძნება.

კოლექტიური ფარდობითი დეპრივაციის სხვაობის გაანგარიშება (სხვაობა საშუალო შემოსავალსა და საზოგადოების რეალურ დაკმაყოფილებას შორის) საქართველოს, უკრაინისა და ყირგიზეთის შემთხვევებში აჩვენებს, რომ არსებული უთანასწორობა საკმარისი იყო გამოეწვია სოციალური პროტესტი.¹⁶¹

ნაშრომის თეორიული ჩარჩოს საფუძველზე გამოთქმული ჰიპოთეზა ადექვატურად ხსნის ფერადი რევოლუციების შემთხვევებს საკვლევ ქვეყნებში.

ნაშრომის სხვა ჰიპოთეზები, რომელიც მოქმედი ხელისუფლების, ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საგარეო ფაქტორების როლს აფასებდა ფერად

¹⁶¹. დეტალური რაოდენობრივი მონაცემების შესახებ, იხილეთ ცხრილი 14 - 16

რევოლუციებთან მიმართებაში, პირველწყაროების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ჩაითვალოს დადასტურებულად.

ნაშრომის ემპირიული ნაწილი ადასტურებს საქართველოს, უკრაინისა და ყირგიზეთის მოქმედი ხელისუფლების კორუმპირებულობას და ასევე არჩევნების გაყალბების ფაქტს, წინარევოლუციურ პერიოდში საგარეო გავლენის არსებობას, რამაც ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის გაძლიერებას შეუწყო ხელი.

საკვლევი ქვეყნების მოქმედი პოლიტიკური რეჟიმის ტიპთან დაკავშირებით, დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს ფაქტი, რომ საზოგადოების პროტესტი წარმატებით დასრულდა იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედი პოლიტიკური რეჟიმის ტიპი არ იყო კონსოლიდირებული ავტორიტარიზმი - სადაც რევოლუციის საზღაური არ იყო მაღალი, კონსოლიდირებული ავტორიტარიზმის პირობებში, საზოგადოების პროტესტი ხელისუფლების შეცვლით ვერ დასრულდა, ვინაიდან რევოლუციის საზღაური მაღალი იყო, რეპრესიებისა და მაღალი სოციალური უთანასწორობის გათვალისწინებით. გასათვალისწინებელია ფაქტი, რომ კონსოლიდირებული ავტორიტარიზმის პირობებში, ვერ ხერხდება არასამთვრობო აქტორების შესაძლებლობების გაძლიერება გარე დახმარების შედეგად, შესაბამისად, საგარეო გავლენის / ჩარევის როლი უკიდურესად შეზღუდულია.

კვლევის ფარგლებში შეგროვებული ანონიმური ინტერვიუების რესპონდენტები 1990-იანი წლების საქართველოს აფასებენ პერიოდად ქრთამის აღების, ნეპოტიზმის, სიღარიბის, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისით, როდესაც ადამიანებს უწევდათ ბრძოლა გადარჩენისთვის. პოლიტიკისთვის დამახასიათებელი იყო პოპულიზმი, ამიტომ სააკაშვილი საუბრობდა ხალხისთვის გასაგებ ენაზე. რესპონდენტები მიუხედავად სიმპათიისა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ, მონაწილეობდნენ საპროტესტო აქციებში, გაყალბებული არჩევანი გახდა ერთგვარი საბაბი. ვინც არ მონაწილეობდა საპროტესტო აქციებში, ან სკეპტიკურად იყო განწყობილი დემონსტრაციის იდეის მიმართ, ან ოპოზიციური პოლიტიკური ძალების მიმართ. რესპონდენტები აღნიშნავენ სოციალურ ჯგუფებს შორის დაყოფას, ისინი, ვინც ადაპტირებული იყვნენ სიტუაციასთან, იყვნენ კმაყოფილი და დანარჩენებს უწევდათ გადარჩენისთვის ბრძოლა. წინა რევოლუციურ

პერიოდთან დაკავშირებით, მედიის, განსაკუთრებით რუსთავი 2-ის როლი იყო ხაზგასმული. დასავლეთის მხარდაჭერით შექმნილმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, როგორც იყო თავისუფლების ინსტიტუტი და „კმარა“, შეიმუშავეს სტრატეგია დემონსტრაციების ორგანიზებისთვის. რესპონდენტების უმეტესობა მხარს უჭერს გადატრიალების იდეას, ტერმინმა „რევოლუცია“ სააკაშვილის ხელისუფლებას შესაძლებლობა მისცა კანონის უზენაესობიდან გადახვევის. კორუფციამ და საზოგადოების ჯგუფებს შორის პოლიტიკური დეპრივაციის არსებობამ ხელი შეუწყო არასამთავრობო სექტორის ფორმულირებას. დასავლეთში განათლება მიღებულმა საქართველოს მოქალაქეებმა, რომელთა ჩართულობა პოლიტიკურ პროცესში შეზღუდული იყო კორუფციითა და ნეპოტიზმით, დაარწმუნეს საზოგადოება, რომელიც განიცდიდა მატერიალურ დეპრივაციას და ვისთვისაც, საბჭოთა წარსულის გათვალისწინებით, უთანასწორობა იყო მიუღებელი, რომ პოლიტიკური პროტესტი გამოიწვევდა რეჟიმის ცვლას.

ანონიმური ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს რუნციმანის დეპრივაციის სამივე ტიპი.

ემპირიული ნაწილის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებით, რამდენიმე დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი: სოციალურ უთანასწორობასთან ერთად, მოქმედებდა სხვა ფაქტორებიც, როგორც არის კანონის უზენაესობის არარსებობა, კორუფცია, გაყალბებული არჩევნები. საგარეო გავლენის შეფასებისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს გაწეული დახმარება არასამთავრობო აქტორების შესაძლებლობების გაძლიერებისთვის, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საზოგადოების მობილიზებაში. მოქმედმა ხელისუფლებამ შესაძლებლობა მისცა საზოგადოების პროტესტს დასრულებულიყო სასურველი შედეგით - ხელისუფლების შეცვლით. ფარდობითი დეპრივაციის თეორია ადექვატურად ხსნის საზოგადოების პროტესტის მიზეზებს საკვლევ ქვეყნებში.

ასევე, აღსანიშნავია, რომ გასული ოცი წლის პოლიტიკამ საკვლევ ქვეყნებში საზოგადოება მიიყვანა სეგრეგაციამდე, სოციალურ ჯგუფებს შორის იდეოლოგიური და ეკონომიკური უფსკრულის შევსებას არ შეუწყო ხელი, ვერ უზრუნველყო ფართო სოციალური ჩართულობა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა, თუ

გავითვალისწინებთ ჩატარებული არჩევნების რიცხვს საკვლევი ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, არსებობდა გარეგნული ნიშნები სოციალური ჩართულობის.

ნაშრომის ფარგლებში საქართველოს, უკრაინისა და ყირგიზეთის შემთხვევის შერჩევის მართებულობას ასევე ადასტურებს შემდეგი ფაქტები: საქართველოსა და ყირგიზეთის შემთხვევაში მოქმედმა ხელისუფლებამ სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ არ გამოიყენა შეიარაღებული ძალები, ამასთანავე მსგავსად უკრაინისა, ყირგიზეთის პრეზიდენტს არ გააჩნდა ოლიგარქების მხარდაჭერა, სამივე შემთხვევაში მოქმედი პოლიტიკური რეჟიმი არ იყო კონსოლიდირებული ავტორიტარიზმი და მატერიალური დეპრივაციის მაჩვენებელი აღწევდა იმ ნიშნულს, რომელსაც შეეძლო გამოეწვია საზოგადოების უკმაყოფილება, რაც დასტურდება ჩაღრმავებული ინტერვიუების და აკადემიური წყაროების ანალიზით.

